პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

8 სექტემბერი **შაბათი** 2012 **№213 (13 819)** ფასი 80 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## გამარჯვების შემოქმედი
# თორNIKE



ოქრიაშვილის ოქროს გოლით საქართველომ ბელარუსი დაამარცხა

2

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები



მოატყუა ერთი...



მოატყუა მეორე...



მესამე...



...არის!

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

## როგორ მოგვენატრებია ნამდვილი ქართული გოლი

# რიგი რიგაში:
## საქართველო და ლატვია, ვინ შეასწრებს სლოვენიაში?
### მოგებულს ევრობასკეტის საგზური ერგება



11

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

# ჩვენი ოქრო ბელარუსთან

7.09. თბილისი. ეროვნული
20 000 მაყურებელი

**საქართველო 1**

**ბელარუსი 0**

1:0 ოქრიაშვილი (51)

| საქართველო 4-2-3-1 | ბელარუსი 4-2-3-1 |
|---|---|
| ლორია | ვერემკო |
| კაშია | ტიგორევი |
| ხიზანიშვილი | პოლიაკოვი |
| ამისულაშვილი | მარტინოვიჩი |
| გრიგალავა | ვერხოვცოვი |
| კანკავა | კულჩი |
| დაუშვილი | ჟავრენჩიკი |
| თარგამაძე | ნეხაიჩიკი |
| ანანიძე | ბრესანი |
| ოქრიაშვილი | პუტილო |
| მჭედლიძე | კორნილენკო |
| **მწვრთნელი** | **მწვრთნელი** |
| თ. ქეცბაია | გ. კონდრატიევი |

**საქართველო**

56. მჭედლიძე – **კვირკველია**
75. ანანიძე – **გორგიაშვილი**
83. ოქრიაშვილი – **სირბილაძე**

*სათადარიგოები:* კვასხვაძე, ლობჟანიძე, ხუბუტია, რეხვიაშვილი, ფოფხაძე, მაისურაძე, გურული, ძალამიძე

**ბელარუსი**

30. ნეხაიჩიკი – **ბორდაჩოვი**
34. ჟავრენჩიკი – **ბალანოვიჩი**
62. ტიგორევი – **დრაგუნი**

*სათადარიგოები:* ჟევნოვი, შიტოვი, ტრუბილო, რადკოვი, ხაჩატურიანი, კოველი, კისლიაკი, როდიონოვი

*გაფრთხილება:* კანკავა (30), მარტინოვიჩი (54), ლორია (86)

*არბიტრი:* ს. ტოდოროვი (ბულგარეთი)

საქართველოს ნაკრებმა გუშინდელი მატჩის წინ დასახული მიზანი შეასრულა – **თემურ ქეცბაიას** გუნდმა, რომელიც მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში "სიკვდილის ჯგუფში" მოხვდა, ტურნირი გამარჯვებით დაიწყო. ეს კი მნიშვნელოვანი მხოლოდ გუნდის შიდა ატმოსფეროსთვის კი არა, პრაგმატული თვალსაზრისითაც არის – უშუალო კონკურენტის დამარცხებით ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა საკუთარ აქტივს პირველი სამი ქულაც შესძინა და ესპანეთთან მოახლოებული დაპირისპირების წინ ჩინებული განწყობაც შეიქმნა.

საქართველოს ნაკრებს საქმე არცთუ ხელწამოსაკრავ მეტოქესთან ჰქონდა, რომელმაც მასპინძლებს საკმაო თავსატეხი გაუჩინა და პირველ ტაიმში აჯობა კიდეც, თუმცა შესვენების შემდეგ ჩვენი გუნდი უფრო მძლავრად ათამაშდა და მეტოქისგან განსხვავებით, ბოძებული საგოლე შანსიც გამოიყენა.

ჩვენი ნაკრების სასტარტო შემადგენლობასა და ტაქტიკა-სტრატეგიაში განსაკუთრებული სიურპრიზები ნამდვილად არ ყოფილა. ტრავმირებული **სანდრო კობახიძე** ძირითადში **თორნიკე ოქრიაშვილმა** შეცვალა, რომელსაც წილად ამ მატჩის გმირობა ხვდა.

თუკი საქართველო-ესპანეთზე სრული ანშლაგია მოსალოდნელი, გუშინ ეროვნული სტადიონის ტრიბუნები სანახევროდაც გაჭირვებით შეივსო. თუმცა ტრიბუნებზე შეკრებილი პუბლიკისგან საქართველოს ნაკრებს ენერგიული მხარდაჭერა არ მოჰკლებია.

როგორც მოსალოდნელი იყო, თამაში დიდად სანახაობრივი ვერ გამოდგა, მაგრამ დროდადრო შინაარსიანი შეტევების მომსწრენი მაინც ვხდებოდით ხოლმე - პირველ ტაიმში უმეტესად ბელარუსების შესრულებით. საწყის 45 წუთში სტუმრებს დაწინაურების სამი ხელსაყრელი შესაძლებლობა მიეცათ. **პაველ ნეხაიჩიკის** დარტყმა **გიორგი ლორიამ** მოიგერია, **სერგეი ბალანოვიჩსა** და **ანტონ პუტილოს** კი წინ **გურამ კაშია** გადაეღობა. შესვენებამდე ქართველთაგან ყველაზე დასამახსოვრებელი **დავით თარგამაძის** მიერ მახვილი კუთხიდან შესრულებული დარტყმა იყო, რომელიც მეკარემ კუთხურზე მოიგერია.

პირველ ნახევარში ბელარუსებმა მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვეს – ყველა რგოლში კარგად ორგანიზებული გუნდიც ვნახეთ და მაღალი დონის ინდივიდუალისტებიც.

საბედნიეროდ, მეორე ტაიმში ქართველებმა მოწინააღმდეგეს თამაშის სადავეები წაართვეს, რაშიც, ბუნებრივია, დიდი როლი ითამაშა გოლმა. ოქრიაშვილმა შესანიშნავი ფინტებით მეტოქის ორი მცველი სახტად დატოვა და ბურთი არცთუ ძლიერად მეკარისგან მარცხენა დაბალ კუთხეში გაგზავნა – 1:0.

ცოტა ხანში ქეცბაიამ **ლევან მჭედლიძე** შეცვალა და შუა ხაზი გააძლიერა. ქართველები ყრუ დაცვაში არ ჩამდგარან, თუმცა, რა თქმა უნდა, ისე მოქმედებდნენ, როგორც დაწინაურებულ გუნდს შეეფერება. ბელარუსები მეორე ტაიმშიც ბევრს ეცადნენ გატანას, მაგრამ მოედნის ცენტრი ვერაფრით მოიგეს და მხოლოდ ეპიზოდურად უტევდნენ, თუმცალა მაინც სახიფათოდ – 59-ე წუთზე **სერგეი კორნილენკო** ჩვენს საჯარიმოში რამდენიმე მეურვეს გასცდა, მაგრამ შეტევა ვერ დააგვირგვინა.

შეხვედრის დასრულებამდე ნახევარი საათით ადრე სტუმართა რიგებში მესამე ცვლილება განხორციელდა – სამივე შეცვლა იძულებით ხასიათს ატარებდა. თითქოს სწორედ ამის შემდეგ კიდევ უფრო მძაფრად იგრძნობოდა, რომ სტუმრები თამაშის გადამრჩენები არ იყვნენ, თუმცა 86-ე წუთზე მაინც შეეძლოთ მიზნის მიღწევა – ლორიამ **მაქსიმ ბორდაჩოვის** შორეული და საკმაოდ რთული დარტყმა მოიგერია.

ბულგარელმა არბიტრმა **სტანისლავ ტოდოროვმა**, რომლის მსაჯობითაც უკმაყოფილების საფუძველი არ უნდა გვქონდეს, მატჩის ძირითად დროს სამი წუთი დაამატა და ამ პერიოდის განმავლობაში ჩვენი ნაკრების კარს საფრთხე აღარ დამუქრებია.

მოკლედ, ახალი ციკლის პირველი ამოცანა წარმატებით შესრულდა და იმის იმედიც გაჩნდა, რომ საქართველოს ნაკრები ჯგუფში ნორმალურ შედეგებს აჩვენებს. ჩვენი გუნდის თამაშის ხარისხი კი ცალკე განსახილველი თემაა და სჯობს, ამაზე ემოციების განელების შემდეგ ვისაუბროთ.

წინ ესპანეთთან მატჩია და ვფიქრობთ, გუშინდელმა გამარჯვებამ ჩვენს ბიჭებს იმის საშუალება მისცა, რომ მსოფლიოს საუკეთესო გუნდთან სტრესის გარეშე ითამაშონ.



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

გუშინ საქართველო ბელარუსს გადაახტა



თამუნა კულუმბეგაშვილის ფოტო

ქეცბაია შეგირდებს მადლობას უხდის

**მატჩის შემდეგ**

## თემურ ქეცბაია: მეამაყება, რომ ამ გუნდის მწვრთნელი ვარ

**თემურ ქეცბაიამ ბელარუს კოლეგაზე გაცილებით დიდხანს ისაუბრა. პრესკონფერენცია მან ფეხბურთელებისათვის მადლობის გადახდით დაიწყო.**

- დიდი მადლობა ბიჭებს, რომლებმაც გამარჯვებისთვის თავდაუზოგავად იბრძოლეს და მონდომება დაუფასდათ. დღეს ის თავდადება დავინახე, რასაც თითოეული ფეხბურთელისგან ვითხოვ. საბედნიეროდ, დღეს საკუთარი შანსი გამოვიყენეთ და ახალი შესარჩევი ციკლი გამარჯვებით დავიწყეთ.

მატჩი საკმაოდ რთული იყო. საქმე ძლიერ მეტოქესთან გვქონდა, თუმცა სირთულეების გადალახვა და საქმის გამარჯვებამდე მიყვანა მაინც შევძელით. იმედი მაქვს, ესპანეთთანაც ასე ვიბრძოლებთ. ამ მატჩს ბიჭები მოუთმენლად ელიან, საინტერესო თამაში იქნება.

მეამაყება, რომ ამ ნაკრების მწვრთნელი ვარ. მჯერა, რომ ამ გუნდით მთელი საქართველო იამაყებს. ქართული ფეხბურთის წინსვლისთვის ეროვნული ნაკრების წარმატებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და ვიმედოვნებ, ჩვენი ფეხბურთის განვითარებას ბიძგს მივცემთ.

ცუდია, რომ სანდრო კობახიძე გამოგვაკლდა. იგი ჩვენი გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. იმედია, ოქტომბრის მატჩებისთვის მაინც ჩადგება მწყობრში.

**- ბოლო დროს საქართველოს ნაკრები მეორე ტაიმს პირველზე მაღალ დონეზე ატარებს ხოლმე...**

- საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოჩნდა, რომლებსაც სირბილიც შეუძლიათ და გამძლეობაც აქვთ. მეორე ტაიმის პრობლემა სწორედ ამ ახალგაზრდული ენერგიით გამოვასწორეთ. დღესაც ამ კომპონენტით დამსახურებულად გავიმარჯვეთ.

**- ლევან მჭედლიძის შეცვლა იმას ნიშნავდა, რომ 1:0-ის შენარჩუნება გსურდათ?**

- დიახ, და შევინარჩუნეთ კიდეც.

**- თორნიკე ოქრიაშვილი თავის კლუბში ბოლო დროს თავდამსხმელად თამაშობს. მის წინ წაწევას ხომ არ აპირებთ?**

- ვნახოთ, შეტევაში რამდენიმე ვარიანტი გვაქვს და საჭირო გადაწყვეტილებას მივიღებთ.

ქეცბაიამ კიდევ ერთხელ გამოთქვა იმის იმედი, რომ სამშაბათს სტადიონზე თითოეული გულშემატკივარი საქართველოს ნაკრების და არა ესპანეთის საქომაგოდ მივა. ჩვენი გუნდის თავკაცმა ისიც აღნიშნა, რომ მისი სურვილია, გუნდი საშინაო ოფიციალურ მატჩებს მხოლოდ ეროვნულ სტადიონზე ატარებდეს.

## გეორგი კონდრატიევი: ჩვენი დღე არ იყო

**ბელარუსთა თავკაცი გეორგი კონდრატიევი მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ლაკონური იყო. ბუნებრივია, იგი შეხვედრის შედეგით ძალიან გულდაწყვეტილი დარჩა.**

- მასპინძელთა გუნდს გამარჯვებას ვულოცავ. საგოლე მომენტები შევქმენით, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ და ამისთვის დავისაჯეთ. დაცვაში საბედისწერო შეცდომა დავუშვით და ამიტომ დავმარცხდით. მოკლედ, დღეს ჩვენი დღე არ იყო. ნაგებასთან ერთად, ძირითადი შემადგენლობის სამი ფეხბურთელი დაგვიშავდა, რომლებიც შემდეგ მატჩში ვერ დაგვეხმარებიან.

**- მართალია, რომ დღეს გამარჯვების შემთხვევაში თქვენი გუნდი სოლიდურ პრემიას მიიღებდა?**

- ტყუილია. ჩვენ მიზერული პრემიები გვაქვს.

**- ჯგუფიდან გასვლის რა შანსი გაქვთ?**

- უმცირესი. დღევანდელმა მარცხმა საამისო პერსპექტივა თითქმის მოგვისპო.

**- საქართველოს ნაკრებიდან ვინმეს თუ გამოარჩევდით?**

- კონკრეტულად არავის, მთელმა გუნდმა იბრძოლა.

მეტოქეები

## პირველი ტურის შემდეგ ჯგუფის თანალიდერები ვართ

| ფინეთი-საფრანგეთი | 0:1 |
|---|---|

გოლი: 0:1 დიაბი (20)

**ფინეთი:** ჰრადეცკი, არკივუო, პალსტი, მოისანდერი, ტოივიო, რ. ერიომენკო, ჰეტემაი (65. ა. ერიომენკო), სპარვი, ჰამალაინენი (78. კუქი), რინგი, პუკი.

**საფრანგეთი:** ლორისი, რევეილერი, სახო, იანგა-მვიბა, ევრა, რიბერი (89. გომისი), მავუბა, მენეზი (62. ვალბუენა), კაბაიე (72. მატუიდი), დიაბი, ბენზემა.

ფრანგებმა დაგეგმილი სამი ქულა არცთუ იოლად მოიპოვეს, მაგრამ მაინც შეძლეს და მუნდიალის საკვალიფიკაციო ტურნირი გამარჯვებით დაიწყეს. ჩვენს ჯგუფს გამოკვეთილი აუტსაიდერი არ ჰყავს და ამიტომაც თითოეულ ქულას აქ განსაკუთრებული ფასი აქვს. **აბუ დიაბის** გოლმა **დიდიე დეშამის** გუნდს საკმაოდ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოუტანა.

რაკი ესპანეთი პირველი ტურისგან თავისუფალია, ფრანგები ბელარუსთან გამარჯვების შემთხვევაში ჯგუფის სატურნირო ცხრილს ოქტომბრის მატჩებამდე სათავეში ჩაუდგებიან – რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ საქართველომ ესპანეთს არ მოუგო...

**11 სექტემბერი**

**საქართველო-ესპანეთი**
**საფრანგეთი-ბელარუსი**

გვერდი მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**

ახალი სახეები

# ნიკა ძალამიძე: ემოციები ვერ შევიკავე



ნიკა ძალამიძე

ესტონეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან მოგების შემდეგ "ჯვაროსანთა" დამრიგებელმა **ალექსანდრე ჩივაძემ ნიკა ძალამიძეს** ეროვნულ ნაკრებში გამოძახება მიულოცა.

ძალამიძე ბალტიისპირელებთან მართლაც გამორჩეული იყო ქართველებში: გარდა იმისა, რომ ულამაზესი გოლი თავისივე წამოწყებული შეტევის შემდეგ გაიტანა, ესტონელთა დაცვა ააწიოკა და ბურთი მხოლოდ მატჩის მიწურულს აართვეს, როდესაც გადაიღალა და ბევრ სირბილ-მოძრაობისგან არაქათი გამოეცალა.

მატჩის შემდეგ ნიკა გახარებული იყო – მოგება, გოლი და ეროვნულ ნაკრებში გამოძახება ურიგო ამბავი ნამდვილად არ არის.

პოლონური სუპერლიგის "იაგელონიას" შემტევი ნახევარმცველი ნიკა ძალამიძე "ლელოს" ბევრს საინტერესო თემაზე ელაპარაკა.

**- გილოცავთ ნაკრებში გამოძახებას.**

- დიდი მადლობა თემურ ქეცბაიას, მან ძალიან გამახარა. აქამდე ერთხელ გამომიძახა, ზაფხულში თურქეთთან ამხანაგურ მატჩში, მაგრამ ახლა ბევრად მნიშვნელოვანი მატჩებია – ბელარუსთან და ესპანეთთან. სიმართლე გითხრათ, არც ველოდი.

**- ეს სიხარული ესტონეთთან მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე სახეზეც გეტყობოდა.**

- ქეცბაიას გადაწყვეტილება მხოლოდ ესტონეთთან მოგების შემდეგ მითხრეს და ემოციები ვერ შევიკავე. შეკრებაზე ძალიან კარგი განწყობით მივედი. ბიჭებს უკვე ვიცნობ და თავს უცხოდ არ ვგრძნობ.

**- შენი ბევრი თამაში გვინახავს, მაგრამ ესტონეთთან საუკეთესო შეხვედრა ჩაატარე.**

- მეც ასე მგონია. გოლმაც ძალიან გამახარა და რაც მთავარია, მოგებამ.

**- მოგება კარგია, მაგრამ უამრავ მომენტს ქმნიდით და ვერ იყენებდით.**

- ჩემი აზრით, ეს შეუთამაშებლობის ბრალია. კარგი ბიჭები გვყავს, გუნდი პერსპექტიულია, მაგრამ მიმაჩნია, რომ ერთმანეთს ჯერ ბოლომდე ვერ ვუგებთ. ბევრი ამხანაგური თამაში გვჭირდება და ნაკრები ძალიან კარგადაც შეთამაშდება და ძალასაც გამოაჩენს. ამაში 100 პროცენტით დარწმუნებული ვარ. თუ ეს პრობლემა მოგვარდება, შემდეგ ციკლში აუცილებლად მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ.

**- ზაფხულში პოლონეთის ერთი კლუბიდან მეორეში გადახვედი - ლოძის "ვიძევიდან" "იაგელონიაში". ამ ქვეყანაში დარჩენას როდემდე აპირებ?**

- კონტრაქტი სამ წელიწადში დასრულდება, შემდეგ კი ვნახოთ. ჯერ სხვა კლუბში გადასვლაზე არ ვფიქრობ და სიმართლე გითხრათ, არც მინდა, რადგან კარგად მოვეწყვე, მათამაშებენ და პოლონეთის უმაღლესი ლიგა დაბალი დონის ტურნირი სულაც არ არის. პირიქით, თუ გინდა და მონდომებ, აუცილებლად გაიზრდები. საამისოდ კლუბში ყველა პირობა არის. მართალია, განსაკუთრებული ხელფასები არ არის, მაგრამ ჩემთვის ახლა მთავარია, რაც შეიძლება მეტი ვითამაშო და გავიზარდო.

**- ვიცით, რომ პოლონეთში სხვა გუნდებიც გიწვევდნენ – რატომ მაინცდამაინც "იაგელონია"?**

- იმიტომ, რომ გუნდში ჩემმა ყოფილმა მწვრთნელმა მიმიწვია და რაც მთავარია, "იაგელონია" ყველაზე მეტად აქტიურობდა. თორემ სხვა პოლონური კლუბები მართლაც მიწვევდნენ.

**- "იაგელონიადან" მერაბ გიგაურის წასვლის შემდეგ, გუნდში ერთადერთი ქართველი დარჩი.**

- გიგაურის ქუთაისის "ტორპედოში" გადასვლამ გული ძალიან დამწყვიტა. გვერდში ქართველის ყოფნა მახარებდა და მეორეც: "ტორპედო" ძლიერი და ამბიციური კლუბია, მაგრამ თავად გიგაურს პოლონეთში თამაში სურდა. სადავო არ არის, რომ იქ უკეთესი ჩემპიონატი და პირობებია, ვიდრე ჩვენთან. თამაშებს ევროპული კლუბების სელექციონები სულ ესწრებიან და და მეტი პერსპექტივაც არის.

მერაბ მამულაშვილი

სტუმრად სამშობლოში

# დინამო და ჩვენებურები

ბოლო ორი წლის განმავლობაში უკვე მესამედ ხდება, როცა ბაქოს „ინტერი" ათდღიან შეკრებას თბილისში გადის. ისე როგორც წინა ორ შემთხვევაში, „ინტერის" საქართველოში სტუმრობის მიზეზი სანაკრებო მატჩების გამო აზერბაიჯანის ჩემპიონატში გამოცხადებული პაუზაა. ბოლო წლების ერთ-ერთი წარმატებული აზერბაიჯანული კლუბის მიმართ ჩვენი ინტერესი კი არახალია: „ინტერი" ხომ სანახევროდ „ქართული გუნდია"! შეგახსენებთ, რომ აზერბაიჯანის ჩემპიონობა (2010 წელს) და „თანამეგობრობის თასი" (2011 წელს) „ინტერმა" ქართველი სპეციალისტის, **კახა ცხადაძის** (ვისაც 7 სექტემბერს 44 წელი შეუსრულდა) ხელმძღვანელობით მოიპოვა. იმ პერიოდში ცხადაძის ასისტენტად **გიორგი ჩიხრაძე** (თბილისის „ამერს" საქართველოს თასი და სუპერთასი ორ-ორჯერ რომ მოაპოვებინა) მუშაობდა; თუმცა, 2012 წლის გაზაფხულიდან ჩიხრაძემ ასევე აზერბაიჯანული კლუბი, ზაქათალის „სიმურგი" ჩაიბარა, ხოლო „ინტერის" მეორე მწვრთნელად წარსულში ცნობილი ქართველი ფეხბურთელი, 1981 წლის თასების მფლობელთა თასის გამარჯვებული **ზაურ სვანაძე** დაინიშნა, ხოლო მენეჯერად კი — საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი მოთამაშე **ალექსანდრე რეხვიაშვილი**; „ინტერის" სტაჟიან წევრებად ითვლებიან გუნდის წამყვანი ფეხბურთელები: 33 წლის **გიორგი ლომაია**, 32 წლის **ვალერი აბრამიძე**, 30 წლის **ილია კანდელაკი** და 24 წლის **ბაჩანა ცხადაძე**; ამ ზაფხულიდან კი „ინტერის" ქართული „დიასპორა" კიდევ უფრო გაიზარდა: გუნდში მივიდნენ 31 წლის **გიორგი ადამია** და 24 წლის **რევაზ თევდორაძე**. „ინტერის" ქართული შეკრება ხვალ მთავრდება, თუმცა დღეს ერთობ საინტერესო და, ცოტა არ იყოს, საინტრიგო სპარინგ-მატჩიც ელოდება... თბილისის „დინამოს" წინააღმდეგ! რა თქმა უნდა, საკონტროლო შეხვედრაა და ორივე გუნდის მწვრთნელები გარკვეულ ექსპერიმენტებსაც ჩაატარებენ; თუმცა, მაინც გვჯერა, რომ აზერბაიჯანის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდისა და საქართველოს ყველაზე ტიტულიანი კლუბის (ბოლოს და ბოლოს, თავის ერთგულ ქომაგებს რომ ახარებს წარმატებული სტარტით) თუნდაც ამხანაგური შეხვედრა საინტერესო უნდა გამოდგეს. ჰო, „დინამოს" სტარტზე ყურადღება შემთხვევით არ გაგვიმახვილებია: 5 წლის წინათ იყო, გუნდმა ჩემპიონატის დასაწყისში ოთხივე შეხვედრა რომ მოიგო; სხვათა შორის, სწორედ ის სეზონი (2007-08) იყო, **დუშან უჰრინი-უფროსის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „დინამომ" უკანასკნელად რომ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა. ახლა კი ამ ტრადიციის გაგრძელება მის ვაჟს, **დუშან უჰრინ-უმცროსს** სურს; ისე, ვერაფერს ვიტყვით: უმცროსი უჰრინის ხელმძღვანელობით „დინამოს" ჯერ არც ერთი მატჩი (საკონტროლოების ჩათვლით) არ წაუგია, გუნდის თამაშიც უფრო და უფრო სანახაობრივი ხდება, ლეგიონერებიც (განსაკუთრებით — ესპანელები) „უჩვეულოდ" მოტივირებულნი არიან და კლუბის ერთგული ფანებიც მონატრებული ტიტულ(ებ)ის მოლოდინში არიან!

...„დინამოსა" და „ინტერის" დღევანდელ მატჩში უამრავი ლეგიონერი შეიძლება ვიხილოთ: მასპინძელთაგან — **ჩისკო, ალვარო, კოტო, იაგუე** (ყველა — ესპანეთი), **რობერტინიო** (ბრაზილია), **გლიშიჩი** (მაკედონია), სტუმართაგან — **აბდულაიე** (კონგო), **ბარმეტლერი** (შვეიცარია), **ნიასე** (სენეგალი), **ზლატნოვი, გენოვი** (ორივე — ბულგარეთი), **შუტცი** (ბრაზილიაში დაბადებული, ეროვნებით გერმანელი და პოლონეთის მოქალაქე) და, რაღა თქმა უნდა, ქართველებიც.

...კახა ცხადაძეს, ზაურ სვანაძესა და ალექსანდრე რეხვიაშვილს თბილისის „დინამოს" მაისურით არაერთი მატჩი ჩაუტარებიათ; ცხადაძე-სვანაძის სამწვრთნელო „დუეტმა" 2005 წელს „დინამოს" ჩემპიონობა მოუტანა; თუმცა, „დინამოს" იმ საჩემპიონო შემადგენლობიდან დღესდღეობით თბილისურ კლუბში მხოლოდ ჯაბა დვალი თამაშობს, რომელიც, სამწუხაროდ, ტრავმის გამო ვერც „ინტერთან" იასპარეზებს და საქართველოს ნაკრებსაც გამოაკლდა. სამაგიეროდ, მოედანზე ვიხილავთ ილია კანდელაკს — გამოცდილი უნივერსალი „დინამოს" შემადგენლობაში ხომ ორჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი (2003 და 2005 წლებში).

დღევანდელ მატჩში მეტოქეები წამყვან მოთამაშეებს მოისაკლისებენ, რომლებიც ეროვნულ ნაკრებებში არიან გამოძახებულნი: „დინამოს" **გიორგი ლორია, გიორგი რეხვიაშვილი, ვლადიმერ ვოსკობოინიკოვი** და ჯაბა დვალი დააკლდებიან, „ინტერს" კი — **ვლადიმერ ლევინი, არიფ დაშდამიროვი** და **ნიზამი გაჯიევი.** დაბოლოს, ფეხბურთის ქომაგებს შევახსენებთ, რომ დღევანდელი მატჩი „მიხეილ მესხის" სტადიონზე, 16 საათზე დაიწყება და შეხვედრაზე დასწრება უფასო იქნება.

გია ბაგოშიძე

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო



კახა ცხადაძე და ზაურ სვანაძე

# 1 კვირის 1000

დავით თავართქილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



თორნიკე ოქრიაშვილს (თეთრი) გამარჯვების გოლი გააქვს

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

# ბელარუსი ოქრომ გააქრო

საქართველომ მოიგო! შესარჩევი გამარჯვებით დაიწყო. კარგი სტარტი ხანდახან ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც პირველი გოლის ფაქტორი. ბელარუსიც გოლმა გატეხა, თორემ პირველ ტაიმში რომ გაეტანათ სლავებს, ვინ იცის, რა მოხდებოდა.

ეს გამარჯვება მართლაც მნიშვნელოვანია იმით, რომ ციკლი რიხით დავიწყეთ. ეს იწვევს თავდაჯერებულობას, რაც ასე აუცილებელია ჩვენი ნაკრებისთვის.

ეს გამარჯვება ძალიან სჭირდებოდა თემურ ქეცბაიას. მან პოზიციები გაიმყარა, თავდაჯერებულობა ხომ მწვრთნელისთვისაც აუცილებელია.

ქეცბაია ემოციური მწვრთნელია, ჩვენი გუნდის შანსიც ეგ იყო - პირველი თამაში, ახალი იმედი, ახალი მუხტი - ეს ჰქონდა საქართველოს ნაკრებს და გამოიყენა კიდეც.

ეს გამარჯვება გულშემატკივარსაც ძალიან სჭირდებოდა, ქომაგმა დაინახა, რომ ჩვენს ნაკრებს ბრძოლა და შანსზე ჩაჭიდება შეუძლია. ბიჭებმა იბრძოლეს და გაიმარჯვეს, ხალხი კი სტადიონიდან კმაყოფილი წავიდა - ეს უკვე შედეგია.

იღბალი ფეხბურთშიც ძალიან ბევრს ნიშნავს, შენს კბილა გუნდთან ყისმათიც თუ წაგეხმარა, ეს უკვე საქმის ნახევარია. ბელარუსი ჩვენთვის ზუსტად ისეთი გუნდია, კბილი კბილს რომ მოედება. კონდრატიევს კარგი გუნდი ჰყავს, შეტევის ორგანიზება რომ შეუძლია ისეთი, ცალკეული ფეხბურთელებიც არ დაეწუნება, მაგრამ საქართველოს მაინც დაეჩაგვრინა - ფეხბურთი ხანდახან ულმობელია, ბელარუსმა შანსი ვერ გამოიყენა, ჩვენს გუნდს კი შნო აღმოაჩნდა და გაიმარჯვა.

ათი ათასჯერ თქმულა, რომ ფეხბურთი გრძნობების თამაშია. საქართველომ გოლი რომ გაიტანა, გრძნობაც გაჩნდა - ბელარუსი თამაშის შემომბრუნებელი აღარ იყო. ემოცია ჩვენს მხარეს გადმოვიდა, ჩვენი მოკავშირე გახდა.

თორნიკე ოქრიაშვილის თამაში პირველად მუხრანში ვნახე, როცა ის „გაგრას" დუბლშემადგენლობის ფეხბურთელი იყო. ის გამორჩეულად ნიჭიერი გახლდათ და აკი მალევე დატოვა კიდეც საქართველო. ოქრიაშვილის ნიჭში ეჭვი არავის ეპარებოდა, ის წინ წავიდა, გუშინ კი მატჩის გმირი გახდა.

გოლი ესთეტიური გამოვიდა. სიამოვნების ულუფაც ძალიან დიდი გამოდგა. ოქრიაშვილი კი უკვე აღარ არის ნაკრების პერსპექტიული ფეხბურთელი, გუშინდელი გოლი უკვე ძალიან სერიოზული განაცხადია იმისთვის, რომ ოქრიაშვილზე ვთქვათ, ნაკრების საკვანძო ფეხბურთელიაო.

ოქრიაშვილმა ბელარუსს გოლი ქართულად გაუტანა. ჩვენი ასეთი გოლებით, ასეთი ნიჭით გვიცნობენ საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში. მან ამ გოლით ერთხელაც შეახსენა სლავებს, რომ ქართული გენი ფეხბურთში არ მომკვდარა. ეს გოლი ისეთია, პათეთიკასაც რომ უძლებს.

ბელარუსთან მოგება გემრიელი კი გამოდგა, მაგრამ ილუზიების საფუძველიც გააქრო - ხარვეზი ცოტა როდი ჰქონდა ჩვენს გუნდს, თუმცა ეს აღარავის ემახსოვრება, ტვინში ოქრიაშვილის ოქრო - გოლი ჩაიკირება.

ეს გოლი ალბათ ოქროზე უძვირფასესია და კიდევ უფრო იშვიათი, ვიდრე საქართველოს ნაკრების გამონათებები.

## ქართული ფეხბურთი

ლეგიონერი. ინტერვიუ ჩისკოსთან

# რა თქმა უნდა, მე

## მაქვს შანსი, საქართველოს ნაკრებში ვითამაშო

ფრანჩისკო ხავიერ მუნიოზი, იგივე **ჩისკო**, "ვალენსიას" ყოფილი ფეხბურთელი, რომელიც ახლა "დინამო თბილისის" ერთ-ერთი ლიდერია, შეიძლება ითქვას, რომ გუნდის ყველაზე კლასიანი მოთამაშეა. ჩისკო შემტევია, უმცროსი **დუშან უჰრინის** აზრით, ჩისკოს პოზიცია სადღაც პლეიმეიკერსა და მეორე ფორვარდს შორის არის გაჩრილი. ჩისკო "დინამო თბილისისთვის" ალბათ ბოლო პერიოდში ყველაზე წარმატებული შენაძენია. წინა სეზონში "დინამოში" ესპანურმა პროექტმა ვერ გაამართლა, მაგრამ ეს არ ეხება ჩისკოს – ის ნამდვილი ფეხბურთელია, ლეგიონერი, რომელიც კლასით საქართველოს ჩემპიონატში ძალიან ბევრზე მაღლა დგას. თუ დააკვირდებით, ჩისკო ბევრს არ დარბის მოედანზე, თავისი მოკლე რადიუსი აქვს, ოღონდაც იცის, რა დროს რა უნდა გააკეთოს.

სამი დღის წინ ჩისკო 32 წლის გახდა, მაგრამ ასაკი მას ხელს არაფერში უშლის, ის ოსტატია და თავის საქმეს უპრობლემოდ აკეთებს. იცის, როგორ დაზოგოს საკუთარი თავი მოედანზე და როგორ არ დაზოგოს მოწინააღმდეგე.

"რეკრეატივო", "რეალ ბეტისი" და "ლევანტე" –ჩისკოს ამ გუნდებშიც უთამაშია, თუმცა კარიერის საუკეთესო პერიოდი, რა თქმა უნდა, "ვალენსიაში" ჰქონდა, სადაც უეფას თასიც მოიგო, სუპერთასიც და ლა ლიგაც.

ჩისკოსთან ინტერვიუ "დინამოს" პრესსამსახურის უფროსის, გიგა გვენცაძის დახმარებით გავაკეთეთ.

**- როგორ გრძნობთ თავს "დინამოში", საქართველოს ჩემპიონატში? დისკომფორტს აქ რამე ხომ არ გიქმნით?**

- საქართველოს საუკეთესო გუნდში ვთამაშობ, ქალაქიც ძალიან მომწონს. თავიდან იყო პრობლემა ენასთან დაკავშირებით, მაგრამ ნაწილობრივ ეს პრობლემაც მოხსნილია. შემიძლია დანამდვილებით ვთქვა, რომ „დინამოში" და საქართველოში თავს ძალიან კარგად ვგრძნობ.

**- რა იყო თქვენთვის ყველაზე უცხო, რაც საქართველოში დაინახეთ?**

- ალბათ უფრო ხალხის აზროვნება. მე რა გარემოშიც მიწევს ყოფნა, აქ ერთმანეთს ეხმარებიან, გვერდში უდგანან. მაგალითად, ადამიანები ერთმანეთს ფინანსურად რომ ეხმარებიან. ცხადია, ასეთი რამ ესპანეთშიც არის, მაგრამ იქ უფრო ძალიან ახლობლებს შორის, აქ კი უფრო ხშირია ასეთი შემთხვევები.

**- ჰგვანან ერთმანეთს ქართველები და ესპანელები?**

- საქართველოში ისე ვგრძნობ თავს, როგორც საკუთარ სახლში. განსხვავებას რაც შეეხება, აუცილებლად მინდა ვთქვა, რომ ქართველები ბევრად უფრო მორწმუნე ერი ხართ.

**- ბალეარის კუნძულებზე, საიდანაც თქვენ ხართ წარმოშობით, ფეხბურთის თამაშის განსაკუთრებული ნიჭი აქვთ?**

-ჩემი სოფელი ძალიან პატარაა. საერთოდ, ჩვენი მხარე დაშორებულია ცენტრს და თავი ძალიან უნდა გამოიჩინო, რომ შეგამჩნიონ და ცხოვრებაში წარმატებული იყო. რაფაელ ნადალი, მიგელ ანხელ ნადალი, ალბერტ რიერა სწორედ იქედან არიან წარმოშობით.

**- ესპანეთის ასაკობრივ ნაკრებებში თამაშობდით, ეროვნულ გუნდში კი ვერ მოხვდით – როგორ ფიქრობთ, ხელი რამ შეგიშალათ?**

- 15-დან 21 წლამდე ყველა ასაკობრივ ნაკრებში მითამაშია. ერთხელ პირველ გუნდთანაც ძალიან ახლოს ვიყავი, მაგრამ ნაკრებში ვისენტე გამოიძახეს, მე კი ახალგაზრდულში მომიწია თამაში. ესპანეთის პირველ გუნდში საუკეთესოთა შორის საუკეთესოები ხვდებიან. ესპანეთის ეროვნულ ნაკრებში არ მითამაშია და შეიძლება ასე უკეთესიც იყოს, ვინაიდან მაქვს შანსი, საქართველოს ნაკრებში ვითამაშო. საქართველოში თავს მშვენივრად ვგრძნობ და თქვენს ნაკრებში თამაშის ძალიან დიდი სურვილიც მაქვს...

**- ვალენსიაში დიდ წარმატებებს მიაღწიეთ, გახდით ესპანეთის ჩემპიონი, მოიგეთ უეფას თასი. უფრო მეტზეც ოცნებობდით?**

- ჩემი კარიერის მანძილზე ძალიან დიდი გამოცდილება მივიღე. ბევრი ბედნიერი და დაუვიწყარი წუთები მქონდა. "ვალენსია", უეფას თასი, ჩემპიონთა ლიგა... კმაყოფილი ვარ ბედისწერით, რომელიც ასე მომექცა.

**- უეფას თასის ფინალში "მარსელთან" არ გითამაშიათ, სათადარიგოთა სკამზე იჯექით – ეს თქვენთვის ყველაზე დიდი განბილება იყო?**

-ნახევარფინალი ვითამაშე და მიუხედავად იმისა, რომ ფინალურ შეხვედრაში ვერ მივიღე მონაწილეობა, მაინც არ ვგრძნობ თავს განბილებულად.

**- რაფაელ ბენიტესზე რას იტყოდით, რითი არის ის სხვა დიდი მწვრთნელებისგან გამორჩეული?**



ჩისკო საქართველოთი კმაყოფილია

- საუკეთესო მწვრთნელია. აბსოლუტურად ყველაფერს აკონტროლებს. ძალიან ცდილობს, ფეხბურთელი ყოველმხრივ გაიცნოს, როგორც პიროვნულად, ასევე პროფესიონალურად - ფსიქოლოგიურად, ტაქტიკურად, ფიზიკურად, მისი ყველა მონაცემი აინტერესებს. თავისი გუნდის თითოეული ფეხბურთელი ბოლომდე ჰყავს შესწავლილი.

**- ვინ იყო ლიდერი და საუკეთესო ფეხბურთელი იმდროინდელ "ვალენსიაში"?**

- რა თქმა უნდა, მე (იცინის) იმდროინდელ "ვალენსიაში" ისეთი ფეხბურთელები თამაშობდნენ, როგორებიც იყვნენ კანისარესი, აიმარი, აიალა და სხვები, რომელთაც ნებისმიერ მომენტში შეეძლოთ თამაშის საკუთარ თავზე აღება.

**- ბოლო წლებში რატომ ვერ ერევა "ვალენსია" ან სხვა რომელიმე ესპანური გუნდი "რეალის" და "ბარსელონას" საჩემპიონო დავაში?**

- ორი უმდიდრესი საფეხბურთო კლუბია, რომელთაც ყოველ წელს, ნებისმიერ დროს, დედამიწის საუკეთესო ფეხბურთელის ყიდვა შეუძლიათ. მათ ამოუწურავ ფინანსურ შესაძლებლობებს მეტწილად, სატელევიზიო უფლებებისგან მიღებული შემოსავალი განაპირობებს.



ჩისკო (ბურთით) ჩვეულ ამპლუაში

**- "დინამოზე" გადავერთოთ. მაინც რა მოხდა, რატომ ჩაუვარდა წინა სეზონი "დინამოს"?**

- საკუთარი თავი უნდა შევაფასოთ და მაშინ მივხვდებით მიზეზს. მიმდინარე წელს ძალიან ბევრი რამ შეიცვალა. მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა და ამ სეზონში აუცილებლად ჩემპიონები უნდა გავხდეთ.

**- წინა სეზონში "დინამოს" ესპანელი თავკაცი ალექს გარსია ვინ ან რამ დაალალატა?**

- ჩემი აზრით, ახალი პროექტი იყო და დროის მცირე მონაკვეთში ბევრი რამ ვერ მოესწრო. ახლა უკვე ვიცი, ვის უნდა ვეთამაშო, სად და როგორ. თუმცა ამავდროულად აბსოლუტურად მესმის ჩვენი პრეზიდენტის. ეს ფეხბურთია, სადაც შედეგი უნდა აჩვენო და როცა შედეგი არ არის, ხდება ცვლილებები.

**- წინა სეზონში საკუთარი თამაშით კმაყოფილი დარჩით?**

- სიმართლე გითხრათ, ყოველთვის ძალიან თვითკრიტიკული ვარ. მართალია, გოლები გავიტანე, მაგრამ საერთო ჯამში სეზონი ჩავარდა. ახლა მთავარია გუნდური თამაში ავაწყოთ, კოლექტიური თამაში ვაჩვენოთ და შედეგიც აუცილებლად იქნება.

**- დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ იმას, თუ რას წერენ თქვენზე ქართულ პრესაში?**

- ცხადია მაინტერესებს. მსიამოვნებს, როცა კარგს წერენ. ისიც კარგად მესმის, რომ ზოგჯერ დადებითად შეაფასებენ შენს თამაშს, ზოგჯერ - პირიქით. მთავარია, რომ ყოველთვის ვმუშაობ საკუთარ თავზე, ვცდილობ, ვიყო კონცენტრირებული. ისე, რაც არ უნდა მითხრან, რომ მახინჯი ვარ, მე ხომ ვიცი, რომ ლამაზი ვარ (იცინის).

**- ესპანეთის პირველი დივიზიონიდან "დინამოში" როცა არჩევანი გააკეთეთ, მთავარი ფული იყო?**

-არა, ფინანსებს არ გადაუწყვეტია ჩემი საქართველოში ჩამოსვლა. მე "დინამოს" პროექტმა მომხიბლა. ნანახმა ბაზამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, უეფას ტურნირებში რეგულარული მონაწილეობაც მნიშვნელოვანი ფაქტორი გამოდგა. ესპანეთში ბევრი სეზონი ვითამაშე და გული ძალიან არ დამწყვეტია. საქართველოში და "დინამოში" ბედნიერი ვარ და იმედი მაქვს, აქ კიდევ დიდხანს დავრჩები.

**- წარმოიდგენდით, რომ კარიერის ბოლო წლებს საქართველოში გაატარებდით?**

- ამას მართლა ვერ ვიფიქრებდი. ვიმედოვნებ, რომ აქ დიდხანს დავრჩები და აქვე დავამთავრებ საფეხბურთო კარიერას. შემოთავაზებები მქონდა თურქული და ესპანური კლუბებიდან, მაგრამ მე აქ დარჩენა მინდა. "დინამო" დღითი დღე პროგრესირებს, ვვითარდებით და ძალიან დიდი იმედი მაქვს, ჩემპიონობასაც შევძლებთ. იმედია, საერთაშორისო წარმატებასაც მივაღწევთ და საქართველოს გავახარებთ.

**- ესპანური მოდელი საფეხბურთო მოდის კანონმდებელი გახდა. რა არის ამ მოდელის მთავარი თავისებურება?**

- ვფიქრობ, ესპანელები მოედანზე გამოსვლის წინ ახერხებენ, რომ ფიზიკურად, ტექნიკურად და ფსიქოლოგიურად 100 პროცენტით იყვნენ მზად. ესპანელებმა ყველაფრის გაერთიანება შეძლეს.

**- ვინ იყო თქვენი კერპი ბავშვობაში? ახლა რომელი ფეხბურთელი მოგწონთ ყველაზე უფრო?**

- ალბათ რონალდო, ახლა კი ჩავი ერნანდესი, რომელიც ორი ნაბიჯით წინ ფიქრობს და ხვდება მოვლენათა განვითარებას. ჩავი ჩემი მეგობარია და მოედნის გარეთაც მაგარი ბიჭია.

**- ბალეარის არქიპელაგზე დასასვენებლად ხშირად ჩადიხართ ხოლმე?**

- ძალიან მიყვარს ფეხბურთი და თავისუფალი დრო დიდი დეფიციტია. პირველივე შესაძლებლობისას ჩავდივარ იქ და დროს ჩემს ოჯახთან ერთად ვატარებ. ისე, ერთი კვირით თუ ბათუმში დამპატიჟებდით, სიამოვნებით მივიღებდი მოწვევას (იცინის).

**- სად უფრო გეხერხებათ გართობა და დროსტარება – ესპანეთში თუ საქართველოში?**

- გართობა და დროსტარება იქაც იციან და აქაც. თბილისში მეუღლესთან ერთად ვსეირნობთ ქალაქში, ძველი თბილისი ძალიან მომწონს. ესპანეთში თავისუფალ დროს კი ცხენებთან ვარ და საერთოდ გამორთული ვარ სამყაროს.

**- ლუდი და ერთი ღერი სიგარეტი დამღლელი ვარჯიშის თუ თამაშის შემდეგ – ეს ჩისკოს სტილია თუ საკუთარ თავს მკაცრ შეზღუდვებს უწესებთ?**

- სიგარეტი საერთოდ არ გამისინჯავს. როცა არდადეგებია, მეგობრებთან ერთად მცირე დოზით ლუდი და სასმელი შეიძლება. სეზონის, ანუ სამუშაოს დროს პრაქტიკულად არ ვეკარები სასმელს. პროფესიონალი ვარ და ვთვლი, რომ ყველაფერს თავისი დრო აქვს, გართობასაც და საქმესაც. ერთმანეთში მათი არევა არ გამოდის.

**- რა არის ფეხბურთელ ჩისკოს მთავარი უპირატესობა?**

-რთული სათქმელია, ერთს ვიტყვი, როცა გოლი გამაქვს, ამ განცდის სიტყვით გადმოცემა შეუძლებელია, რაღაცას ვგრძნობ გულის არეში...

დავით თავართქილაძე

---

სიტუაცია

# დილას [illegible]

## გორს დილა უბრუნდება

გუშინ გვიან შევიტყვეთ, რომ გორის "დილას" ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელი **თემურ შალამბერიძე** და მისი სამწვრთნელო შტაბი (**გია ცეცაძე, თემურ ლორთქიფანიძე**) გაათავისუფლა.

დროებით გუნდს **გიორგი ბალაშვილი** განვრთნის, მაგრამ **გიორგი დარასელიასთან** მოლაპარაკება მიმდინარეობს და ისეთ სერიოზულ სტადიაშია გადასული, 43 წლის სპეციალისტს თბილისში პირადი კონტრაქტის შესათანხმებლად ელიან.

შეგახსენებთ, რომ დარასელია თამაშობდა ქუთაისის "ტორპედოში", თბილისის "დინამოში", "სამტრედიაში", ფოთის "კოლხეთში", 1997 წლიდან 2004 წლამდე - ისრაელში და ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნევდნენ. საქართველოს ეროვნულ ნაკრებში 2 შეხვედრა აქვს ჩატარებული.

2004 წლიდან მწვრთნელობა დაიწყო და ებრაელ სპეციალისტ **ელიშა ლევის** რამდენიმე კლუბში ეხმარებოდა, მათ შორის, ჰაიფას „მაკაბიში", ბოლოს - „ლიგატ ჰა ალის" (უმაღლესი ლიგის) ბეერ შევას „ჰაპოელში".

კიდევ რამდენიმე ამბავი "დილაზე": ევროპის ლიგიდან გამოვარდნილი გორული კლუბი ორმა ლიდერმა დატოვა - თავდამსხმელმა **მათე ვაწაძემ** დანიურ "ორჰუსთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა, ნახევარმცველი **შოთა გრიგალაშვილი** კი უახლოესი ერთი წელი რუსეთის პრემიერლიგელ ვლადიკავკაზის "ალანიას" დაეხმარება.



გიორგი დარასელია

წასვლის კიდევ ერთ სავარაუდო კანდიდატად საქართველოს ნაკრების შემტევი ნახევარმცველი **სანდრო გურული** დასახელდა. თუმცა "დილაში" ეს ხმები უარყვეს და გვითხრეს, რომ გურული "დილაში" დეკემბრამდე ითამაშებს, როდესაც კონტრაქტი უმთავრდება.

საერთოდაც, ბევრი მიიჩნევდა, რომ გორის "დილა" ხანმოკლე პროექტი იყო და მალე ფეხბურთელები სხვადასხვა კლუბებში გადანაწილდებოდნენ. შესაძლოა, ჭორები იმიტომაც აგორდა, რომ ბოლო ტურში "ზუგდიდთან" გასვლით შეხვედრაში მათ გარდა კიდევ რვა მოთამაშე დააკლდათ. მაგრამ მიზეზი მათი ტრავმებია, **ლაშა სალუქვაძე, კახა ალადაშვილი, ლაშა გვალია, გიგა ბეჟვაია, გოგიტა გოგუა, ირაკლი მოდებაძე** და **გიორგი ილურიძე** დაშავებულები არიან, **გოჩა ხოჯავა** რეაბილიტაციას გადის, მაგრამ კლუბში მინიმუმ დეკემბრამდე რჩებიანო.

თითქოს ეს არ ეყოფოდათ: **ზურაბ არზიანი** ხელახლა დაშავდა. ზურა მომჯობინდა, "ზუგდიდთან" ითამაშა და ნაკრებში გამოიძახეს, მაგრამ ვარჯიშზე ფეხი იტკინა და მართალია, ტრავმა სერიოზული არ არის, მაგრამ დროებით დაისვენებს.

გორელებს ეს ამბავი ძალიან ადარდებთ, მაგრამ სასიხარულოც აქვთ: სავარაუდოდ, "დილა" საკუთარ არენას 15 სექტემბერს დაუბრუნდება და "თენგიზ ბურჯანაძის" განახლებულ სტადიონს ეროვნულ ჩემპიონატში თბილისის "დინამოსთან" მატჩით გახსნის.

მერაბ მამულაშვილი

---

ზესტაფონი

# ყიფიანის ნაცვლად

**გიორგი ქიაბრიშვილის** გათავისუფლებიდან რამდენიმე დღის შემდეგ "ზესტაფონი" მისმა ყოფილმა ასისტენტმა **გიორგი ყიფიანმაც** დატოვა. ეს ამბავი სავსებით მოსალოდნელი იყო, რადგან ყიფიანი ფეროელებში ქიაბრიშვილის ინიციატივით მიიწვიეს. შეგახსენებთ, ყიფიანმა "ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელის მოვალეობა ბათუმის "დინამოსთან" საშინაო მატჩში შეასრულა.

ამჟამად გუნდს დუბლშემადგენლობის მწვრთნელი **დემურ გიორგობიანი** ფიზმომზადების სერბ მწვრთნელ **ივან ვუჩეტიჩთან** ერთად ამზადებს. თუმცა დიდი ალბათობით, 15 სექტემბერს, როცა "ზესტაფონი" ფოთის "კოლხეთს" ესტუმრება, საქართველოს მოქმედ ჩემპიონს უკვე ახალი თავკაცი ეყოლება.

ყველაფერი იქეთ მიდის, რომ "ზესტაფონს" უცხოელი სპეციალისტი ჩაიბარებს, ოღონდ ჯერ უცნობია – ვინ.

ხვალ "ზესტაფონი" საკუთარ ბაზაზე საკონტროლო მატჩში მარტვილის "მერანს" უმასპინძლებს.

ლევან ჯანეზაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პასი ამერიკიდან. ბრაზილია. სერია ა. XXII ტური

# ფლუმინენსე გალიდერდა

## ამჯერად ზეედორფმა გაიბრწყინა

**ფლამენგო-პონტე პრეტა 0:1**

გოლი: 0:1 უენდელი (20).

**პორტუგეზა-კურიტიბა 3:0**

გოლები: 1:0 ბრუნო მინეირო (12), 2:0 ბრუნო მინეირო (46), 3:0 ანანიასი (55).

**ნაუტიკო-ვასკო და გამა 1:1**

გოლები: 1:0 კიეზა (42), 1:1 ფელიპე ბასტოსი (54).

**გრემიო-ატლ. გოიანიენსე 2:1**

გოლები: 1:0 ელანო (10), 2:0 ელანო (19), 2:1 მარინო (25).

**სან პაულო-ინტერნასიონალი 1:1**

გოლები: 0:1 დაგობერტო (7), 1:1 მაიკონი (18).

**კრუზეირო-ბოტაფოგო 1:3**

გოლები: 1:0 ტინგა (19), 1:1 ზეედორფი (35), 1:2 ზეედორფი (36), 1:3 ჟადსონი (56)

**ფიგეირენსე-კორინთიანსი 1:0**

გოლი: 1:0 კაიო (46).

**ფლუმინენსე-სანტოსი 3:1**

გოლები: 1:0 ველინგტონ ნემი (21), 1:1 ანდრე (29), 2:1 ველინგტონ ნემი (44), 3:1 სამუელ როზა (78).

**პალმეირასი-სპორტი 3:1**

გოლები: 1:0 კორეა (53), 1:1 რივალდო (62), 2:1 ტიაგო რეალი (63), 3:1 ობინა (68).

**ბაია-ატლ. მინეირო 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფლუმინენსე | 22 | 13 | 8 | 1 | 37-15 | 47 |
| 2. ატლ. მინეირო | 21 | 13 | 6 | 2 | 35-16 | 45 |
| 3. გრემიო | 22 | 14 | 2 | 6 | 33-17 | 44 |
| 4. ვასკო და გამა | 22 | 11 | 6 | 5 | 28-20 | 39 |
| 5. სან პაულო | 22 | 11 | 2 | 9 | 34-26 | 35 |
| 6. ინტერნასიონ. | 22 | 9 | 8 | 5 | 27-18 | 35 |
| 7. ბოტაფოგო | 22 | 10 | 4 | 8 | 35-29 | 34 |
| 8. კრუზეირო | 22 | 10 | 4 | 8 | 30-30 | 34 |
| 9. პონტე პრეტა | 22 | 8 | 6 | 8 | 27-29 | 30 |
| 10. ნაუტიკო | 22 | 8 | 4 | 10 | 28-35 | 28 |
| 11. პორტუგეზა | 22 | 7 | 7 | 8 | 23-23 | 28 |
| 12. კორინთიანსი | 22 | 7 | 7 | 8 | 22-22 | 28 |
| 13. ფლამენგო | 21 | 7 | 6 | 8 | 23-28 | 27 |
| 14. სანტოსი | 22 | 6 | 8 | 8 | 26-31 | 26 |
| 15. ბაია | 22 | 5 | 9 | 8 | 19-25 | 24 |
| 16. კურიტიბა | 22 | 6 | 4 | 12 | 32-42 | 22 |
| 17. პალმეირასი | 22 | 5 | 5 | 12 | 21-27 | 20 |
| 18. სპორტი | 22 | 4 | 7 | 11 | 17-31 | 19 |
| 19. ფიგეირენსე | 22 | 4 | 6 | 12 | 23-38 | 18 |
| 20. ატლ. გოიანიენ. | 22 | 3 | 7 | 12 | 22-40 | 16 |

**ბომბარდირები:** 10 – ფრედი (ფლუმინენსე), ლუიშ ფაბიანო (სან პაულო), ვაგნერ ლავი (ფლამენგო); 9 – ალექსანდრო (ვასკო და გამა), ველინგტო პაულისტა (კრუზეირო); 8 – ბრუნო მინეირო (პორტუგეზა).



ზეედორფი კვლავ შესანიშნავ ფორმაშია

**ბრაზილიის ჩემპიონატის მორიგ, 22-ე ტურში ბევრი საინტერესო რამ მოხდა. უმთავრესი გახლავთ ის, რომ პირველად მე-7 ტურის შემდეგ შეიცვალა ლიდერი. "ატლეტიკო მინეირომ" ვერ მოუგო "ბაიას", რითაც კარგად ისარგებლა "ფლუმინენსემ" და სათავეში ჩაუდგა სატურნირო ცხრილს...**

### რონალდინიოს გარეშე რთულია

"ატლეტიკო მინეიროს" ფეხი დაუცდა - **კუკას** გუნდმა "ბაიას" ვერ მოუგო და ლიდერობა დათმო. მინას-ჟერაესის შტატის წარმომადგენლებს სალვადორში **რონალდინიო** ვერ გაჰყვა, რომლის არყოფნაც გუნდს აშკარად დაეტყო. "ბაია" ხელწამოსაკრავი გუნდი არ არის, მით უმეტეს საკუთარ მოედანზე, ასე რომ, სალვადორში მოპოვებული ქულა "ატლეტიკოს" მინუსად არ ჩაეთვლება, მაგრამ ლიდერობის დაკარგვა, რა თქმა უნდა, არასასიამოვნოა.

სალვადორში დაფიქსირებული ფრის შემდეგ, **აბელ ბრაგამ** იცოდა, რომ მოგება მის გუნდს პირველ პოზიციაზე გადაიყვანდა. "ფლუს" წისქვილზე წყალს ისიც ასხამდა, რომ "სანტოსი" უმოტივაციოდაა დარჩენილი და გარდა ამისა, გუნდს **განსო** და **ნეიმარი** აკლდა, თუმცა თავის მხრივ "ფლუმინენსეს" არ ჰყავდა **ფრედი**, რაც ასევე დიდი დანაკლისია.

უპირატესობას მთელი მატჩის განმავლობაში მასპინძლები ფლობდნენ და საბოლოოდ გამარჯვებაც მოიპოვეს. **ველინგტონ ნემმა** თავი დუბლით გამოიჩინა, ერთი გოლიც **სამუელ როზამ** გაიტანა. ახალგაზრდა ფეხბურთელების გოლებს "სანტოსიდან" კიევის "დინამოს" და "ბორდოს" ყოფილმა ფეხბურთელმა **ანდრემ** უპასუხა. საბოლოოდ 3:1 და "ფლუ" გალიდერდა, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ "ატლეტიკოს" ერთი მატჩი თადარიგში აქვს, ისიც "ფლუმინენსეს" მოსისხლე მტერ "ფლამენგოსთან"...

"სანტოსის" უმოტივაციობა ვახსენეთ და თუ **მურისი რამალიოს** გუნდმა ასე გააგრძელა, მალე გაუჩნდება კიდევაც მოტივაცია - სან პაულოს გუნდი ხომ მხოლოდ 6 ქულით უსწრებს გასავარდნ ზონაში მყოფ "პალმეირასს".

### სკოლარიმ ამოისუნთქა

"პაკაემბუზე" უმნიშვნელოვანესი მატჩი გაიმართა: "პალმეირასი" "სპორტ რესიფეს" წინააღმდეგ. ამ მატჩის წინ "პალმეირასი" მე-17 ადგილზე იყო 17 ქულით, "სპორტ რესიფე" კი მე-16 პოზიციას იკავებდა 19 ქულით. როგორც იტყვიან 6-ქულიანი მატჩი იყო, რომლის შემდეგაც **ლუიშ ფელიპე სკოლარიმ** შვებით ამოისუნთქა. პირველი ტაიმი მოსაწყენი გამოდგა და გატანილი გოლების გარეშე დასრულდა. სამაგიეროდ გუნდებმა მეორე ტაიმში გაილაღეს და ერთბაშად 4 გოლი გაიტანეს, აქედან 3 "სპორტ რესიფეს" კარში გავიდა. სკოლარი დებიუტანტებმა იხსნეს: ჯერ კიევის "დინამოდან" ცოტა ხნის წინ გადმოსულმა **კორეამ** გაიტანა, შემდეგ კი "ჟოინვილიდან" მოსულმა **ტიაგო რეალმა**, რომლისთვისაც ეს სულ რაღაც მეორე თამაში იყო "პალმეირასის" რიგებში, წერტილი კი ამ მატჩს **ობინამ** დაუსვა.

*"მთავარი ის არის, რომ ჩვენ 3:1 მოვიგეთ და ეს იმ დროს, როდესაც ბურთი ორჯერ შეეხო კარის ხაზს და არ გადაკვეთა. ეს ნიშნავს, რომ იღბალი ისევ "პალმეირასის" მხარეს არის. ახლა არ უნდა მოვეშვათ, 30 ქულა რომ გვქონდეს, მშვიდად ვიქნებოდით, მაგრამ მხოლოდ 20 გვაქვს, ასე რომ უნდა ავდგეთ და ამ წლის მეორე მიზნის მისაღწევად ბოლომდე ვიბრძოლოთ"* – განაცხადა სკოლარიმ.

შეგახსენებთ, რომ "პალმეირასმა" წლის დასაწყისში ბრაზილიის თასი მოიგო და 2013 წლის ლიბერტადორესის თასის საგზური მოიპოვა .

### ზეედორფის დუბლით

**კლარენს ზეედორფი** წინა სეზონშიც შესანიშნავად გამოიყურებოდა. ის "მილანის" ერთ-ერთი ლიდერი იყო და რიგ მატჩებში მართლაც ბრწყინვალედ ირჯებოდა, მაგრამ დასრულდა სეზონი და ვეტერანმა ბრაზილიაში, საკუთარი მეუღლის სამშობლოში გადაწყვიტა კარიერის გაგრძელება (და ალბათ დასრულებაც). ამ ტურში ზეედორფმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ის ჯერ კიდევ შესანიშნავ ფორმაშია – ჰოლანდიელმა ორი გოლი თავად გაიტანა, ერთი კი **ჟადსონს** გაატანინა.

ბელუ-ორიზონტეში ერთმანეთს ლიბერტადორესის საგზურის ორი მაძიებელი, "კრუზეირო" და "ბოტაფოგო" დაუპირისპირდნენ. 35-ე წუთამდე მასპინძლებისთვის ყველაფერი იდეალურად იყო, დორტმუნდის "ბორუსიას" ყოფილი ნახევარმცველის **ტინგას** გოლის წყალობით ანგარიში 1:0 იყო და "ბოტაფოგოს" შეტევაში არაფერი გამოსდიოდა. 35-ე წუთზე **ფელიპე გაბრიელმა** საჯარიმოს კუთხეში ზეედორფი შეამჩნია და პასიც არ დაუგვიანა. ჰოლანდიელმა, ისე რომ ბურთი მიწაზე არ დაუშვია, ის **ფაბიოს** კარში გადაგზავნა. ზეედორფი ერთ წუთში უკვე მეორე გოლსაც ზეიმობდა, საგოლე პასი კვლავ ფელიპე გაბრიელმა ჩაიწერა. ამის შემდეგ "კრუზეირო" გატყდა და მატჩს მთლიანად სტუმრები აკონტროლებდნენ, შესაბამისად ლოგიკური იყო მესამე გოლიც, რომელიც ზეედორფის შესანიშნავ გარღვევას და არანაკლებ ბრწყინვალე პასს მოჰყვა.

ჰოლანდიელი მატჩის შემდეგ არა საკუთარ თავზე, არამედ გუნდის გამოსვლაზე საუბრობდა: *"თავიდან ძალიან ცუდად დავიწყეთ და ლოგიკური გოლიც გავუშვით, მაგრამ მთავარია, რომ მოვიგეთ. ნამდვილად არ ვიცი, იყო თუ არა ეს ჩემი საუკეთესო თამაში "ბოტაფოგოში" და ამას არც აქვს მნიშვნელობა. ხანდახან მე ვერ ვთამაშობ კარგად და მაშინ ბიჭები აკეთებენ ჩემს საქმეს, გუნდის წარმატება და კარგი თამაში უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კონკრეტულად ჩემი გამოსვლა".*

ამ გამარჯვებით "ბოტაფოგო" სატურნირო ცხრილში "კრუზეიროს" დაეწია და ახლა 5 ქულით ჩამორჩება მე-4 ადგილზე მყოფ "ვასკო და გამას", რომელმაც, რა გასაკვირია და, სტუმრად ვერ მოუგო "ნაუტიკოს" - ამ გუნდის სტადიონზე ხომ თითქმის ყველა გრანდი დაეცა, ასე რომ, **კრისტოვაო ბორჟესი** ქულითაც კმაყოფილი იყო. "ვასკოს" და "ბოტაფოგოს" შორის კი 35 ქულით 'სან პაულო" და "ინტერნასიონალი" იმყოფებიან.

### ფრე არავის სასარგებლოდ

"მორუმბიზე" სწორედ "სან პაულო" და "ინტერნასიონალი" შეხვდნენ ერთმანეთს. იმის გამო, რომ ბრაზილიის ჩემპიონატი სანაკრებო მატჩების დროს არ წყდება, ამ შეხვედრაში მაყურებელმა **ლუკას მოურა** და **ლეანდრო დამიაო** ვერ იხილა.

ანგარიში სტუმრება გახსნეს: **დაგობერტომ** ტრავმის მოშუშებიდან პირველივე შეხვედრაში შეძლო თავის გამოჩენა და ყოფილ კლუბს გაუტანა. მასპინძელ ქომაგებს დიდხანს არ მოუწყენიათ, რადგან უკვე მე-18 წუთზე ანგარიში 1:1 იყო, თავი **მაიკონმა** გამოიჩინა. ვინაიდან ამ შეხვედრაში ქულების ფასი ძალიან დიდი იყო, გუნდები რისკზე არ მიდიოდნენ და საბოლოოდ თითო ქულას დასჯერდნენ.

მორიგი მატჩი მოიგო "გრემიომ", რომელმაც გაიმყარა მესამე ადგილი და შეამცირა ჩამორჩენა მინეიროს "ატლეტიკოსთან". **ელანო ბლუმერის** დუბლის წყალობით პორტუ ალეგრის ბინადრებმა სერია A-ს მეორე "ატლეტიკო" დაამარცხეს. იმის გამო, რომ მოიგო "ფიგეირენსემაც", "ატლეტიკო გოიანენესე" ახლა უკვე ბოლო, მე-20 ადგილზეა.

სახალისო ისტორია

# ანდრე ვილაშ-ბოაში გაურკვევლად საუბრობს

"ბარნლის" ყოფილმა გენერალურმა დირექტორმა **პოლ ფლეტჩერმა** საზოგადოებას ძალიან საინტერესო და სასაცილო ისტორია გაანდო. 2010 წელს გუნდი პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძოდა, ხოლო იანვარში, მას შემდეგ რაც **ოუენ კოილი** "ბოლტონში" წავიდა, საჭირო გახდა ახალი მწვრთნელის დანიშვნა.

*"განცხადება ძალიან ბევრმა მწვრთნელმა წარმოადგინა, მათ შორის იყო ანდრეც, რომელიც მაშინ "აკადემიკაში" მუშაობდა. მისი CV და Power Points-ში გაკეთებული პრეზენტაცია შთამბეჭდავი იყო, მაგრამ მე ნახევარზე მეტი ვერ გავიგე",*- განაცხადა პოლ ფლეტჩერმა.

საბოლოოდ **ვილაშ-ბოაშს** უარი უთხრეს, ის კი იმავე წლის ზაფხულში "პორტუში" დაინიშნა, სადაც ერთ წელიწადში ოთხი ტიტული მოიგო. უარის მთავარი მიზეზი იყო ენა, რომლითაც პორტუგალიელს პრეზენტაცია ჰქონდა დაწერილი. ისევ ფლეტჩერი: *"ლიტერატურული ენა და ჟარგონი ფეხბურთში ყოველ დღე უარესდება, ჟარგონულ ტერმინებს ვილაშ-ბოაშიც ხშირად ხმარობს. არა მგონია, რომ "ბარნლის" ფეხბურთელებს გაეგოთ, თუ რა უნდოდა მწვრთნელს მათგან, როცა ის მაგალითად მათ "გამაგრებას" მოსთხოვდა. ტომი დოჰერტი ხშირად ამბობდა, რომ ის არ ეტყოდა ფეხბურთელებს ისეთ რამეს, რასაც მისი რძის გამყიდველი ვერ გაიგებდა. არა მგონია, რომ რძის გამყიდველს გაეგო ანდრეს სიტყვების უმეტესობა".*



თარგმანში დაკარგული ადნრე ვილაშ-ბოაში

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

● გერმანია. ბუნდესლიგა. ტრანსფერები

# სრული გერმანული სატრანსფერო ბაზარი

**ბუნდესლიგის ყველაზე ხმაურიანი და ამავდროულად სარეკორდო ტრანსფერი, რა თქმა უნდა, ხავი მარტინესის „ბაიერნში" გადასვლა იყო - მიუნხენურმა გრანდმა ბილბაოს „ატლეტიკს" 24 წლის უნიჭიერესი ნახევარმცველის სანაცვლოდ 40 მილიონი ევრო გადაურიცხა. თუმცა გერმანიაში კიდევ არაერთი საინტერესო გარიგება შედგა...**

## ბორუსია (დ)

**მივიდნენ**: ლეონარდო ბიტენკური (კოტბუსი) - 2.7 მლნ; მარკო როისი (ბორუსია /მ/) - 17.1 მლნ; ზლატან ალომეროვიჩი (ბორუსია /დ/ II); ქორაი გიუნტერი (ბორუსია /დ/ II); მარვინ დუკში (ბორუსია /დ/ II); ოლივერ კირხი (კაიზერსლაუტერნი) - 0.35 მლნ; იულიან შიბერი (შტუტგარტი) - 5.5 მლნ; მუსტაფა ამინი (ცენტრალ ქოუსტი) - უფასოდ.

**წავიდნენ**: იოჰანეს ფოხერი (შტურმი) - უფასოდ; დიმიტარ რანგელოვი (ლუცერნი) - 0.3 მლნ; შინჯი კაგავა (მანჩესტერ იუნაიტედი) - 16 მლნ; მარკო შტიპერმანი (კოტბუსი) - 0.2 მლნ; ლუკას ბარიოსი (გვანჯუ) - 8.5 მლნ; ფლორიან კრინგე (ზანკტ პაული) - უფასოდ; ანტონიო და სილვა (დუისბურგი) - უფასოდ.

## ბაიერნი

**მივიდნენ**: მარიო მანჯუკიჩი (ვოლფსბურგი) - 13 მლნ; ჯერდან შაჩირი (ბაზელი) - 11.8 მლნ; მიტჩელ ვაიზერი (კიოლნი) - 0.8 მლნ; პატრიკ ვაირაუხი (ბაიერნი II); ტომ შტარკე (ჰოფენჰაიმი) - უფასოდ; დანტე (ბორუსია /მ/) - 4.7 მლნ; ლუკას რედერი (შალკე II) - უფასოდ; ემრე ჩანი (ბაიერნი II); კლაუდიო პისარო (ვერდერი) - უფასოდ; ხავი მარტინესი (ბილბაო) - 40 მლნ.

**წავიდნენ**: როუვენ ზატელმაიერი (უკლუბოდ); ჰანს იორგ ბუტი (კარიერა დაასრულა); ივიცა ოლიჩი (ვოლფსბურგი) - უფასოდ; დანიელ პრანიჩი (სპორტინგი) - უფასოდ; ბრენო (ციხეშია); ნილს პეტერსენი (ვერდერი) - 0.5 მლნ/იჯარა; ტაკაშიი უსამი (გამბა) - იჯარა.

## შალკე

**მივიდნენ**: სეად კოლასინაცი (შალკე II); ფილიპ ჰოფმანი (შალკე II); რომან ნოიშტედტერი (ბორუსია /მ/) - უფასოდ; ჩინედუ ობასი ოგბუკე (ჰოფენჰაიმი) - 4 მლნ; ტრანკუილიო ბარნეტა (ლევერკუზენი) - უფასოდ; იბრაჰიმ აფელაი (ბარსელონა) - 0.5 მლნ/იჯარა.

**წავიდნენ**: კარლოს სამბრანო (ზანკტ პაული) - 0.75 მლნ; ანდრეას ვიგელი (აუე) - უფასოდ; ფილიპ ჰოფმანი (პადერბორნი) - იჯარა; ჰანს სარპეი (კარიერა დაასრულა); ტიმ ჰოოგლანდი (შტუტგარტი) - 0.3 მლნ/იჯარა; პეერ კლუგე (ჰერტა) - 0.25 მლნ; ჩიპრიან დეაცი (კლუჟი) - 0.7 მლნ; მარიო გავრანოვიჩი (ციურიხი) - უფასოდ; იან მორავეკი (აუგსბურგი) - 0.7 მლნ; რაული (ალ სადი) - უფასოდ; მათიას შობერი (კარიერა დაასრულა); ლევან ყენია (კარპატი) - უფასოდ; ალექსანდერ ბაუმიოჰანი (კაიზერსლაუტერნი) - უფასოდ; ანტონი ანანი (ოსასუნა) - 0.3 მლნ/იჯარა; ედუ (ფიურტი) - 0.1 მლნ/იჯარა; ხოსე მანუელ ხურადო (სპარტაკი) - 1.5 მლნ/იჯარა.

## ბორუსია (მ)

**მივიდნენ**: გრანიტ ჯაკა (ბაზელი) - 8.5 მლნ; პენიელ მლაპა (ჰოფენჰაიმი) - 2.5 მლნ; ბრანიმირ ჰრგოტა (იონკოპინგი) - 0.4 მლნ; ალვარო დომინგესი (ატლეტიკო) - 7 მლნ; ლუუკ დე იონგი (ტვენტე) - 12 მლნ; ალექსანდერ ბილერი (ბორუსია /მ/ II);

**წავიდნენ**: მარკო როისი (ბორუსია /დ/) - 17.1 მლნ; რომან ნოიშტედტერი (შალკე) - უფასოდ; დანტე (ბაიერნი) - 4.7 მლნ; ლოგან ბეილი (ლეუვენი) - უფასოდ; ტობიას ლეველსი (ფორტუნა) - 0.2 მლნ; ანდერსონი (აინტრახტი) - 0.8 მლნ; იუკი ოცუ (ვენლო) - 0.4 მლნ.

## ლევერკუზენი

**მივიდნენ**: ნიკლას ლომბი (ლევერკუზენი II); დანიელ კარვახალი (რეალი II) - 5 მლნ; ჟუნიორ ფერნანდესი (უნივერსიდადი) - 3.5 მლნ; დომინიკ კორი (ლევერკუზენი II); ერიკ ძენგა (ლევერკუზენი II); კოლია პუში (ლევერკუზენი II); სამედ იეზილი (ლევერკუზენი II); ფილიპ ვოლშაიდი (ნიურნბერგი) - 5 მლნ.

**წავიდნენ**: მიხაელ ბალაკი (უკლუბოდ); ზვონკო პამიჩი (დუისბურგი) - უფასოდ; ლუკასი (ვასასი) - უფასოდ; ნიკოლაი იორგენსენი (კოპენჰაგენი) - უფასოდ; დანი და კოშტა (ინგოლშტადტი) - იჯარა; ბასტიან ოჩიპკა (აინტრახტი) - 0.5 მლნ; ფაბიან გიფერი (ფორტუნა) - 0.4 მლნ; ტრანკუილიო ბარნეტა (შალკე) - უფასოდ; ტანოს პეცოსი (ფიურტი) - 0.05 მლნ; რენე ადლერი (ჰამბურგი) - უფასოდ; ერენ დერდიოკი (ჰოფენჰაიმი) - 5 მლნ; სამედ იეზილი (ლივერპული) - 1.3 მლნ; ვედრან ჩორლუკა (ტოტენჰემი) - იჯარა დაუმთავრდა.

## შტუტგარტი

**მივიდნენ**: რაფაელ ჰოლცჰოიზერი (შტუტგარტი II); ანტონიო რუდიგერი (შტუტგარტი II); ანდრე ვაისი (შტუტგარტი II); კევინ შტიოგერი (შტუტგარტი II); თუნაი თორუნი (ჰერტა) - უფასოდ; ტიმ ჰოოგლანდი (შალკე) - 0.3 მლნ.

**წავიდნენ**: მატიო დელპიერი (ჰოფენჰაიმი) - უფასოდ; ტიმო გებჰარდტი (ნიურნბერგი) - 1 მლნ; ხალიდ ბულარუზი (სპორტინგი) - უფასოდ; სტეფანო ჩელოცი (აინტრახტი) - უფასოდ; იულიან შიბერი (ბორუსია /დ/) - 5.5 მლნ.

## ჰანოვერი

**მივიდნენ**: ჰიროკი საკაი (რეისოლი) - 1.2 მლნ; ფელიპე (სტანდარდი) - 2.5 მლნ; ადრიან ნიკჩი (ციურიხი) - 0.6 მლნ; საშა შიუნემანი (ჰანოვერი II); იანიკ შულცე (ჰანოვერი II); ნიკო გისელმანი (ჰანოვერი II); ჟაბოლჩ ჰუშტი (ზენიტი) - 0.75 მლნ.




**წავიდნენ**: დანიელ როიერი (კიოლნი) - 0.12 მლნ/იჯარა; მორიტც შტოპელკამპი (მიუნხენ 1860) - 0.25 მლნ; ემანუელ პოგატეცი (ვოლფსბურგი) - 2.5 მლნ; ერდალ აკდარი (ქაისერი) - უფასოდ; ალტინ ლალა (ბაიერნი II) - უფასოდ; კარლიტოსი (ესტორილი) - უფასოდ.

## ვოლფსბურგი

**მივიდნენ**: ვაცლავ პილარი (ჰრადეცი) - 1.5 მლნ; ივიცა ოლიჩი (ბაიერნი) - უფასოდ; პატრიკ დრევესი (ვოლფსბურგი II); ემანუელ პოგატეცი (ჰანოვერი) - 2.5 მლნ; ბას დოსტი (ჰერენვენი) - 7 მლნ; კევინ პანევიტცი (ჰანზა) - 0.3 მლნ; ნალდო (ვერდერი) - 4.8 მლნ; ფაგნერი (ვასკო) - 3 მლნ.

**წავიდნენ**: მარიო მანჯუკიჩი (ბაიერნი) - 13 მლნ; თუნჯაი სანლი (უკლუბოდ); ჯოვანი სიო (აუგსბურგი) - 0.1 მლნ/იჯარა; აკაკი გოგია (ზანკტ პაული) - 0.05 მლნ/იჯარა; იბრაჰიმ სისოკო (პანათინაიკოსი) - 0.1 მლნ/იჯარა; ნასიმ ბენ ხალიფა (გრასჰოპერსი) - უფასოდ; ბიარნე თიოლკე (დინამო /დ/) - 0.05 მლნ/იჯარა; კაიუბი (ინგოშტადტი) - უფასოდ; კევინ შაიდჰაუერი (ბოხუმი) - 0.1 მლნ/იჯარა; ანდრე ლენცი (კარიერა დაასრულა); ჰასან სალიჰამიჯიჩი (უკლუბოდ); თომას ჰიტცლშპერგერი (უფასოდ); კრისი (ჰოფენჰაიმი) - უფასოდ; სებასტიან პოლტერი (ნიურნბერგი) - 0.2 მლნ/იჯარა; პეტრ ირაჩეკი (ჰამბურგი) - 4 მლნ; პატრიკ ოხსი (ჰოფენჰაიმი) - იჯარა; პეტერ პეკარიკი (ჰერტა) - უფასოდ; აშკან დეჟაგა (ფულჰემი) - 2.5 მლნ.

## ვერდერი

**მივიდნენ**: სოკრატისი (ჯენოა) - 3.5 მლნ; კევინ დე ბრუინი (ჩელსი) - 0.45 მლნ/იჯარა; ელჯერო ელია (იუვენტუსი) - 5.5 მლნ; ნილს პეტერსენი (ბაიერნი) - 0.5 მლნ/იჯარა; თეოდორ გებრე სელასიე (სლოვანი) - 1.8 მლნ; ასანი ლუკიმია მულონგოტი (ფორტუნა) - უფასოდ; რიხარდ შტრებინგერი (ჰერტა II) - უფასოდ; რაფაელ ვოლფი (კაპფენბურგი) - 0.2 მლნ; ლევენტ აიჩიჩეკი (ვერდერი II); იოზეპ აკპალა (ბრიუგე) - 1.5 მლნ; სანდრო ვაგნერი (კაიზერსლაუტერნი) - იჯარა.

**წავიდნენ**: მარკო მარინი (ჩელსი) - 8 მლნ; სებასტიან ბიონიში (უკლუბოდ); ონურ აიქი (უკლუბოდ); სანდრო ვაგნერი (ჰერტა) - უფასოდ; ტიმ ბოროვსკი (უკლუბოდ); ტიმ ვიზე (ჰოფენჰაიმი) - უფასოდ; მიკაელ სილვესტრი (უკლუბოდ); ნალდო (ვოლფსბურგი) - 4.8 მლნ; კლაუდიო პისარო (ბაიერნი) - უფასოდ; ლენარტ თაი (ზანკტ პაული) - უფასოდ; მარკუს როზენბერგი (ვესტ ბრომვიჩი) - უფასოდ; დანი ავდიჩი (ზვოლე) - არენდა.

## ნიურნბერგი

**მივიდნენ**: ნოა კორჟოვსკი (შალკე II) - უფასოდ; ტიმო გებჰარდტი (შტუტგარტი) - 1 მლნ; ჰიროში კიოტაკე (ჩერეცო) - 1 მლნ; სებასტიან პოლტერი (ვოლფსბურგი) - 0.2 მლნ/არენდა; მარკოს ანტონიო (რაპიდი) - უფასოდ.

**წავიდნენ**: ფილიპ ვოლშაიდი (ლევერკუზენი) - 5 მლნ; იური იუდტი (ლაიპციგი) - უფასოდ; რუბინ ოკოტიე (შტურმი) - უფასოდ; დომინიკ მარო (კიოლნი) - უფასოდ; კრისტოფ ზაუტერი (კარლსრუე) - უფასოდ; მანუელ ზაიტცი (პადერბორნი) - იჯარა; ალბერტ ბუნიაკუ (კაიზერსლაუტერნი) - უფასოდ; კრისტიან აიგლერი (ინგოლშტადტი) - უფასოდ; იულიან ვისმაიერი (რეგენსბურგი) - იჯარა; ვილსონ კამავუაკა (რეგენსბურგი) - იჯარა; იენს ჰეგელერი (ლევერკუზენი) - იჯარა; დანიელ დიდავი (შტუტგარტი) - იჯარა.

## ჰოფენჰაიმი

**მივიდნენ**: კრისი (ვოლფსბურგი) - უფასოდ; ტაკაში უსამი (გამბა) - 0.3 მლნ/იჯარა; ერენ დერდიოკი (ლევერკუზენი) - 5 მლნ; მატიო დელპიერი (შტუტგარტი) - უფასოდ; ტიმ ვიზე (ვერდერი) - უფასოდ; შტეფან შრიოკი (ფიურტი) - უფასოდ; ფილიპ მალბაშიჩი (რად ბელგრადი) - 0.75 მლნ; ხოსელუ (რეალი II) - 6 მლნ; პატრიკ ოხსი (ვოლფსბურგი) - იჯარა; კევინ ვოლანდი (მიუნხენ 1860) - იჯარა; მიხაელ გრეგორიჩი (კაპფენბერგი) - იჯარა; იენს გრალი (პადერბორნი) - იჯარა; იუკა რაიტალა (ოსასუნა) - იჯარა;

**წავიდნენ**: ჩინედუ ობასი ოგბუკე (შალკე) - 4 მლნ; დომინიკ კაიზერი (ლაიპციგი) - 0.1 მლნ; გილფი სიგურდსონი (ტოტენჰემი) - 10 მლნ; იუკა რაიტალა (ჰერენვენი) - 0.8 მლნ; ფრანკო სუკულინი (სარაგოსა) - უფასოდ; მანუელ გულდე (პადერბორნი) - უფასოდ; პენიელ მლაპა (ბორუსია /მ/) - 2.5 მლნ; ანდრეას იბერტსბერგერი (უკლუბოდ); დანიელ ჰაასი (უნიონი) - უფასოდ; ტომ შტარკე (ბაიერნი) - უფასოდ; კნოულეჯ მუსონა (აუგსბურგი) - 0.1 მლნ/იჯარა; ველინგტონი (უკლუბოდ); ისააკ ვორსა (ზალცბურგი) - 4 მლნ; რაიან ბაბელი (აიაქსი) - უფასოდ; ედსონ ბრააფჰაიდი (ტვენტე) - უფასოდ.

## ფრაიბურგი

**მივიდნენ**: მაქს კრუსე (ზანკტ პაული) - 7.5 მლნ; მარკო ტერაცინო (კარლსრუე) - უფასოდ; ვეგარ ეგენ ჰედენსტადი (სტაბეკი) - 0.5 მლნ; კრისტიან ბიკელი (რეგენსბურგი).

**წავიდნენ**: ოლივერ ბართი (აალენი) - უფასოდ; ანდრეას ჰინკელი (უკლუბოდ); სიმონ ბრანდშტეტერი (კარლსრუე) - უფასოდ; შტეფან რაიზინგერი (ფორტუნა) - 0.2 მლნ; ერიხ ზაუტერი (ჰალეშერი) - იჯარა; მიხაელ ლუმბი (ზენიტი).

## მაინცი

**მივიდნენ**: შონ პარკერი (მაინცი II); ჟუნიორ დიასი (ბრიუგე) - 0.08 მლნ; ჩინედუ ედე (უნიონი) - 1.2 მლნ; ტობიას შილკი (მაინცი II); ნიკიტა რუკავიცა (ჰერტა) - 0.9 მლნ; ივან კლასნიჩი (უკლუბოდ იყო).

**წავიდნენ**: ოიგენ გოპკო (უკლუბოდ); მოჰამედ ზიდანი (ბანიასი) - უფასოდ; ზოლტან შტიბერი (ფიურტი) - 0.9 მლნ; ფაბიან შიონჰაიმი (უნიონი) - იჯარა; სამი ალაგუი (ჰერტა) - 1.6 მლნ; მალიკ ფათი (ქაისერი) - 0.2 მლნ/იჯარა; დენიზ ილმაზი (პადერბორნი) - 0.05 მლნ/იჯარა; პეტარ შლიშკოვიჩი (დინამო /დ/) - 0.05 მლნ/იჯარა; ანტონი უჯა (კიოლნი); მარიო გავრანოვიჩი (შალკე).

## აუგსბურგი

**მივიდნენ**: კოულეჯ მუსონა (ჰოფენჰაიმი) - 0.1 მლნ/იჯარა; იან მორავეკი (შალკე) - 0.7 მლნ; რონი ფილპი (რეგენსბურგი) - უფასოდ; ანდრეას ოტლი (ჰერტა) - უფასოდ; კევინ ფოგტი (ბოხუმი) - 0.6 მლნ; არისტიდ ბონსე (ალ აჰლი) - 0.5 მლნ; მილან პეტრჟელა (პლზენი) - 0.3 მლნ; რაგნარ კლავანი (ალკმაარი) - 0.25 მლნ; ჯოვანი სიო (ვოლფსბურგი) - 0.1 მლნ/იჯარა.

**წავიდნენ**: აქსელ ბელინგჰაუზენი (ფორტუნა) - უფასოდ; დმონიკ პაიტცი (კარლსრუე); იონას დე რუკი (ლეუვენი) - უფასოდ; მარსელ ნდიენგი (ჰერტა) - უფასოდ; პატრიკ მაიერი (ჰაიდენჰაიმი) - უფასოდ; ნანდო რაფაელი (ფორტუნა) - უფასოდ; დანიელ ბრინკმანი (კოტბუსი) - უფასოდ; ედმონდ კაპლანი (ფრანკფურტი) - უფასოდ; [illegible] (უკლუბოდაა); [illegible] - უფასოდ.

## ჰამბურგი

**მივიდნენ**: არტიომ რუდნევსი (ლეხი) - 3.5 მლნ; რენე ადლერი (ლევერკუზენი) - უფასოდ; კრისტიან ნიორგაარდი (ჰამბურგი II); პაულ შარნერი (ვესტ ბრომვიჩი) - უფასოდ; მილან ბადელი (დინამო /ზ/) - 4 მლნ; ჰაქან ჩალანოღლუ (კარლსრუე) - 2.5 მლნ; პეტრ ირაჩეკი (ვოლფსბურგი) - 4 მლნ; რაფაელ ვან დერ ვაარტი (ტოტენჰემი) - 13 მლნ.

**წავიდნენ**: რომეო კასტელენი (უკლუბოდ); გიოქჰან ტიორე (რუბინი) - 3 მლნ; ლენარდ სოვა (ჰამბურგი II); მაკალეი ხრიზანტუსი (ლას პალმასი) - უფასოდ; მლადენ პეტრიჩი (ფულჰემი) - უფასოდ; დანიელ ნაგი (ოსნაბრიუკი) - უფასოდ; მიროსლავ სტეპანეკი (სენიკა) - უფასოდ; სიორენ ბერტრამი (ბოხუმი) - უფასოდ; პაულო გერერო (კორინთიანსი) - 5 მლნ; დავიდ იაროლიმი (ევიანი) - უფასოდ.

## ფიურტი

**მივიდნენ**: ილირ აზემი (ფიურტი II); ტობიას მიკელსენი (ნორდსიელანდი) - 0.5 მლნ; ისა ნდოიე (ვოლინი) - უფასოდ; ზოლტან შტიბერი (მაინცი) - 0.9 მლნ; აბდულ რაჰმან ბაბა (დრეამზი) - უფასოდ; ლასე სობიეხი (ბორუსია /დ/) - 0.1 მლნ/იჯარა; ტანოს პეცოსი (ლევერკუზენი) - 0.05 მლნ; მიხაელ ჰაფელე (უნტერჰახინგი) - უფასოდ; ვოლფგანგ ჰესლი (დინამო /დ/) - უფასოდ; თომას პლედლი (მიუნხენ 1860 II) - უფასოდ; ჯიბი ფალი (ლოკერენი) - 0.8 მლნ; ედუ (შალკე) - 0.1 მლნ/იჯარა.

**წავიდნენ**: დანი შაჰინი (ფორტუნა) - უფასოდ; ოლივიე ოუშენი (აინტრახტი) - 1.3 მლნ; ასენ კარასლავოვი (პლოვდივი) - უფასოდ; ფრანკო ფლიუკიგერი (ჰალეშერი) - უფასოდ; კრისტიან დორდა (ჰერაკლესი) - უფასოდ; შტეფან შრიოკი (ჰოფენჰაიმი) - უფასოდ; კრისტიან რანი (რეგენსბურგი) - უფასოდ; კინგსლი ონუეგბუ (ზანდჰაუზენი).

## აინტრახტი

**მივიდნენ**: ერიკ ვილე (აინტრახტი II); ვადიმ დემიდოვი (სოსიედადი) - 0.5 მლნ; ოლივიე ოუშენი (ფიურტი) - 1.3 მლნ; ტაკაში ინუი (ბოხუმი) - 1.2 მლნ; მარტინ ლანიგი (კიოლნი) - უფასოდ; ბასტიან ოჩიპკა (ლევერკუზენი) - 0.5 მლნ; სტეფანო ჩელოცი (შტუტგარტი) - უფასოდ; იულიან დუდა (აინტრახტი II); რიკარდო კლერკი (სტაბეკი); შტეფან აიგნერი (მიუნხენ 1860) - იჯარა; კევინ ტრაპი (კაიზერსლაუტერნი) - 1.5 მლნ; ანდერსონი (ბორუსია /მ/) - 0.8 მლნ; კარლოს სამბრანო (ზანკტ პაული) - 1.2 მლნ; დორგე კუემაა (ბრიუგე) - 0.2 მლნ/იჯარა.

**წავიდნენ**: მათიას ლემანი (კიოლნი) - უფასოდ; მაჰამადუ იდრისუ (კაიზერსლაუტერნი) - 0.45 მლნ; გორდონ შილდენფელდი (დინამო /მ/) - 1.5 მლნ; მარკოს ალვარესი (შტუტ. კიკერსი) - უფასოდ; დომინიკ შმიდტი (პროისენ მიუნსტერი) - უფასოდ; ჰაბიბ ბელაიდი (სედანი) - უფასოდ; უმით ქორქმაზი (ინგოლშტადტი) - უფასოდ; გეორგიოს ცაველასი (მონაკო) - 0.3 მლნ.

## ფორტუნა

**მივიდნენ**: რონი გარბუშევსკი (ხემნიტცი) - უფასოდ; სტელიოს მალეზასი (პაოკ) - 0.45 მლნ; ალოისმან აიდინი (ფორტუნა II); ნიკოს პაპადოპულოსი (ოლიმპიაკოსი) - 0.05 მლნ; ტობიას ლეველსი (ბორუსია /მ/) - 0.2 მლნ; შტეფან რაიზინგერი (ფრაიბურგი) - 0.2 მლნ; ბასტიან მიულერი (ბაიერნი II) - უფასოდ; დუ-რი ჩა (სელტიკი) - უფასოდ; ნანდო რაფაელი (აუგსბურგი) - უფასოდ; ფაბიან გიფერი (ლევერკუზენი) - 0.4 მლნ; ლეონ ბალოგუნი (ვერდერი II) - უფასოდ; აქსელ ბელინგჰაუზენი (აუგსბურგი) - უფასოდ; ბრუნო სუარესი (დუისბურგი) - უფასოდ; დანი შაჰინი (ფიურტი) - უფასოდ; ანდრეი ვორონინი (დინამო /მ/) - 0.5 მლნ.

**წავიდნენ**: საშა რიოსლერი (ალემანია) - უფასოდ; ადრიანო გრიმალდი (ოსნაბრიუკი) - უფასოდ; საშა დუმი (უკლუბოდ); რანისავ იოვანოვიჩი (დუისბურგი) - უფასოდ; კაი შვერტფეგერი (ალემანია) - უფასოდ; მიხაელ რატაიჩაკი (უკლუბოდ); თომას ბრიოკერი (კიოლნი) - უფასოდ; ასანი ლუკიმია მულონგოტი (ვერდერი) - უფასოდ; მარკუს კრაუსი (შტუტ. კიკერსი) - უფასოდ.

მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

იტალია. სერია A

# ტურინული ენთუზიაზმი, მილანური კრიზისი და რომაული რევოლუცია

## ზაფხულის სატრანსფერო ანალიტიკა

**გუშინდელ ნომერში სერია A-ს კლუბების მიერ ზაფხულში განხორციელებული ტრანსფერების სრული ჩამონათვალი შემოგთავაზეთ, დღეს კი თემა უნდა განვავრცოთ და გავაანალიზოთ, თუ რა მოხდა 1 ივნისიდან 31 აგვისტოს ჩათვლით. მასალა აპენინური სპორტული პრესის მიხედვითაა შედგენილი და ბუნებრივია, აქცენტი წამყვან იტალიურ გუნდებზე კეთდება...**



სილვიო ბერლუსკონიმ (მარცხნივ) და ადრიანო გალიანიმ "მილანის" გულშემატკივრები ვერაფრით გაახარეს

### იუვენტუსი

ახალი ფორმაციის "იუვენტუსი", ანუ **ანტონიო კონტეს** "იუვე" პირველივე სეზონში ჩემპიონი გახდა და შესაბამისად, ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა. ლიგაზე იმად გავამახვილეთ ყურადღება, რომ ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირზე ასპარეზობა დიდ ფინანსურ სარგებელს ნიშნავს, ეს კი კლუბს სატრანსფერო ბაზრისკენ ფართოდ უხსნის გზას. ტურინული გრანდის მესვეურებმა ტრანსფერებისთვის დაახლოებით 50 მილიონი ევრო გამოყვეს და თანხა არა ერთი სუპერვარსკვლავის გადაბირებას, არამედ რამდენიმე მაღალი კლასის ფეხბურთელის დამატებას მოახმარეს. მაგალითად, 9.4 მილიონი ევრო დაჯდა **მაურისიო ისლას** ტრანსფერი, **კვადვო ასამოაში** კი პიემონტელებმა 9 მილიონი გადაიხადეს; საგულისხმოა, რომ ორივე მათგანი ტურინელებმა "უდინეზედან" გადაიბირეს. ამათ დავამატოთ **სებასტიან ჯოვინკო**, დაახლოებით იგივე ფასში და კიდევ რამდენიმე საინტერესო გარიგება; თუნდაც **ლუსიო**, რომელიც პიემონტელებს სულაც უფასოდ ერგოთ.

"იუვენტუსთან" მიმართებაში, მთავარი სათქმელი ის გახლავთ, რომ ტურინელები უდიდესი ენთუზიაზმით „აშენებენ" ახალ გუნდს და ეს იმ ენერგიულ ნაბიჯებში კარგად ჩანს, რომლებიც "იუვეს" მესვეურებმა ამ ზაფხულს სატრანსფერო ბაზარზე გადადგეს. ფაქტია, შემადგენლობის მხრივ, "ბიანკონერი" ამ სეზონში კიდევ უფრო ძლიერია, ვიდრე გასულში იყო, რაც წესით წარმატების საწინდარი უნდა გახდეს.

### მილანი

"იუვენტუსის" შესახებ მთავარი სათქმელი ის იყო, რომ კლუბის მესვეურები უდიდესი ენთუზიაზმით აკეთებენ თავის საქმეს, აი "მილანთან" დაკავშირებით კი სრულიად სხვა სურათი იხატება: რჩება შთაბეჭდილება, რომ **სილვიო ბერლუსკონის** მობეზრდა კლუბის მართვა, დიდად აღარც წარმატებები ახარებს, მაგრამ არც იმ საქმესთან განშორება სურს, რომელსაც ათწლეულებია აკეთებს. შედეგად ვილებთ პასიურ სატრანსფერო პოლიტიკას, არაერთ გაყიდულ ვარსკვლავს, უამრავ გაშვებულ ფეხბურთელს და რბილად რომ ვთქვათ, არასრულფასოვან შევსებას. ეს ყველაფერი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ "როსონერი" ყველა ფრონტზე შეირცხვენს თავს, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ლომბარდიელებმა სატრანსფერო კამპანია ჩააგდეს.

"მილანის" მესვეურებმა **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** და **ტიაგო სილვას** გასხვისებით დაახლოებით 65 მილიონი ევრო მიიღეს – თუ ამას 50 მილიონ ევრომდე დაზოგილ წლიურ სახელფასო ფონდს დავუმატებთ, აშკარა ხდება, რომ ლომბარდიელებმა ბიუჯეტი გვარიანად ახეირეს. რაც შეეხება ხარჯებს, ახალი ფეხბურთელების შეძენაში დაზოგილის ნახევარიც კი არ დახარჯულა და გასული თანხები სულაც მიზერული იქნებოდა, სატრანსფერო ბაზრის ბოლო დღეს **ჯამპაოლო პაცინი** რომ არ გადაებირებინათ; პაცო მილანელებს 12.5 მილიონი ევრო დაუჯდათ. კაცმა არ იცის, რას იზამს "მილანი" მიმდინარე სეზონში, მაგრამ ერთი დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ – "როსონერის" მესვეურთა ქმედებებში კრიზისი შეინიშნება.



"რომას" ახალი პრეზიდენტი ტომას დი ბენედეტო შედეგს სანახაობრივი ფეხბურთით ითხოვს

### ინტერი

ტურინელები ენთუზიაზმით არიან აღსავსე, "მილანისტებს" კრიზისი აქვთ და რა ხდება "ინტერის" ბანაკში? – რა აზრები ტრიალებს **მასიმო მორატის** თავში და როგორ წარმართავს კლუბის სატრანსფერო პოლიტიკას? – ამ კითხვებზე ზუსტი პასუხის გაცემა პრაქტიკულად წარმოუდგენელია, მაგრამ ერთი შეხედვით, სენიორ მასიმო ბრინჯივით დაბნეულია და თვითონაც არ იცის, რას აკეთებს... მორატი მას შემდეგ დაიბნა, რაც "ინტერი" **ჟოზე მოურინიომ** დატოვა და აგერ უკვე მერამდენე წელია, კალაპოტში ჩადგომას ცდილობს. **ანდრეა სტრამაჩონი** ახალგაზრდა, ენთუზიაზმით აღსავსე სპეციალისტია, მაგრამ რჩება შთაბეჭდილება, რომ ბოლომდე არც მას აქვს გააზრებული, საით მიჰყავს გუნდი და როგორი ფეხბურთი უნდა ითამაშოს მისმა "ინტერმა"...

მილანურმა გრანდმა სატრანსფერო ბაზარზე საკმაოდ დიდი ფული დახარჯა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს არანაკლებ ვარსკვლავური შემადგენლობა ჰყავს, ვიდრე ბოლო წლებში. მაგრამ რა აკავშირებთ ერთმანეთთან **ფრედი გუარინს, ვესლი სნეიდერს, ანტონიო კასანოს** და **რიკი ალვარესს**, ერთი ღმერთმა უწყის; სხვანაირად რომ ვთქვათ, ამ გუნდს მართლა გუნდად ქცევა სჭირდება, ანუ დრო შეთამაშებისთვის... მაგრამ ეს ყველაფერი ლაპარაკად დარჩება, თუ მორატი ფორმაში არ ჩადგა და თუ სტრამაჩონი ბოლოს და ბოლოს არ გაერკვა, როგორი ფეხბურთი უნდა ითამაშოს მისმა "ინტერმა".

### ლაციო

გასულ ზაფხულს **კლაუდიო ლოტიტომ** თავი გამოიდო და გუნდის გაძლიერებას სერიოზულად მიჰყო ხელი. "ლაციოში" **მიროსლავ კლოზე** და **ჯიბრილ სისე** გადავიდნენ, თავდამსხმელთა ტანდემი, რომელზეც რომაელი გულშემატკივრები უდიდეს იმედებს ამყარებდნენ. მართალია, სისემ საერთოდ ვერ გაამართლა მოლოდინი, მაგრამ კლოზემ თავის თავს არ უღალატა და გოლები იტალიაშიც ბლომად გაიტანა; მიუხედავად ამისა, "ლაციომ" იმ შედეგს მიაღწია, რასაც ბოლო წლებში სტაბილურად აღწევდა: ევროპის ლიგის საგზური. როგორც ჩანს, ამ ყველაფერმა რომაული კლუბის პრეზიდენტს ფულის ხარჯვაზე ხელი აალებინა და სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობის ენთუზიაზმი გაუნელა. სხვას რას უნდა მივაწეროთ ის ფაქტი, რომ ამ ზაფხულს რომაული კლუბიდან მხოლოდ ხუთი ფეხბურთელი წავიდა და ამდენივე მივიდა. შედარებისთვის, "იუვენტუსი" 23-მა ფეხურთელმა დატოვა, "ინტერში" კი წამსვლელ-მიმსვლელთა რაოდენობამ 20-ს გადააჭარბა.

ერთი სიტყვით, დედაქალაქელებმა პაუზა აიღეს და ისლა დარჩენიათ, რომ მოვლენათა განვითარებას დაელოდონ. ამ სეზონმა "ლაციოში" ბევრი რამ შეიძლება გაარკვიოს – ამბობენ, ლოტიტოს ფეხბურთზე გული აუცრუვდა და შესაძლოა, კლუბის გაყიდვაც დააპიროსო; იქნებ მართლა ამით გახლდათ განპირობებული, რომ ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში "ლაციო" პრაქტიკულად არ გაძლიერებულა.

### რომა

"რომას" ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს, ასეთ დროს კი ცვლილებები, ხშირად რევოლუციურიც კი, ტრადიციული ამბავია. თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ **ზდენეკ ზემანმა** ყველაფერი თავდაყირა დააყენა, პირიქით, ბირთვი უცვლელი დატოვა და აღმართს ისე შეუყვა. ჩეხმა სპეციალისტმა **ბოიან კრკიჩსა** და **ფაბიო ბორინიზე** თქვა უარი, რამაც ბევრი გააკვირვა – სამაგიეროდ, **მატია დესტრო** დაიმატა, რომელიც გასულ სეზონში "სიენას" შემადგენლობაში ბრწყინავდა. ერთი ცხადია, "რომას" მესვეურთათვის პრიორიტეტი არა ფული, არამედ გუნდის სპორტული ინტერესებია. დღეს, "რომასთან" დაკავშირებით, პრაქტიკულად, წარმოუდგენელია პროგნოზების კეთება, მაგრამ ერთი დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ – ზემანის გუნდი შემტევ და სანახაობრივ ფეხბურთს ითამაშებს.

"რომას" პრეზიდენტი **ტომას დი ბენედეტო** საჯაროდ აცხადებს, რომ მისმა გუნდმა სანახაობრივი ფეხბურთით უნდა მიაღწიოს შედეგს – თუ გასული სეზონით და ზაფხულის სატრანსფერო კამპანიით ვიმსჯელებთ, ეს არა ფუჭი სიტყვები, არამედ რეალური სურვილია და მაშინ, ისლა დაგვრჩენია, რომ იტალიური წარმოშობის ამერიკელ ბიზნესმენს წარმატებები ვუსურვოთ.




მაურისიო ისლას და კვადვო ასამოას სანაცვლოდ "იუვეს" მესვეურებმა 18.4 მილიონი ევრო გადაიხადეს

### ნაპოლი

**აურელიო დე ლაურენტისს** ძალიან უნდოდა **ესეკილ ლასვეცის** შენარჩუნება, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ იყო... არა იმიტომ, რომ "ნაპოლის" პრეზიდენტს 26 მილიონ ევროზე უარის თქმა არ შეეძლო, უბრალოდ, თავად ფეხბურთელს სურდა წასვლა და ძალით მისი ნეაპოლში გაჩერება ყოველგვარ აზრს იყო მოკლებული. არგენტინელის წასვლამ სენიორ აურელიოს გუნდის გაძლიერების ენთუზიაზმი არ გაუნელა და ზაფხულის სატრანსფერო კამპანია ამის ნათელი დადასტურებაა. დე ლაურენტისმა "პესკარადან" **ლორენცო ინსინიე** დააბრუნა, "ინტერიდან" **გორან პანდევი** გამოისყიდა და მათ კიდევ რამდენიმე მაღალი კლასის ფეხბურთელი დაუმატა – თუნდაც **ვალონ ბერამი** და **ალესანდრო გამბერინი** "ფიორენტინადან". არც **ედუარდო ვარგასის** დავიწყება ეგების, რომელშიც ბიზნესმენმა 11.4 მილიონი ევრო გადაიხადა. მოკლედ, ლავეცციში აღებული თანხა პრეზიდენტმა ისევ ტრანსფერებში ჩააბრუნა და ამით ნათლად დაგვანახვა, რომ არგენტინელი ფორვარდის გაყიდვა მის ინტერესებში არ შედიოდა და იმ 26 მილიონ ევროს სულაც არ დახამებულა.

დე ლაურენტისი ფორმაშია – ის მუდმივად იმეორებს, რომ ძალიან მალე, "ნაპოლი" ევროპული ფეხბურთის გრანდი გახდება და თუ ამ ზაფხულით ვიმსჯელებთ, განზრახვაზე ხელი ნამდვილად არ აუღია.

### სხვები

მართალია, თუნდაც გასულ სეზონში "უდინეზემ" გაცილებით მაღალი ადგილი დაიკავა, ვიდრე იგივე "ინტერმა", "რომამ", ან "ლაციომ", მაგრამ ამ გუნდის სტატუსი ჯერ მაინც არ იძლევა იმის საშუალებას, რომ იტალიური ფეხბურთის გრანდებს გავუტოლოთ; ამიტომ, უდინურ გუნდზე ორი სიტყვით ვიტყვით და აღვნიშნავთ, რომ ზაფხულში "ბიანკონერი" უფრო დასუსტდა, ვიდრე გაძლიერდა. მაურისიო ისლას, კვადვო ასამოას და **სამირ ჰანდანოვიჩის** წასვლა უკვალოდ ნამდვილად ვერ ჩაივლის და ეს უკვე გამოჩნდა კიდეც – **ფრანჩესკო გვიდოლინის** გუნდს სერია A-ს სტარტზე ორი თამაშიდან ორი მარცხი აქვს, რასაც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ვერმოხვედრა უნდა დავამატოთ. მოკლედ, უდინელებმა სატრანსფერო ბაზარზე ვერ გაიბრწყინეს და ის შედეგები, რაც აქამდე აქვთ, სრულიად ლოგიკურად მოჩანს. სამაგიეროდ, "ფიორენტინას" მესვეურებმა გამოილვიძეს და წინა წლებისგან განსხვავებით, ჯიბეზე ხელი გაიკრეს; ფლორენციელებმა ნახევარდაცვა გვარიანად გააძლიერეს და **სტევან იოვეტიჩისთვის** რომ ერთი კარგი ფირვარდი ამოეყენებინათ გვერდში, მთლად დახატავდნენ; აპირებდნენ კიდეც, **დიმიტარ ბერბატოვთან** შეთანხმებაც ჰქონდათ მიღწეული, როდესაც ბულგარელმა გადაწყვეტილება შეცვალა და ყველასათვის მოულოდნელად, "ფულჰემში" გადაბარგდა. "ვიოლას" პრეზიდენტი **ანდრეა დელა ვალე** ჩივის, რომ ბერბატოვმა მას ახალი ფორვარდის ძიების დროც არ დაუტოვა და ამიტომ, ბულგარელისგან კომპენსაციას ითხოვს – სავარაუდოდ, ფლორენციელები ვაკუუმის შევსებას ზამთარში შეეცდებიან და ამით ისედაც მოლონიერებულ გუნდს კიდევ უფრო გააძლიერებენ. მოკლედ, თუ სატრანსფერო ამბებით ვიმსჯელებთ, "ფიორენტინამ" გამოილვიძა, დანარჩენი კი მოედნებზე გამოჩნდება – ისევე როგორც სხვა გუნდების შემთხვევაში.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

# უცხოური ფეხბურთი

## ბრაზილია 2014. შესარჩევი ეტაპი. ევროპა

FIFA WORLD CUP
Brasil

**A ჯგუფი**

**ხორვატია-მაკედონია 1:0**

**ხორვატია:** პლეტიკოშა – სრნა, ჩორლუკა (80. ვიდა), შიმუნიჩი, სტრინიჩი – ვუკოევიჩი, რაკიტიჩი (46. კრანჩარი) – ედუარდო (62. იელავიჩი), მოდრიჩი, პერიშიჩი – მანჯუკიჩი.
**გოლი:** 1:0 იელავიჩი (69)

**უელსი-ბელგია 0:2**

**ბელგია:** კურტუა – ჟილე, კომპანი, ვერტონგენი, ვერმალენი – დემბელე (64. დე ბრუინი), ვიტსელი, ფელაინი – მარტენსი, მირალიაში (46. ლუკაკუ), აზარი.
**გოლები:** 0:1 კომანი (41), 0:2 ვერტონგენი (83)
**გაძევება:** კოლინსი (26. უელსი)

**შოტლანდია-სერბეთი — დღეს. 18:00**

**სამშაბათს**

| | |
|---|---|
| სერბეთი-უელსი | 22:30 |
| ბელგია-ხორვატია | 22:45 |
| შოტლანდია-მაკედონია | 23:00 |

**B ჯგუფი**

**მალტა-სომხეთი 0:1**

**გოლი:** 0:1 სარქისოვი (70)

**ბულგარეთი-იტალია 2:2**

**ბულგარეთი:** მიხაილოვი – მანოლევი, ბოდრუნოვი, ივანოვი, ვ. მინევი – გაჯევი (79. სარმოვი), ი. მინევი – დიაკოვი, მილანოვი, გარგოროვი (62. მიცანსკი) – პოპოვი (82. ტონევი).
**იტალია:** ბუფონი – ბონუჩი, ბარძალი, ოგბონა (69. პელუზო), მაჯო – მარკიზიო, პირლო, დე როსი, ჯაკერინი (64. დიამანტი) – ჯოვინკო (73. დესტრო), ოსვალდო.
**გოლები:** 1:0 მანოლევი (30), 1:1 ოსვალდო (36), 1:2 ოსვალდო (40), 2:2 მილანოვი (66)

**დანია-ჩეხეთი — დღეს. 22:15**

**სამშაბათს**

| | |
|---|---|
| ბულგარეთი-სომხეთი | 22:00 |
| იტალია-მალტა | 22:45 |

**C ჯგუფი**

**ყაზახეთი-ირლანდია 1:2**

**ირლანდია:** ვესტვუდი - ოში, სტ. ლედჯერი, ოდი, უორდი - მაკგიდი, უელანი, მაკარტი, კოქსი (58. დოილი) - კინი, უოლტერსი (71. ლონგი).
**გოლები:** 1:0 ნურდაულეტოვი (37), 1:1 კინი (89), 1:2 დოილი (90)

**გერმანია-ფარერები 3:0**

**გერმანია:** ნოიერი – ლამი, მერტეზაკერი, ჰუმელსი, ბადშტუბერი – ხედირა – მიულერი (68. შიურლე), იოზილი, გიოტცე (87. დრაქსლერი), როისი – კლოზე (75. პოდოლსკი).
**გოლები:** 1:0 გიოტცე (28), 2:0 იოზილი (54), 3:0 იოზილი (71)

**სამშაბათს**

| | |
|---|---|
| ავსტრია-გერმანია | 22:30 |
| შვედეთი-ყაზახეთი | 22:30 |

**D ჯგუფი**

**ესტონეთი-რუმინეთი 0:2**

**გოლები:** 0:1 ტორჯე (55), 0:2 მარიკა (75)

**ჰოლანდია-თურქეთი 2:0**

**ჰოლანდია:** კრული – იანმაატი (46. ვან რინი), ჰეიტინგა (86. ვლაარი), ინდი, ვილემსი – კლასი (50. ფერი), სტროოტმანი – ნარსინგი, სნეიდერი, რობენი – ვან პერსი.
**თურქეთი:** ზენგინი – ალთინთოპი, ტოპრაკი, კაია, ალი კალდირიმი – თოპალი, არდა თურანი, ემრე (60. შაჰინი) – თორუნი (81. ერდინგი), ბულუთი, სარარერი (69. ილმაზი).
**გოლები:** 1:0 ვან პერსი (17), 2:0 ნარსინგი (92)

**ანდორა-უნგრეთი 0:5**

**გოლები:** 0:1 იუჰასი (12), 0:2 გერა (32-პენ), 0:3 სალაი (54), 0:4 პრიშკინი (68), 0:5 კომანი (82)
**გაძევება:** ვალესი (67. ანდორა)

**სამშაბათს**

| | |
|---|---|
| რუმინეთი-ანდორა | 21:30 |
| უნგრეთი-ჰოლანდია | 22:30 |
| თურქეთი-ესტონეთი | 23:00 |

**E ჯგუფი**

**სლოვენია-შვეიცარია 0:2**

**გოლები:** 0:1 ჯაკა (20), 0:2 ინლერი (51)
**გაძევება:** ბარნეტა (76)

**ალბანეთი-კვიპროსი 3:1**

**გოლები:** 1:0 სადიკუ (36), 1:1 ლაბანი (45), 2:1 კანი (84), 3:1 ბოგდანი (87)

**ისლანდია-ნორვეგია 2:0**

**გოლები:** 1:0 არნასონი (21), 2:0 ფინბოგასონი (81)

**სამშაბათს**

| | |
|---|---|
| ნორვეგია-სლოვენია | 22:00 |
| კვიპროსი-ისლანდია | 22:00 |
| შვეიცარია-ალბანეთი | 22:30 |

**F ჯგუფი**

**რუსეთი-ჩრდ. ირლანდია 2:0**

**რუსეთი:** აკინფეევი - ანიუკოვი, ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, კომბაროვი - დენისოვი, შიროკოვი, ფაიზულინი (85. გლუშაკოვი) - ძაგოევი (58. კოკორინი), კერჟაკოვი, ბისტროვი.
**გოლები:** 1:0 ფაიზულინი (30), 2:0 შიროკოვი (78-პენ)

**აზერბაიჯანი-ისრაელი 1:1**

**გოლები:** 0:1 ნათხო (50), 1:1 აბიშოვი (65)

**ლუქსემბურგი-პორტუგალია 1:2**

**პორტუგალია:** პატრისიო – ჟ. პერეირა, ალვეში, პეპე, კოენტრაო – ველოზო (46. ვარელა), მოუტინიო, მეირელეში (67. კუშტოდიო), ნანი (81. რუბენ მიკაელი) – რონალდო, ე. პოშტიგა.
**გოლები:** 1:0 და მოტა (14), 1:1 რონალდო (27), 1:2 პოშტიგა (54)

**სამშაბათს**

| | |
|---|---|
| ისრაელი-რუსეთი | 22:00 |
| ჩრდ. ირლანდია-ლუქსემბურგი | 22:45 |
| პორტუგალია-აზერბაიჯანი | 23:15 |

**G ჯგუფი**

**ლიხტენშტაინი-ბოსნია 1:8**

**გოლები:** 0:1 მიშიმოვიჩი (26), 0:2 მიშიმოვიჩი (31), 0:3 იბიშევიჩი (33), 0:4 იბიშევიჩი (40), 0:5 ჯეკო (46), 1:5 კრისტენი (61), 1:6 ჯეკო (64), 1:7 ჯეკო (81), 1:8 იბიშევიჩი (83)

**ლიტვა-სლოვაკეთი 1:1**

**გოლები:** 1:0 ზალიუკასი (18), 1:1 საპარა (41)
**გაძევება:** პეკოვსკი (55. სლოვაკეთი)

**ლატვია-საბერძნეთი 1:2**

**საბერძნეთი:** კარნეზისი – ტოროსიდისი, პაპადოპულოსი, პაპასტატოპულოსი, სპიროპულოსი – კაცურანისი, მანიატისი, ციოლისი, ფორტუნისი (80. ოლებასი) – მიტროგლუ (46. სამარასი), გეკასი.
**გოლები:** 1:0 ცაუნია (42-პენ), 1:1 სპიროპულოსი (57), 1:2 გეკასი (69)

**სამშაბათს**

| | |
|---|---|
| სლოვაკეთი-ლიხტენშტაინი | 22:15 |
| საბერძნეთი-ლიტვა | 22:45 |
| ბოსნია-ლატვია | 23:00 |

**H ჯგუფი**

**ჩერნოგორია-პოლონეთი 2:2**

**გოლები:** 0:1 ბლაშჩიკოვსკი (6-პენ), 1:1 დრინჩიჩი (27), 2:1 ვუჩინიჩი (45), 2:2 მერჟეიევსკი (55)
**გაძევება:** პავიჩევიჩი (69. ჩერნოგორია), ობრანიაკი (73. პოლონეთი)

**მოლდოვა-ინგლისი 0:5**

**ინგლისი:** ჰარტი – გ. ჯონსონი, ლესკოტი, ტერი, ბეინესი – მილნერი, ლემპარდი, კლევერლი, ოქსლეიდ-ჩემბერლენი (58. უოლკოტი) – ჯერარდი (46. კერიკი) – დეფო (68. უელბეკი).
**გოლები:** 0:1 ლემპარდი (4-პენ), 0:2 ლემპარდი (29), 0:3 დეფო (32), 0:4 მილნერი (74), 0:5 ბეინესი (83)

**სამშაბათს**

| | |
|---|---|
| სან მარინო-მონტენეგრო | 22:30 |
| პოლონეთი-მოლდოვა | 22:45 |
| ინგლისი-უკრაინა | 23:00 |



ფაბიო კაპელოს რუსეთმა მუნდიალის შესარჩევი ტურნირი გამარჯვებით დაიწყო

## შეუმდგარი ტრანსფერი

# ნანის ტრანსფერი ზენიტში ფეხბურთელის გამო ჩაიშალა

რუსული კლუბის განცხადებით, პორტუგალიელი გარემარბის ტრანსფერი ამ უკანასკნელის დიდი მადის გამო ჩაიშალა. „მანჩესტერ იუნაიტედს" **ნანის** თავიდან მოშორება სურდა, მაგრამ, როგორც „ზენიტის" გენერალური დირექტორი **მაქსიმ მიტროფანოვი** აცხადებს, მხარეები შეთანხმებასთან ახლოსაც კი არ ყოფილან. „ზენიტმა" ცოტა ხნის წინ 80 მილიონი ევრო გადაიხადა **ჰალკსა** და **აქსელ ვიტცელში**, რითაც მთელი ევროპა აალაპარაკა. როგორც ირკვევა, 25 წლის ნანის ჰალკზე გაცილებით დიდი ხელფასი მოუთხოვია.

*„ჰალკს 8-დან 10 მილიონ ევრომდე რომ მოეთხოვა, ტრანსფერი არ შედგებოდა. ნანის შემთხვევაში მოლაპარაკებების ჩაშლის მიზეზი ფეხბურთელი იყო, რომელმაც არარეალური ანაზღაურება მოითხოვა. ასეთ თანხას ჩვენ არავის გადავუხდით".* – უთხრა პრესას მიტროფანოვმა.


ნანი მანჩესტერში დარჩა

ტრანსფერის ჩაშლის შემდეგ ნანის პერსპექტივები „იუნაიტედში" გაურკვეველია. იქიდან გამომდინარე, რომ კლუბს მისი თავიდან მოცილება სურდა, სავარაუდოდ, ნახევარმცველს ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა გაუჭირდება. შეგახსენებთ, რომ მანჩესტერელები და პორტუგალიელის აგენტი ვერაფრით შეთანხმდნენ ახალ ხელშეკრულებაზე. როგორც ჟურნალისტებისთვის გახდა ცნობილი, ნანი კლუბისგან კვირაში 130 000 ფუნტს ითხოვს, რაზეც მანჩესტერელები არ თანხმდებიან.

ბარემ აქვე გეტყვით, რომ „ზენიტმა" მეორე ფრონტზეც განიცადა წარუმატებლობა. რუსული სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე რამდენიმე საათით ადრე, სანკტპეტერბურგელებმა **ანდრეი არშავინის** შესყიდვა სცადეს, მაგრამ არც ეს გარიგება შედგა, ასე რომ, რუსი ფეხბურთელი მინიმუმ იანვრამდე „არსენალში" დარჩება. შეგახსენებთ, რომ **ფაბიო კაპელომ** მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის არშავინი არ გამოიძახა.

**ტატო ბაციკაძე**

## ტრანსფერი

# ბენტლი როსტოვში გადავიდა



ბენტლი კარიერას რუსეთში გააგრძელებს

„ტოტენჰემის" ნახევარმცველი **დევიდ ბენტლი** კარიერას რუსეთში გააგრძელებს. ფეხბურთელმა რუსული პრემიერლიგის კლუბ „როსტოვთან" 6-თვიანი საიჯარო ხელშეკრულება გააფორმა. ბენტლის თავის დროზე დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, „ბლექბერნში" შთამბეჭდავი თამაშის შემდეგ, მისით ბევრი გუნდი იყო დაინტერესებული. საბოლოოდ, 2008 წელს ლონდონელებმა მასში 15 მილიონი ფუნტი გადაიხადეს, მაგრამ 27 წლის ნახევარმცველის (ნაკრებში 7 კეპი) ლონდონური კარიერა არ აეწყო და „ტოტენჰემის" რიგებში 2010 წლის ნოემბრის შემდეგ არ უთამაშია. 2011 წელს ბენტლი განათხოვრებული იყო „ბირმინგემში", შარშან კი „ვესტ ჰემში", მაგრამ ტრავმამ თავის გამოჩენის საშუალება არ მისცა.

„არსენალის" აღზრდილი „როსტოვში" „ლივერპულის" ყოფილ ფორვარდ **ფლორან სინამა-პონგოლეს** შეუერთდა, რომელიც თავისუფალი აგენტი იყო და რამდენიმე დღის წინ ჩაირიცხა რუსულ კლუბში.

**ტატო ბაციკაძე**

## ამბები

# კიდევ ერთი უცნაური ტრავმა ვალენსიაში

„ვალენსიას" ფეხბურთელებს უცნაურ სიტუაციებში ახასიათებთ ტრავმების მიღება - ბევრს ახსოვს, 2002 წლის მუნდიალის წინ ესპანეთის ნაკრების გოლკიპერმა **სანტიაგო კანისარესმა** როგორ მიიღო ტრავმა, რომლის გამოც მსოფლიოს ჩემპიონატი გამოტოვა, ხოლო **იკერ კასილიასმა** შესანიშნავი შანსი მიიღო - კანისარესი ხერესში, ესპანეთის ნაკრების ბაზაზე, სასტუმროს აბაზანაში იმყოფებოდა, როცა ოდეკოლონის ფლაკონით ფეხი გაიჭრა. უფრო ახალი ამბავია ის, რაც „ლოს ჩეს" არგენტინელ ლეგიონერ **ევერ ბანეგას** შეემთხვა - თებერვალში ბანეგამ სერიოზული ტრავმა... ბენზინგასამართ სადგურზე მიიღო, როცა ფეხზე საკუთარმა ავტომობილმა გადაურბინა, ფეხბურთელს ხელის მუხრუჭის მომართვა დაავიწყდა. სხვათა შორის, ევერი ახლაც ამ ტრავმის გამო ვერ თამაშობს.

და აი, ახალი უცნაური ტრავმაც! - ამჯერად „ვალენსიას" კიდევ ერთი არგენტინელი ნახევარმცველი დაზარალდა - **პაბლო პიატი**. კლუბის ბაზაზე პიატიმ მხარი მოიტეხა... ფეხბურთისა და ფრენბურთის ნაზავის თამაშის დროს. ბადესთან გასულმა პიატიმ მაკრატელა დარტყმით სცადა ბურთის მეტოქის ნახევარზე გაგზავნა და ძალიან ცუდად დაეცა. 23 წლის ფეხბურთელი ახლა ექიმთა განკარგულებაშია, მათ უნდა თქვან, რამდენი ხნით დააკლდება **მაურისიო პელეგრინოს** გუნდს პიატი. „ესტუდიანტესის" აღზრდილი ფეხბურთელი სავარაუდოდ, 2 თვეს ვერ ითამაშებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


პაბლო პიატის დაცემა

# ნაჩოს დაწინაურება

**ჟოზე მოურინიოს** გადაწყვეტილებით, „რეალ კასტილიას" კაპიტანი **ნაჩო ფერნანდესი** ამიერიდან „რეალის" ძირითადი გუნდის წევრია. მაშ ასე, მოურინიომ ამ სეზონისთვის სარეზერვო გუნდიდან 3 ფეხბურთელი დააწინაურა, სეზონის დაწყებამდე ცნობილი იყო, რომ ძირითად გუნდში გადავიდნენ **ხესუს ფერნანდესი** და **ალვარო მორატა**. ნაჩომ ეს სასიხარულო ამბავი მორიგი ვარჯიშის დაწყების წინ შეიტყო - პორტუგალიელი თავკაცი უეფას მწვრთნელთა ფორუმიდან დაბრუნდა მადრიდში და ვარჯიშის წინ გვერდზე გაიხმო ნაჩო.

22 წლის ნაჩო ფერნანდესი მცველია, ის „რეალის" აკადემიის აღზრდილია და ესპანეთის ყველა ასაკობრივ ნაკრებში აქვს ნათამაშები. სხვათა შორის, მან უკვე 2-ჯერ მოირგო „რეალის" პირველი გუნდის ფორმა. 2011 წლის აპრილში, „ვალენსიასთან" საგარეო მატჩში (რომელიც „რეალმა" 6:3 მოიგო) ნაჩომ 90 წუთი ითამაშა. ნაჩოს 27-ე ნომერი გადაეცა, თუმცა ის პირველ ხანებში ისევ სარეზერვო გუნდში ითამაშებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი

# ხავი მარტინესი: შვაინი გენიალურია!

## ბასტიანი და ხავი ერთმანეთს კარგად უგებენ

„ბაიერნის" ძვირადღირებულ ახალწვეულ **ხავი მარტინესს** და ლიდერ **ბასტიან შვაინშტაიგერს** სანაკრებო პაუზა არ შეეხოთ. ესპანეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ვისენტე დელ ბოსკემ** 24 წლის საყრდენ ნახევარმცველზე უარი თქვა, საქართველოში არ მოჰყავს, 28 წლის შვაინშტაიგერი კი ბუნდესმწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** დაასვენა, რადგან ბასტიანი ახალი გამოჯანმრთელებულია და სანაკრებო დონეზე მისი დატვირთვა გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული.

მიუნხენური გრანდისთვის ეს ძალიან კარგია, რადგან ბილბაოს „ატლეტიკიდან" 40 მილიონ ევროდ შეძენილი მარტინესი და შვაინშტაიგერი „ზებენერშტრასეზე" ერთად ვარჯიშობენ, ამ დღეებში კარგად შეთამაშდებიან და ბუნდესლიგის მესამე ტურის მატჩს (15 სექტემბერს, „მაინცთან") მაქსიმალურად მომზადებულები შეხვდებიან. დიდი შანსია, რომ „მაინცთან" მათი დუეტის დებიუტი შედგეს: ფაქტია, რომ ბავარიელთა თავკაცი **იუპ ჰაინკესი** 4-2-3-1 ტაქტიკურ სქემაში „ექვსიანების" პოზიციებზე სწორედ ბასტიანს (მარცხნივ) და ხავის (მარჯვნივ) მოიაზრებს.

*„ბასტიან შვაინშტაიგერი გენიალური ადამიანი, ბრწყინვალე ფეხბურთელი და უბრალოდ ძალიან მაგარი კოლეგაა. აქ ყველა მეგობრულად დამხვდა, მაგრამ ამ დღეებში ყველაზე მეტი სითბო სწორედ მისგან ვიგრძენი. შვაინი სულ მელაპარაკება და მიხსნის ყველაფერს, რასაც ვერ ვიგებ. ვარჯიშებზე მივხვდი, რომ მას ძალიან კარგად ვუგებ,"* - აცხადებს მარტინესი „ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

### ჰაინკესი: მარტინესს სასტარტოში ადგილი გარანტირებული არ აქვს!

ამასობაში, მიუხედავად იმისა, რომ „ბაიერნმა" ესპანელ ნახევარმცველში 40 მილიონი ევრო გადაიხადა, რაც ბუნდესლიგისთვის სარეკორდო თანხაა, რეკორდმაისტერის მწვრთნელი ამბობს, ხავი მარტინესს ძირითად შემადგენლობაში თამაში გარანტირებული არ აქვს და მანაც სხვებივით უნდა იბრძოლოს.

*„ხავი მხოლოდ იმ შემთხვევაში ითამაშებს, თუ საუკეთესო იქნება იმ ნახევარმცველებს შორის, რომლებიც განაცხადში გვყავს,"* - უთხრა ჰაინკესმა „კიკერს" და ცხადია, რომ ამით ესპანელის მოტივირება სურს. „დონ იუპს" არ უნდა, მარტინესმა თავი მშვიდად იგრძნოს და თანაც, მის პოზიციაზე **ლუის გუსტავოს**, **ტონი კროოსისა** და **ანატოლი ტიმოშჩუკის** სახით კიდევ სამი კარგი ფეხბურთელი ჰყავს.

სამაგიეროდ, „კიკერისთვის" მიცემულ ინტერვიუში ჰაინკესმა ბრაზილიელი საყრდენი ლუის გუსტავო აქო - ფეხბურთელი, რომლის მოტივაცია მარტინესის ტრანსფერის შემდეგ უნდა დაცემულიყო, მაგრამ პირიქით მოხდა: ბრაზილიელმა „შტუტგარტთან" კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა და ბრწყინვალე გოლიც გაიტანა.

*„თუ ლუის გუსტავო ასე გააგრძელებს, სასტარტო შემადგენლობიდან არ ამოვარდება!"* - ამბობს „დონ იუპი".



ბასტიან შვაინშტაიგერი (მარცხნივ) და ხავი მარტინესი

ჩემპიონთა ლიგა. სიკვდილის ჯგუფი

# ჟოზე დორტმუნდს პატივს სცემს

## მოურინიო: კიდევ კარგი, იუვენტუსიც ამ ჯგუფში არ მოხვდა!



მადრიდის რეალის თავკაცი ჟოზე მოურინიო

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის წილისყრამ ერთი განსაკუთრებით საინტერესო ქვეჯგუფი შექმნა: მადრიდის „რეალის", „მანჩესტერ სიტის", დორტმუნდის „ბორუსიას" და ამსტერდამის „აიაქსის" სახით ჯგუფში ერთად ევროპის წამყვანი საფეხბურთო ქვეყნების ჩემპიონები მოხვდნენ. შესაბამისად, ოთხივეს აქვს მერვედფინალში გასვლის ამბიცია, თუმცა ფავორიტი, გასაგები მიზეზების გამო, მაინც „რეალია". მადრიდელთა თავკაცმა **ჟოზე მოურინიომ** ესპანურ გაზეთ AS-ისთვის მიცემულ ინტერვიუში „სიკვდილის ჯგუფზე" ისაუბრა და თქვა, რომ სამივე მეტოქეს პატივს სცემს, განსაკუთრებით კი გერმანიის ჩემპიონი ესიმპათიურება.

„რეალი" ფავორიტია და „სამეფო გუნდისთვის" სერიოზული წინააღმდეგობის გაწევას ექსპერტები ინგლისის ჩემპიონ „მანჩესტერ სიტის" უწინასწარმეტყველებენ, მაგრამ მოურინიო ასე არ ფიქრობს და „დორტმუნდსაც" საშიშ კონკურენტად მიიჩნევს.

*„არ დაგავიწყდეთ, რომ დორტმუნდის „ბორუსია" ზედიზედ ორჯერ გახდა გერმანიის ჩემპიონი, რაც ნამდვილად არ არის ადვილი იმ კომპანიაში, სადაც მიუნხენის „ბაიერნი" თამაშობს,* - აცხადებს მოურინიო ხსენებულ ინტერვიუში და დასძენს, - *იურგენ კლოპი შესანიშნავი მწვრთნელია და ძალიან კარგად ორგანიზებული, შეთამაშებული და უაღრესად მონდომებული გუნდი ჰყავს. „ბორუსიას" რეალური შეფასებისთვის შარშანდელი ჩემპიონთა ლიგა არ გამოდგება. მაშინ დორტმუნდელები ჯგუფში ჩარჩნენ, მაგრამ, სამაგიეროდ, გამოცდილება მიიღეს. თუ ამას „დორტმუნდის" ბრწყინვალე სტადიონს და საოცარ ფანებსაც დავუმატებთ და გავითვალისწინებთ, რომ კლოპის ბიჭები თავდაუზოგავად იბრძოლებენ, მივხვდებით, რომ „რეალის" მთავარი კონკურენტი ამ ჯგუფში „სიტისთან" ერთად სწორედ გერმანიის ჩემპიონი იქნება. „ერთ მშვენიერ დღეს" ნებისმიერი გრანდის გამწარება შეუძლია „აიაქსსაც".*

ჟოზე ფიქრობს, რომ „რეალს" სამივე მეტოქესთან ურთულესი მატჩები ელის, მაგრამ დარწმუნებულია, რომ მისი შეგირდები მერვედფინალში გავლენ: *„ამ ჯგუფში კინაღამ იტალიის ჩემპიონი „იუვენტუსიც" მოხვდა და ასე რომ მომხდარიყო, მაშინ ნამდვილად ველარ ვიქნებოდი დარწმუნებული, თუმცა ფაქტია, რომ არც ამ კომპანიაში გველის იოლი გასეირნებები. შეიხებმა „მანჩესტერ სიტიში" იმდენი ფული ჩადეს, რომ ცხადია, ჩემპიონთა ლიგის მოგება უნდათ."*

თუმცა მოურინიო ფიქრობს, რომ ჩემპიონთა ლიგის მოგება ფულით შეუძლებელია. ამ დონის წარმატებისკენ მიდრეკილება კლუბს ისტორიულად უნდა მოსდგამდეს, ასეთები კი „რეალი", „ბარსელონა", „ბაიერნი" და სხვა, ამ კალიბრის ევროპული გრანდები არიან.

**გვერდი მოამზადა**
**გოტფრიდ ლენცმა**



## ქართული სპორტი

ინფრასტრუქტურა

# ლილოს დასახლებას ახალი დარბაზი ექნება


ქართული სპორტის ხელმძღვანელებმა მშენებლობა მოინახულეს

ლილოს დასახლებაში 107-ე სკოლის ტერიტორიაზე მდებარე დარბაზში მრავალი სახელოვანი სპორტსმენი აღიზარდა, მათ შორის ძიუდოში ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი **ჯარჯი ზვიადაური**, ევროპის პრიზიორი **ლევან წიკლაური**. წლების განმავლობაში ეს შენობა უფუნქციოდ იყო. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ინიციატივით ახლა აქ სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს. განახლებული დარბაზი სექტემბრის მიწურულს ჩადგება მწყობრში. ძიუდოს მწვრთნელად წიკლაური იმუშავებს. დარბაზის მშენებლობა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა **ვლადიმერ ვარძელაშვილმა** და სამინისტროს სხვა ხელმძღვანელებმა მოინახულეს. როგორც მინისტრმა აღნიშნა, 107-ე სკოლის ტერიტორიაზე სხვა სასპორტო ობიექტებიც განახლდება და ლილოს დასახლებას მალე მრავალფუნქციური სასპორტო კომპლექსი შეემატება.

**ვაჟა დანელია**
თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

სუმო


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტოჩინოშინი დიდი ჩემპიონით იწყებს

9 სექტემბერს ტოკიოს დარბაზ „რიოგოკუ კოკუგიკანში" წლის მეხუთე სუპერტურნირი - სექტემბრის ბაშო იწყება. სხვებთან ერთად იმპერატორის თასისთვის ორი ქართველიც იბრძოლებს - 23 წლის **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)**, რომელიც ბაშოს დასავლეთის კომუსუბის ტიტულით ეგებება და 24 წლის **თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ)**, ვინც აღმოსავლეთის მე-2 მაეგაშირაა. გუშინ ცნობილი გახდა პირველი ორი დღის განრიგი, ჩვენებურებს მძიმე დასაწყისი ელით: გაგამარუ აღმოსავლეთის ოძეკის (ანუ ჩემპიონს), **კაკურიუს** ხვდება, ხოლო ტოჩინოშინი ბრძოლას დიდი ჩემპიონით (ანუ იოკოძუნა) იწყებს, მისი მეტოქე მონღოლი **ჰაკუჰოა**. მეორე დღეს ტოჩინოშინი ოძეკი **კოტოშოგიკუს** ხვდება, ხოლო გაგამარუს მეტოქე ბულგარელი **ოძეკი კოტოოშუა**.

ძურიოს დივიზიონში ასპარეზობს ქართული პროფესიული სუმოს პიონერი **ლევან ცაგურია (კოკაი)**. 31 წლის „შავი ზღვა" დივიზიონის მე-12 ნომერია და ის პირველ დღეს **კეიტენკაის** დაეჭიდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭადრაკი

# ბოლო ტურის წინ


მარცხნიდან: ნინო ბაციაშვილი, ნონა გაფრინდაშვილი და ნინო ხურციძე

ჭადრაკის სპეციალისტები ყველაფერს იფიქრებდნენ, მაგრამ სტამბოლში მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადის რეიტინგფავორიტი ჩინეთის ქალთა ნაკრები 22-ე ნომრად განთესილ ყაზახეთის გუნდთან, რომლის ოთხი წევრის რეიტინგი 2300-საც ვერ აღწევს, შეხვედრას ფრედ (2:2) თუ დაამთავრებდა, ვერავინ წარმოიდგენდა. 2599 რეიტინგის მქონე ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი ჰოუ იფანი გულისკან ნახბაიევას (2291) დაუზავდა, დიდოსტატი დინ ისინი (2424) კი მადინა დავლეტბაიევასთან (2165) დამარცხდა. აზიელთა ამ წაფორხილებით ისარგებლეს რუსებმა, რომლებმაც სომხებს 3,5:0,5 აჯობესდა ერთპიროვნულ ლიდერს ქულებით გაუთანაბრდნენ.

საქართველოს ქალთა გუნდმა ვიეტნამის ნაკრებს მოუგო — 2,5:1,5 (**ნანა ძაგნიძე** — ლე ტაო ნგუენი 1:0, ნუგენ დი მაი ჰუნგი — **ლელა ჯავახიშვილი** 1:0, **ნინო ხურციძე** — ჰოანგ დი 0,5:0,5, ჰამ ბიჩი — **ნინო ბაციაშვილი** 0:1. დანარჩენი შეხვედრები: უკრაინა — პოლონეთი 2,5:1,5, აზერბაიჯანი — საფრანგეთი 1,5:2,5, ინდოეთი — ისრაელი 3,5:0,5, გერმანია — ესპანეთი 3:1.

ოლიმპიადის დამთავრებამდე ტურით ადრე ქალთა ტურნირში ასეთი მდგომარეობაა: ჩინეთი — 17 (29), რუსეთი — 17 (29), უკრაინა — 16 (27), საფრანგეთი (27,5), ყაზახეთი (27), გერმანია (26,5), ინდოეთი (25,5) 15-15, პოლონეთი (26), ბულგარეთი (26), სომხეთი (24), უზბეკეთი (24), რუმინეთი (26), პერუ (24,5) 14-14, საქართველო — 13 (26) ქულა. ქართველების გარდა, კიდევ 9 ნაკრებმა მოაგროვა 13-13 ქულა. სამწუხაროდ, მედალს რომ ვერ შევწვდებით, ეს ცხადია, პირველ ათეულში შესასვლელად კი ხვალ აუცილებლად უნდა დავამარცხოთ ესპანეთი და ზოგიერთი შეხვედრაც ჩვენთვის სასურველი შედეგით დასრულდეს.

მე-11 ტურში ითამაშებენ: რუსეთი — ყაზახეთი, ბულგარეთი — ჩინეთი, უკრაინა — გერმანია, საფრანგეთი — ინდოეთი, პოლონეთი — სომხეთი, პერუ — რუმინეთი, უზბეკეთი — ირანი, **ესპანეთი — საქართველო**, აშშ — ისრაელი, ბელარუსი — აზერბაიჯანი, იტალია — მოლდოვა, კოლუმბია — კუბა.

ვაჟთა ტურნირში საქართველოს ნაკრები ისრაელის გუნდს დაუპირისპირდა. **მიხეილ მჭედლიშვილი** და ბორის გელფანდი, **მერაბ გაგუნაშვილი** და მაქსიმ როდშტეინი მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს. **ლევან ფანცულაიამ** ევგენი პოსტნისთან წააგო. ჩვენი გუნდი მარცხისგან **კონსტანტინე შანავამ** იხსნა — თეთრი ფიგურებით ბორის ავრუხს სძლია. საბოლოოდ ფრე — 2:2.

ლიდერთა შეხვედრები: ჩინეთი — აშშ 2,5:1,5, არგენტინა — რუსეთი 1,5:2,5, ჰოლანდია — სომხეთი 1:3, აზერბაიჯანი — უკრაინა 1,5:2,5, ჩეხეთი — პოლონეთი 1:3, დანია — უნგრეთი 0:4, ბელარუსი — გერმანია 1,5:2,5, ფილიპინები— ვიეტნამი 2:2, ინდოეთი — კუბა 2:2.

სატურნირო მდგომარეობა 10 ტურის შემდეგ: ჩინეთი (28,5), სომხეთი (26,5), რუსეთი (25,5) 17-17, უკრაინა — 16 (26,5), უნგრეთი (26,5), აშშ (27,5), გერმანია (25,0), პოლონეთი (26) 15-15, 7 გუნდს 14-14, 18 გუნდს კი 13-13 ქულა აქვს, მათ შორის — საქართველოს, რომელიც ბოლო ტურის წინ 21-ე ადგილზეა.

მოჭადრაკეები დღეს ისვენებენ, ხვალ კი დასკვნითი ტური გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# ნახევარფინალი და ფინალები უჩვენოდ

ფრანგი ლორენ რეკოუდერი ჩოგბურთელ ვაჟთა თბილისის საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 15.000 დოლარი) მე-4 ნომრადაა განთესილი და, ცხადია, ერთ-ერთ ფავორიტადაც მიიჩნევა. იგი წინასწარ გაცემულ დივიდენდებს ამართლებს კიდეც. ზედიზედ ორი მეტოქის დამარცხების შემდეგ გუშინ მეოთხედფინალში **ალექსანდრე მეტრეველსაც**, ფაქტობრივად, ძალების დაუძაბავად სძლია, რაზეც ანგარიშებიც მეტყველებს — 6:1, 6:3. დანარჩენი შეხვედრები კი ასე დამთავრდა: პეტერ გოლდშტეინერი (ავსტრია) — პიოტრ გადომსკი (პოლონეთი) 7:6, 6:3, მატეო მარაი (იტალია, 3) — იან ბლეჩა (ჩეხეთი) 6:1, 6:4, ტონი ანდროიჩი (ხორვატია, 2) — არკადიუშ კოსილა (პოლონეთი) 6:1, 7:6

ნახევარფინალში ითამაშებენ: გოლდშტეინერი — რეკოუდერი, მარაი — ანდროიჩი.

გუშინ წყვილებში ნახევარფინალური შეხვედრები გაიმართა: ვლადისლავ მანაფოვი (უკრაინა), იარასლაუ შილა (ბელარუსი) — არკადიუშ კოსილა, მიკოლაი ჟმირგალა (ორივე — პოლონეთი) 6:3, 6:4, ვლადიმირ ივანოვი (ესტონეთი), ილია შატსკი (რუსეთი) — პიოტრ გადომსკი, მიკოლაი იედრუშაკი (პოლონეთი) 7:6, 6:2.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე თბილისის ვაჟთა საერთაშორისო ტურნირის ნახევარფინალი და ფინალები უჩვენოდ ჩაივლის.

**ვაჟა დანელია**

ფოტომატიანე



1960-იან წლებში საქართველოს მოჭიდავეები აშკარად დომინირებდნენ საბჭოთა, ევროპის თუ მსოფლიოს სპორტულ სარბიელზე. რა იყო ამ წარმატების საფუძველი? ჩემი აზრით, უპირველესად, ქართული გენეტიკა, ჩვენი ხალხური სპორტის საუკუნოვანი ტრადიციები, რომლებიც ეფუძნებოდა პიროვნების ფიზიკურად და სულიერად რაინდულ აღზრდას; ქართული ჭიდაობის უნიკალურობას თავისი უმდიდრესი ფანდებით, მწვრთნელთა მაღალ პროფესიონალიზმსა და ქართული სპორტის მესვეურთა განსწავლულობას, ეროვნულ პასუხისმგებლობას, თანადგომას, სიახლეთა ძიებასა და დანერგვას.

სურათზე, რომელსაც დღეს წარმოგიდგენთ, 1960-იან წლებში მსოფლიოში ცნობილი ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ქართველი ფალავნები არიან აღბეჭდილნი. მარცხნიდან: **თემურ ხართიშვილი, როსტომ აბაშიძე, ომარ ბლიაძე, კოტე ღულუნიშვილი, რომან რურუა, დავით გვანცელაძე, ომარ ეგაძე, არჩილ ხარაბაძე.**

**გურამ სალარაძე**
მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრობასკეტი 2013. დღეს ლატვია-საქართველო. 18:00

# გავახსენოთ ლატვიას ტერმინატორის ამბავი



სამშაბათის ნომერში დავწერეთ: დღეს საქართველოს ნაკრები შესარჩევი ეტაპის უმნიშვნელოვანეს შეხვედრას გამართავსო. ასეც იყო, თუმცა ჩვენდა სამწუხაროდ, ქართველებმა ბოსნიასთან 103:107 დათმეს. შესაბამისად ევრობასკეტზე მოხვედრა გადაიდო. როდემდე? - იკითხავთ. უახლოეს მატჩამდე, რადგან დარჩენილი ორიდან ერთი მოგებაც ევრობასკეტი 2013-ის საგზურს გაგვინაღდებს. უახლოესი შეხვედრა დღესაა: თბილისის დროით 18 საათზე რიგის საკალათბურთო დარბაზი ლატვიისა და საქართველოს განმეორებით თამაშს უმასპინძლებს.

თუ ტოტალიზატორებს ვენდობით, ფავორიტი ლატვიაა. მის მოგებაზე ფსონი 1.55-ია, საქართველოს გამარჯვებაზე - 2.30. ახლა ლატვიის ნაკრების მწვრთნელ **აინარს ბაგაცკისს** ვკითხოთ... თუმცა მას ერთხელ უკვე ვკითხეთ: ლატვიელ ჟურნალისტებთან მან თქვა - ჩვენთანაც და საერთოდ, ჯგუფშიც ფავორიტი საქართველოს ნაკრებიაო. თბილისში პირველი მატჩისთვის ჩამოსულ ლატვიელ მწვრთნელს განმარტება ვთხოვეთ: კომპლიმენტი სასიამოვნოა, მაგრამ საინტერესოა, რის საფუძველზე მიიჩნევთ ქართველებს ფავორიტებად?

*- თქვენ, ჩემზე კარგად გეცოდინებათ, რა ღირებულების კალათბურთელები გყავთ. ორი კაცი NBA-ს წარმოადგენს, არაერთი მოთამაშეა ევროლიგის გამოცდილებით, რაც სანაკრებო დონეზე ძალიან ბევრს ნიშნავს. ასევე დაიმატეთ კარგი ამერიკელი... უმაღლეს დონეზე ასეთი გამოცდილი კალათბურთელები ჩვენ სანატრელი გვყავს. სამწუხაროდ, წლეულს მთლიანად ახალგაზრდული გუნდით გვიწევს თამაში. ვერ გვეხმარებიან შჩელე და ბლუმსი, კალათბურთელები, რომლებმაც იციან, როგორ უნდა თამაში,* - გვითხრა აინარს ბაგაცკისმა.

თუ ასეა, მაშინ ვაწყდებით ერთ წინააღმდეგობას - რატომ აქვთ ლატვიელებს ჯგუფის მოგების უკეთესი შანსი, ვიდრე ქართველებს? ბალტიისპირელებმა ბოსნიასთან ურთიერთშეხვედრაში ბურთების უკეთესი სხვაობა დაიბევეს, ხოლო თბილისში მხოლოდ სამი ქულით დათმეს. ასე რომ, საქართველოს ნაკრებისა და შემდეგ რუმინეთის ძლევა ლატვიელებს პირველ ადგილს გაუნაღდებს. ჩვენს გუნდს კი პირველობის მცირე შანსიღა დარჩა - ამისთვის საჭიროა ორივე შეხვედრა მოიგოს, ხოლო ბოსნიამ შინ რუმინეთთან წააგოს (დღეს).

■ ■ ■

იცით, რატომ გადავაწყდით წინააღმდეგობას (რაზეც ზემოთ დავწერეთ)? იმიტომ, რომ ლატვიელებმა გააზრებული თამაშით გადაფარეს გამოუცდელობა, შინ შანსი არ დაუტოვეს ბოსნიელებს (80:64), ხოლო თბილისში 76:79 დამარცხდნენ. მწვრთნელს კარგად მოეხსენებოდა, რომ საქართველოს ნაკრებთან თანაბარ პირობებში შანსი არ ჰქონდა, ამიტომ ეცადა, უპირატესობა ბოლო წუთებზე მოეპოვებინა. საამისოდ, მწვრთნელი თვალის დახამხამებაში ცვლიდა კალათბურთელებს, დაეყრდნო 11 მოთამაშეს და ბოლო წუთებისთვის შეგირდებს ენერგია შემოუნახა, ხოლო ქართველებს ტაქტიკური ხრიკი დაუპირისპირა - პრესინგს ჩვენსავე ნახევარზე მიმართა. დასვენებულ ქართველებს არაერთხელ გაურღვევიათ მსგავსი დაცვა, მაგრამ ამჯერად 14-ქულიანი უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს.

ლოგიკურია, ბაგაცკისი საშინაო მატჩშიც იმავეს გაიმეორებს, ეცდება სიქა გაგვაცალოს და გადამწყვეტ მომენტში შემოგვიტიოს. სწორედ ამიტომ ჩვენი ნაკრების თავკაცს ლატვიელთა მსგავსად მთელი შემადგენლობის გამოყენება მართებს. მით უმეტეს, **ფაცაციამ, მეტრეველმა, ლეჟავამ** უკვე დაამტკიცეს, რომ ნდობის შემთხვევაში გუნდის სათანადოდ დახმარება შეუძლიათ. ეს **ანატოლი ბოისას** აქამდე ჰქონდა დამტკიცებული.

10-11-კაციანი შემადგენლობით ვარირება მხოლოდ იმისთვის კი არ არის აუცილებელი, რომ ძირითადის კალათბურთელები გადამწყვეტ მომენტს ენერგიით შეხვდნენ, არამედ იმიტომაც, რომ დაცვაში მეტი სიხისტე გამოვიჩინოთ. ბოსნიასთან წაგების ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო - მაშინ, როცა იცი, ერთი-ორი კალათბურთელის მოედნიდან გასვლა (ხუთი ფოლის გამო) გუნდზე უარყოფითად აისახება, ყველა ერიდება ჯარიმების მიღებას. არადა, როცა დაცვაში აქტიურად თამაშობ, დაჯარიმების ალბათობაც მეტია. სწორედ ამას არ უნდა მოერიდონ ქართველები ლატვიაში და ვფიქრობთ, ვერც მეტოქე გაილაღებს.

რუმინეთთან საშინაო თამაშს თუ არ ჩავთვლით, საქართველოს ნაკრებმა ყველა მეტოქისგან 10-ზე მეტი სამქულიანი მიიღო. ჩვენი ორი წაგების მიზეზიც ეს გახდა. პერიმეტრიდან ტყორცნებს თუ არ დავანებებთ, ლატვიასთან გამარჯვების დიდი შანსიც გვაქვს, რადგან ბალტიისპირელებთან შედარებით ფარქვეშ დიდი უპირატესობა გვაქვს. მათ სწრაფ თამაშში კი არ უნდა ავყვეთ, გააზრებულად, სამწამიანი ზონიდან უნდა შევუტიოთ. ამან შედეგი ერთხელ უკვე გამოიღო: 2011 წელს ამხანაგურ მატჩში ლატვიას **ზაზა ფაჩულიამ** ფაქტობრივად მარტომ მოუგო - 42 ქულა ჩაუგდო და მასპინძელთაგან მეტსახელიც მიიღო, „ქართველი ტერმინატორი". როგორც ლატვიიდან გვითხრეს, ზაზა გუნდთან ერთად ვარჯიშობს და მთელი შემადგენლობა მზადაა საბრძოლველად.

იმედი დავიტოვოთ, რომ ლატვიელებს ამჯერადაც მოუწევთ ქართველთა კომპლიმენტებით შემკობა. თუ წინა ტურში დასვენებულმა რუმინეთმა საქართველოში მოქანცულ ბოსნიასთან სენსაცია შემოგვთავაზა, მაშინ პირველი ადგილის დაბრუნების შანსი გვიჩნდება.




**საჯურნირო მდგომარეობა**

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოსნია | 7 | 5 | 2 | 643/614 | 12 |
| 2. საქართველო | 6 | 4 | 2 | 537/507 | 10 |
| 3. ლატვია | 6 | 4 | 2 | 500/434 | 10 |
| 4. ჰოლანდია | 7 | 2 | 5 | 578/629 | 9 |
| 5. რუმინეთი | 6 | 1 | 5 | 434/508 | 7 |

**დარჩენილი მატჩები**

| | | |
|---|---|---|
| 08.09 | 18:05 | ლატვია-საქართველო |
| 20:00 | | ბოსნია-რუმინეთი |
| 11.09 | 17:30 | საქართველო-ჰოლანდია |
| 18:00 | | რუმინეთი-ლატვია |

ისტორია



60-იანი წლები, „ვეფ რიგა"-„დინამო" თბილისი

# 1941 წელი, მოგებით დავიწყეთ

ლატვიელმა ჟურნალისტებმა არქივი გადაქექეს და ქართულ-ლატვიური დაპირისპირებები მოკლედ გაიხსენეს, რაც ჩვენი გაზეთის მკითხველსაც დააინტერესებს.

„ქართველები და ლატვიელები ერთმანეთის წინაშე პირველად 1941 წელს, ტარტუში რვა ქალაქის პირველობაზე წარდგნენ. რიგელებმა თბილისელებთან დათმეს. მას მერე საბჭოთა პირველობებზე ჩვენი გუნდები ერთმანეთს 1990 წლამდე ებრძოდნენ.

90-იანებში ორივე ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა და ერთმანეთში ექვსჯერ ითამაშეს. ანგარიშია 3:3.

■ ■ ■

ქართულ კალათბურთში ოქროს ერა 1945-დან 1954 წლებში იდგა. დროის ამ მონაკვეთში თბილისის „დინამო" ოთხჯერ გახდა საბჭოეთის ჩემპიონი. შემდეგ კი ეს ჯილდო რიგის ასკ-ს გადაულოცა.

60-იან წლებში ქართველები ყოველთვის საპრიზო ადგილებისთვის იბრძოდნენ, 1968 წელს კიდევ ერთხელ მოიპოვეს ჩემპიონობა. 70-იანებში კი ერთადერთი მედალი მოიგეს (1977 წელს, ბრინჯაო).

გადავხედოთ ისტორიულ სტატისტიკას: ლატვია-საქართველო (საბჭოთა პერიოდში): ასკ-"დინამო" 18:22, ასკ-"ბურევესტნიკი" 13:9, „ვეფ რიგა"-"დინამო" 18:39, „ვეფ რიგა"-"ბურევესტნიკი" 17:5, ლატვია-საქართველო (ქალაქებისა თუ სხვა ნაკრებები) 2:3."

| ევრობასკეტი 2013-ის შესარჩევი | |
|---|---|
| **24.08.2012. თბილისი** | |
| საქართველო-ლატვია | 79:76 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| **24.08.2011. ვენტსპილსი** | |
| ლატვია-საქართველო | 84:73 |
| **22.08.2011. რიგა** | |
| ლატვია-საქართველო | 79:83 |
| **27.08.2008. რიგა** | |
| ლატვია-საქართველო | 72:80 |
| **ევრობასკეტი 1999-ის შესარჩევი** | |
| **25.02.1998. ვენტსპილსი** | |
| ლატვია-საქართველო | 99:63 |
| **24.02.1999. თბილისი** | |
| საქართველო-ლატვია | 96:98 |

მეტოქე. ლატვია

# აინარს ბაგაცკისი: ქართველებმა იციან მეტოქის შეცდომების გამოყენება

ლატვიის ნაკრების თავკაცმა **აინარს ბაგაცკისმა** საქართველოს ნაკრებთან მატჩის წინ პრესკონფერენცია გამართა, სადაც მომავალ შეხვედრაზეც ილაპარაკა და საკუთარ გუნდზეც:

*- ჰოლანდიასთან მატჩის შემდეგ ჩვენს რიგებში არაფერი შეცვლილა, ყველა ჯანმრთელად და სათამაშოდ მზადაა.*

*- ჩვენი მთავარი ამოცანაა, არ მივცეთ საქართველოს ნაკრებს ჩვეულად გარჯის საშუალება, რადგან მათ მაღალ დონეზე თამაში შეუძლიათ. ჩვენს მეტოქეს ჰყავს კვალიფიციური და გამოცდილი კალათბურთელები, რომლებიც თამაშს აგრესიულად იწყებენ და კარგად ეხერხებათ მოწინააღმდეგეთა შეცდომების გამოყენება.*

*- თბილისში პირველი შეხვედრა ბოლო წამებზე ფორტუნამ კი არ წაგვაგებინა, არამედ მარცხის მიზეზი ჩვენივე შეცდომები იყო - ბევრი ისეთი ტყორცნა ავაცილეთ, რომლის ჩაგდებაც სავალდებულო გახლდათ. ამჯერად, ვფიქრობ, ქართველები ეცდებიან თამაში დაამშვიდონ.*

*- რაც შეეხება საქართველოს ნაკრების შეტევას, უნდა აღინიშნოს, რომ ამ გუნდში კარგი მიზანის მქონე კალათბურთელები არიან. მათთან გამკლავება იოლი არ იქნება. ამისთვის საჭიროა 40 წუთის განმავლობაში მობილიზებულები ვიყოთ და ვიბრძოლოთ.*

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

ოლიმპიადა. ინტერვიუ ზურაბ კახაბრიშვილთან

# კახაბრიშვილი: სასწრაფოდ აგვიშენეთ ბაზები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აუცილებელია სპორტის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა, აუცილებლად უნდა გვქონდეს ერთი საწვრთნელი ბაზა ბაკურიანში

ოლიმპიური გუნდის მთავარი ექიმი **ზურაბ კახაბრიშვილი** ერთ-ერთი ყველაზე ღრმად ჩახედულია ქართული ნაკრებების შიდა სამზარეულოში. თავისი პროფესიიდან გამომდინარე, ოლიმპიადებზე თუ მისთვის მოსამზადებელ პერიოდში ის მუდამ იმ ქვაბში ტრიალებს, რომელშიც ოლიმპიური მედლები იხარშება. ვინ როგორ ემზადება თამაშებისთვის, ვინ როგორი განწყობით გადის არენაზე საასპარეზოდ და რა ხდება კულისებში - ეს ყველაზე უკეთ მან იცის. ცხადია, ბევრი ისეთი რამეც იცის, რაც საზოგადოებისთვის დაფარულია და ამის გამხელის იმედი არც გვქონდა, თუმცა დღევანდელი ნომრის სტუმრად მასზე უკეთესს ძნელად ვინატრებდით. მანაც ჩვეულად ხალისით გაიხსენა ოლიმპიადა არა მხოლოდ სასიხარულო, საწყენი მომენტებითაც და პრობლემებზეც ისაუბრა.

**- შავდათუაშვილით დავიწყოთ, როგორი იყო მისი განწყობა შეჯიბრების დღეს, ფინალის წინ, იმის შემდეგ?**

- შავდათუაშვილმა ოლიმპიადაზე ფიქრი, განწყობა ჯერ კიდევ ბრაზილიაში ყოფნისას დაიწყო. მას წონის პრობლემა ჰქონდა და ერთი ვარჯიში გამოტოვა. თვითონ ისურვა სარბენ ბილიკზე ერბინა. მიზეზი რომ ვკითხე, მითხრა, ახლა რომ დავიწყო დაკლება და მერე შუა გზაზე შევჩერდე, საოლიმპიადოდ გამიჭირდებაო. უკვე მაშინ დავინახე, რომ ის თამაშებისთვის გონებრივად ემზადებოდა. ცხადია, მის ჩემპიონობაში ყველას მიუძღვის წვლილი, ვინც კი რამე



გაუკეთა - მწვრთნელსაც, ფედერაციასაც, სპონსორ-დამხმარეებს, მაგრამ მთავარი მაინც თვითონ მისი დამსახურებაა. ბოლო შეკრებაზეც მაოცებდა, იმდენად კარგად ჰქონდა შესწავლილი საკუთარი ორგანიზმი, რა მოუხდა მას და რა სჭირდებოდა. აქედან გამომდინარე მეუბნებოდა - ზურა, მე მინდა თაფლის ვიტამინები, მე მჭირდება ამინომჟავები, ჟოლოს სიროფი და ასე შემდეგ... ერთი სიტყვით, პროფესიულ მიდგომას ავლენდა. ამას სხვებიც აკეთებენ, მაგალითად, გოგშელიძე და მისნაირი გამოცდილი სპორტსმენები, მაგრამ ამ პატარა ბიჭისგან არ ველოდი.

ლონდონში ის არ ფიქრობდა იმაზე, ახლა ამ შეხვედრის მოგებით იმ წრეში გავალ, ამის მერე ეს მოხდება, ის ისე იქნებაო და ამგვარები; ის ყველა ორთაბრძოლას ჭიდაობდა, როგორც საჩემპიონოს, ყველა შეხვედრაში დებდა მაქსიმუმს, ტატამზე გლადიატორივით გადიოდა და ამან გამოიწვია იმხელა წარმატება. ყველა ორთაბრძოლის შემდეგ მუსიკას უსმენდა, რაც კარგი თვისებაა - ასეთი რამე მხოლოდ ოლიმპიურ ჩემპიონებზე, ტედი რინერზე, ოლე ბიშოფზე და ამ რანგის სპორტსმენებზე თუ დამინახავს.

მწვრთნელებსაც არ უნდა დავუკარგოთ თავისი. მაგალითად, ფინალის წინ მათ დაავალეს, რომ უნგვარისთვის ჩოქბჯენში ჭიდაობის საშუალება არ უნდა მიეცა, რადგან ამაში ძლიერია. თუ დააკვირდებით ლაშას, როგორ იბრძვის, რომ საქმე აქამდე არ მიიყვანოს. უნგრელმაც რომ შეხედა, თავის კოზირს ვერ იყენებდა, ფსიქოლოგიურად მოიშალა, ანერვიულდა, რაც შავდათუაშვილმა კარგად გამოიყენა და ბოლოს იქით შეუტია.

მიკლოშ უნგვარის კარგად ვიცნობ და ფინალის შემდეგ მითხრა ლაშაზე, კარგი ბიჭიაო, თან თითი თავზე მიიდო და დაამატა, აზროვნებსო. მან ეს პრესკონფერენციაზეც აღიარა. ჩვენებური რეიტინგში ერთ-ერთ ბოლო ნომრად შევიდა, რამაც კარგი საქმე გაუკეთა - მას ფავორიტად არავინ მიიჩნევდა და მასზე არ მუშაობდნენ, აქცენტი უფრო რეიტინგის მოწინავეებზე იყო გადატანილი, მაგრამ ლაშამ დაამტკიცა, რომ რეიტინგის ნომერს და ადგილს მნიშვნელობა არ აქვს, თუ მომზადებული ხარ.

**- ექიმის რანგში ყველაზე მეტი ამაგი ძიუდოს ნაკრებზე გაქვთ, თუმცა სპორტის ამ სახეობასთან ბევრად ახლოს ხართ, როგორც ყოფილი ძიუდოისტი, მწვრთნელი და მსაჯი. საინტერესოა, თქვენ რითი ხსნით ძიუდოს ნაკრების ჩავარდნას?**

- მე რომ მწვრთნელი ვყოფილიყავი, მზადების დასკვნით ეტაპს სხვანაირად დავგეგმავდი, თუმცა ისიც სათქმელია, რომ ბოლოს ორიოდე წონის ქულების გამო იძულებით გამოვედით რამდენიმე ტურნირში - ბრაზილია, არგენტინა... ამის გარდა, წილისყრამაც და სატურნირო აურამაც დიდი გავლენა მოახდინა (სხვათა შორის, სხვა სახეობებშიც). საკითხავია, სპორტსმენმა წინასწარ უნდა იცოდეს თუ არა მეტოქის ვინაობა? ვფიქრობ, რომ უნდა იცოდეს და ემზადებოდეს ამისთვის, თორემ ოლიმპიადაზე დილით რამდენჯერმე დავინახე ზოგიერთთა გაოცებული სახე. ვფიქრობ, რომ გუნდს ტატამის, ლეიბის, ჭიდაობის გარდა მრავალფეროვნებაც სჭირდება. სპორტსმენი დარბაზში არ უნდა გამოკეტო. თუმცა ზაიზენბახერი სწორედ ამგვარი ვარჯიშით გახდა ორჯერ ოლიმპიადის, ერთხელ კი მსოფლიოს ჩემპიონი. მან პირდაპირ თქვა, რომ ქართული მენტალიტეტის არ ესმოდა. ის არც მორწმუნეა და წარმოიდგინეთ, როცა გუნდში შვიდი სპორტსმენიდან ექვსი მორწმუნეა და ეკლესიაში დადის, როცა გუნდში გყავს სტიქაროსანი... კარგი იქნება, მომავალში ამ ფაქტორს თუ გაითვალისწინებენ და ისე შეარჩევენ უცხოელს, როცა ამის საჭიროება იქნება. ჩვენ თუ ვამბობთ, სადაც ჩახვიდე, იქაური ქუდი დაიხურეო, ჩამოყვანილსაც მოვთხოვოთ ეს. ზაიზენბახერი დიდი პროფესიონალია - მე და ზვიადაურმა მისი პროგრამით წონაც კი დავიკელით, მაგრამ თავის თავში ჩაკეტილი პიროვნებაა. თუმცა ნუ ვიქნებით უმადურები - მან ბევრი კარგიც გააკეთა.

**- დანარჩენი მედალოსნები როგორ ხვდებოდნენ მედლისთვის შეხვედრებს?**

- გიორგი გოგშელიძით დავიწყებ, რომელმაც ბრინჯაოსთვის ბრძოლაში დიდი მობილიზება შეძლო. ვიცოდი, რომ მას ტრავმა ჰქონდა, ოპერაციის საშიშროებაც იყო, მაგრამ არ გავუკეთეთ. მან შეძლო ამ ტკივილის დავიწყება და პროფესიონალიზმიც ესაა. უბრალოდ, ამერიკელთან დრო არ ეყო მეორე პერიოდში, თორემ პირველი მშვენივრად მოუგო კონტრილეთზე. აი, მეორეში არ მიეცა ამის საშუალება, რადგან მეტოქე ბურთულას დაელოდა, შეცდომა არ დაუშვა. დაახლოებით ასე მოუვიდა დავით მარსაგიშვილსაც, თორემ არაფრით არ მეგონა, ის თუ ოქროს გარეშე წამოვიდოდა. ვფიქრობ, ვერ შეაფასა მეტოქე, თუმცა მერე თვითონაც მითხრა, როცა ილეთი არ გამომივდა, ავნერვიულდი, რატომ არ გამოდისო. ეს ძალიან ცუდია, ამაზე არ უნდა იფიქრო. თუ არ გამოგდის ერთი, კომბინაციაში უნდა გადახვიდე მეორეზე, მაგრამ რაღაც მომენტში გონებაში „გაჭედა". რევაზ ლაშხმა საკუთარ თავს აჯობა. მან ძალიან სერიოზულ კონკურენტს მოუგო - ჰასან ალიევს, თუმცა ის ზედმეტი წონის, გადაღლის თუ სხვა მიზეზით ცუდადაც იყო. მანუჩარ ცხადაიამ უნგრელთან იმ საბედისწერო მომენტზე მითხრა, იმდენად კარგად მომაჯდა კისრულზე, რომ არ გამეკეთებინა, მთელი ცხოვრება თავს ვერ ვაპატიებდიო. გარისკა, მაგრამ არ გაუმართლა, თუმცა მერე მაინც შეძლო ბრინჯაოსთვის საჭიდაოდ მობილიზება. საერთოდ, ყველაზე ძნელი ნახევარფინალში წაგებაა - ფინალში გასვლით მედალი გარანტირებულია, იქ მხოლოდ იმისთვის უნდა განაწყო თავი, რომ ოქრო მოიპოვო, თორემ უმედლოდ არ რჩები, ნახევარფინალში წაგების მერე კი არის ხელცარიელი დარჩენის საშიშროება. სწორედ ამიტომ მეცოდება ვლადიმერ გეგეშიძე, რომელმაც შეძლო მობილიზება და ბრინჯაოსთვის შეხვედრაც მაღალ დონეზე ჩაატარა, მაგრამ წაართვეს ის მოგება. თუმცა მას ნახევარფინალიც წააგებინეს, თორემ მერე ფინალსაც მოიგებდა. ის ძალიან გაზრდილი იყო, როგორც მოჭიდავე და ბევრიც იმუშავა. როგორც შავდათუაშვილი გახდა სენსაციურად ოლიმპიური ჩემპიონი, ასევე მოულოდნელად უნდა გამხდარიყო გეგეშიძეც, ის იმსახურებდა ამას. ყაზახთან წაგების მერე მწვრთნელებსაც და ყველას დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა მის დასაწყნარებლად, თორემ დოპინგზე შემოწმებას არ აპირებდა, იმდენად შეზიზღდა FILA-ს ადმინისტრაცია. არც გაემტყუნება, რადგან არ შეიძლება, ასე არაკაცურად გადაგინყვიტონ ყველაფერი. ოლიმპიადა არაა მხოლოდ ერთი ტურნირი, ეს მთელი ცხოვრებაა. როგორც ევერესტს ვერ ადიხარ ერთ დღეში, ვერც ოლიმპიური ჩემოპიონი ხდები ასე უცებ. ევერესტზე რამდენიმე დღე მიდიან, გზადაგზა ბანაკდებიან, ზოგი ადის, ზოგი - ვერა და წლების მერე ისრულებს ამ სურვილს. გეგეშიძეც ასე იყო - ჭაბუკებიდან და ახალგაზრდებიდან მოყოლებული ტრავმებით და წვალებით მოდის, გერმანიაში ალბერტ გუზბახერთან ორჯერ გავუკეთეთ ოპერაცია და როგორია, როცა ამდენ შრომას წყალში ჩაგიყრიან. ამბობდა, დისკვალიფიკაცია მომცენ, სულ ერთიაო და დოპინგზე არ გადიოდა, მაგრამ ამას შეიძლებოდა, ბევრად ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია მოჰყოლოდა და არათუ სპორტსმენის, მწვრთნელის რანგშიც არ გაეკარებინათ ლეიბისთვის. როგორც იქნა, დავარწმუნეთ, რომ უნდა ჩაებარებინა ტესტი, თორემ გახსოვთ წინა ოლიმპიადიდან შვედეთში გადასული სომეხ არა აბრაჰამიანის პროტესტი, როცა დაჯილდოებაზე ბრინჯაოს მისაღებად კვარცხლბეკზე არ ავიდა და დისკვალიფიკაციით ხომ დასაჯეს, მედლის დასაბრუნებლად სასამართლოები დასჭირდა. ვფიქრობ, გეგეშიძის აგრესია იმავე ბულგარელი იან კოსტადინოვის და სხვათა მიმართ სამართლიანია. მსაჯი ვარ და ვიცი, როგორ აფუჭებენ სპორტსმენებს. გეგეშიძეს ვინმეზე ხელით გაწევა რომ ეკადრა, დარწმუნებული ვარ, მთელი ტრიბუნა გადავიდოდა ლეიბზე მის მხარდასაჭერად, ისე უსამართლოდ მოექცნენ.

**- თქვენ ჩვენთვის კიდევ ერთი ემოციური მომენტის უნებლიე მონაწილე გახდით - როცა გოგშელიძემ შვილს მიმართა, გვერდით ედექით მას...**

- დარბაზის ხმაურში იმ ფრაზის დასაწყისი კარგად ვერ გავიგონე და მეგონა, მე მეუბნებოდა. იმიტომ წამოვარტყი ხელი ბეჭებზე ისე შინაურულად, თუმცა ახლა რომ ვიგონებ, ცრემლები მადგება, მართლა დიდი ემოცია იყო გიორგის იმ სიტყვებში. გოგშელიძე, ისევე როგორც ემზარ ბედინეიშვილი, რამაზ ნოზაძე, მანუჩარ კვირკველია სპორტის ნებისმიერ სახეობაში მიაღწევდნენ წარმატებას, იმდენად ნიჭიერები არიან.

**- ტყვიის სროლასა და მშვილდოსნობაში მარცხი რამ განაპირობა?**

- ალბათ, ნინო სალუქვაძის დღე არ იყო ამ ოლიმპიადაზე. ძალიან განიცადა წაგება.



ლაშა შავდათუაშვილს პირველმა ზურაბ კახაბრიშვილმა მიულოცა

სტარტების წინ ძალიან მშვიდად იყო. ესებუას დიდი პოტენციალი აქვს, თუმცა ამჯერად ძლიერთან დამარცხდა.

**- ძალოსნები და მაჭავარიანის შემთხვევა? მას რაღა მოუვიდა?**

- ნერვიულობისა და სტრესისგან გადაიღალა. შეიძლება ნაადრევადაც დაიჯერა წარმატება და შტანგასთან როცა მივიდა, ის მისთვის მოსალოდნელზე მძიმე აღმოჩნდა. ყოველ მისვლაზე მობილიზებას მხოლოდ თვალებით აკეთებდა და არა მთელი სხეულით. არ შემიძლია თურმანიძეზე არ ვთქვა - კარგად ხომ იასპარეზა, ასეთი ღიმილისა და იუმორის პატრონი იშვიათად მინახავს. ცირეკიძეც ნორმალურად გამოვიდა, თუმცა ამ გუნდში სხვებიც არიან კარგი ბიჭები, თუნდაც - ტალახაძე. ვანო გრიქუროვი ტყუილად არ ლაპარაკობს იმედიანად მომავალ ოლიმპიადაზე. ბრაზილიაში ერთ-ერთი სერიოზული გუნდი გვეყოლება.

**- კრივის შემთხვევა სამწუხარო პრეცედენტია, როცა სპორტსმენს აწონვაზე დააგვიანდა.**

> მსაჯი ვარ და ვიცი, როგორ აფუჭებენ სპორტსმენებს. გეგეშიძეს ვინმეზე ხელით გაწევა რომ ეკადრა, დარწმუნებული ვარ, მთელი ტრიბუნა გადავიდოდა ლეიბზე მის მხარდასაჭერად, ისე უსამართლოდ მოექცნენ.

- ხანდახან მწვრთნელებმაც უნდა აღიარონ შეცდომა. ვფიქრობ, მათ ის მომენტი გამოეპარათ, რომ ყოველ დღესაა აწონვა. მე კი გავაფრთხილე, ამისთვის მიექციათ ყურადღება, მისიის ხელმძღვანელი დავით გობეჯიშვილიც ყოველ დღე ატარებდა თათბირებს, მაგრამ ეტყობა, კონკრეტულ გუნდში ორგანიზაციულ საკითხებში გამოუცდელობამ იჩინა თავი.

**- ოთხი წელიწადიც მალე გაირბენს და ისევ მოგვიწევს ოლიმპიადაზე წარდგომა. თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს ქართულ სპორტში უფრო მასშტაბური წარმატების მისაღწევად?**

- ჩვენ ხშირად ვამბობთ, რომ დამთავრდა ერთი ციკლი და ვიწყებთ მზადებას ახალი ოლიმპიადისთვის, მაგრამ საკითხავია - როგორ ვიწყებთ? გაუმჯობესდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გინდ სპორტული მედიცინის და გინდ საშეჯიბრო-გამაჯანსაღებელი არენების მხრივ? ქართული სპორტის წინსვლა საერთო საქმეა - ოლიმპიური კომიტეტის, სახელმწიფოს, ქომაგის, ფედერაციების და ამაში ყველამ უნდა შეიტანოს წვლილი. დიდი მადლობა სეოკ-ის პრეზიდენტს, გია ნაცვლიშვილს, რომელმაც ძალიან ბევრი გააკეთა, კარგად იმუშავა მსაჯებთან და საერთაშორისო ფედერაციებთან, სამინისტრომაც ბევრი გააკეთა - 90 000 ლარი მხოლოდ მედიკამენტებისთვის მოგვცა ლონდონში წასვლამდე, მაგრამ ქართულ სპორტს მეტი სჭირდება. აუცილებელია სპორტის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა, აუცილებლად უნდა გვქონდეს ერთი საწვრთნელი ბაზა ბაკურიანში ანუ მთის რეგიონში, ბორჯომში, სადმე ზღვაზე, დუშეთისა კი მისაღებ სარტყელშია. რატომ დადიოდა ზაიზენბახერი სავარჯიშოდ უცხოეთში? იმიტომ, რომ იქ ყველაფერი ერთ კომპლექსში იყო თავმოყრილი - შტანგა, საუნა, ჯაკუზი, სარბენი ბილიკი, სამედიცინო ოთახი და ყველაფერი, რაც გვინდოდა ვარჯიშისთვის. დარბაზიდან გასვლა არ გჭირდებოდა, ყველაფერი იქვე გქონდა, ოღონდ კი გევარჯიშა. ამავე მიზნით დადიოდნენ ჩვენი მოჭიდავეები ნახკაძორში - სომხებმა თანამედროვე ბაზა გააკეთეს. გვქონდა შემთხვევები, როცა ვინმეს იქნებ ფეხი სტკიოდა ან რამე სხვა სახის ტრავმა ჰქონდა, რის გამოც ლეიბზე არ შეეძლო ვარჯიში და სანაცვლოდ, ვთქვათ, აუზზე ვუშვებდით. სპორტი ამაზეა გათვლილი, რომ კომპლექსურად ერთად გქონდეს საცურაოც, სარბენიც, ტრენაჟორიც, საუნაც, ფიტნესიც, სარეაბილიტაციო ცენტრიც და ყველა საჭირო სფერო. ერთფეროვანი ვარჯიში ანუ მხოლოდ ხალიჩაზე, მხოლოდ ტატამზე, მხოლოდ სარბენ ბილიკზე, რინგზე, ფიცარნაგზე და ასე შემდეგ ღლის ადამიანს, შენაცვლება, მრავალფეროვნებაა საჭირო.

ისიც საკითხავია, რა სახეობებში მოვიპოვებთ რიო დე ჟანეიროში მედლებს? კი გამოჩნდნენ ახლები ცურვაში, ფარიკაობაში და კიდევ რამდენიმე სახეობაში, კარგი გუნდი გვყავს მშვილდოსნობაში, მაგრამ ძირითადად იქაც საჭიდაო სახეობების იმედად დავრჩებით. არადა, ამ სამ ნაკრებში მაქსიმუმ 21 სპორტსმენი გვყავდეს, ეს კი, ობიექტურად რომ ვთქვათ, საუკეთესო შემთხვევაში 10 მედალია. ის ბაზები იმიტომაც გვჭირდება, რომ გაიშალოს სასელექციო მუშაობა, განსაკუთრებით - რაიონებში. ტალანტების მოძებნა, აღმოჩენაა საჭირო. თან სოფელში გაზრდილ ბავშვს შიშის ფაქტორი გადალახული აქვს, ის ექსტრემალია, კარგი გაგებით - „ტარზანი", „მაუგლია", რადგან ბუნებასთან მჭიდრო კავშირი აქვს.

პირადმა თუ სანაკრებო მწვრთნელებმაც უნდა აღიარონ შეცდომები, მათი შეგირდი მზადების იმ ხუთი ძირითადი ნიშნიდან რომელში არ იყო მზად - ტაქტიკაში, ტექნიკაში, ფიზიკურ, ფუნქციურ მომზადებაში თუ ფსიქოლოგიაში. ამათგან რომელიმე ერთში თუ მოიკოჭლებ, სხვებში უნდა იყო ძლიერი. სეზონიდან სეზონამდე საჭიროა, სპორტსმენებმა რაღაც დაამატონ თავიანთ არსენალს, თორემ პროგრესი არ ექნებათ, ეს კი ძირითადად პირადმა მწვრთნელებმა უნდა გააკეთონ. ნაკრების მწვრთნელი ათლეტს კონკრეტული შეჯიბრებისთვის ამზადებს და სიახლეების დასამატებლად იმდენი დრო არ აქვს. ძირითადად პირადმა მწვრთნელმა უნდა ასწავლოს ტაქტიკური ჭიდაობა - როგორ შეინარჩუნონ უპირატესობა, როგორ გაიყვანონ დრო... საბედნიეროდ, მწვრთნელებსაც ვამჩნევ პროგრესს. მაგალითად, ზაზა თურმანიძე ძალიან გაიზარდა, როგორც მწვრთნელი. იგივე ითქმის ბეგი დარჩიაზე და კიდევ ზოგიერთზე, ლონდონში ძალიან მომეწონნენ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების ახალგაზრდა მწვრთნელები - დავით ოთიაშვილი და ალექსანდრე კახნიაშვილი, რომლებმაც მართლაც დიდი სამუშაო გასწიეს.

**ირაკლი თავაძე**

# ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

ქართული სპორტი

თავისუფალი ჭიდაობა. მსოფლიოს პირველობა ახალგაზრდებში

## პატაიაში მეტოქეები გაგვიჭირდა

ტაილანდურ პატაიაში მიმდინარე მსოფლიოს ახალგაზრდულ პირველობაზე გუშინ ასპარეზობა გოგოებმა დაასრულეს, დღეს კი ტურნირში თავისუფალი სტილით მოჭიდავეები ჩაებმებიან. ჩვენი ნაკრების შემადგენლობაში **ბექა ბუჯიაშვილი** (50), **ლაშა ტალახაძე** (55), **ლაშა ბიტარაშვილი** (60), **კონსტანტინე ხაბალაშვილი** (66), **ჯუმბერ ყველაშვილი** (74), **ლევან გოგრიჭიანი** (84), **გიორგი მეშვილდიშვილი** (96) და **გენო პეტრიაშვილი** (120) შედიან.

დღეს ჩვენებურთაგან ბუჯიაშვილი, ბიტარაშვილი, ყველაშვილი და მეშვილდიშვილი ჭიდაობენ. ბუჯიაშვილი, რომელსაც საამტურნიროდ ფრიად გაუჭირდა წონის დაკლება, პირველ წრეში ისვენებს, მეორეში კი თურქ **მუამერ**



**სანცაკს** ხვდება. მათ შორის მოგებული ნახევარფინალში გასასვლელად უზბეკ **მახმუდინ შავკატოვსა** და ეგვიპტელ **ალი ოსამა რაგაბის** შორის მოგებულს დაეჭიდება. ჩვენებურს მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი, რუსი **მაგომედ მაგომედალიევი** ფინალამდე ასცდა.

პირველ წრეში ბიტარაშვილიც ისვენებს, მისი მეტოქე კი უნგრელი **იოზეფ მოლნარისა** და იაპონელი **მასაკაცუ კამოის** შეხვედრაში გაირკვევა. ჩვენებურის მხარეს მოხვდნენ ევროპის წლევანდელი პირველობის ფინალისტები - აზერბაიჯანელი ჩემპიონი **ახმედნაბი გვარზატილოვი** და თურქი ვიცე-ჩემპიონი **სელაჰატინ კილისალაიანი**, აგრეთვე - მსოფლიოს შარშანდელი პირველობის მოლდოველი ბრინჯაოს მედალოსანი **მაქსიმ პერპელიტა**. ამათგან ბიტარაშვილი ყველაზე ადრე სწორედ მოლდოველს შეიძლება შეხვდეს - მერვედფინალში, თურქთან მისი გზა მეოთხედფინალამდე არ იკვეთება, აზერბაიჯანელთან - ფინალამდე. ამ წონაზე საუბრისას დავძენთ, რომ შარშან აქ აზერბაიჯანელმა **ტოღრულ ასკაროვმა** გაიმარჯვა, რომელიც ერთი თვის წინ ოლიმპიური ჩემპიონიც გახდა.

დღეს ყველაზე მეტი მონაწილე 74 კილოგრამში იქნება - 36 სპორტსმენი (თუმცა 60-შიც არანაკლებია - 35), მაგრამ ყველაშვილს გაუმართლა და პირველ წრეში ისვენებს, როგორც მისი უნგრელი მეტოქე **იშტვან ზომბორ გულიასი**. ძლიერი ფალავნებით დატვირთული არც ბადის ეს ნახევარია - ტიტულოვანთაგან აქ მხოლოდ აზერბაიჯანელი ევროპის წლევანდელი ბრინჯაოს მედალოსანი **ელჯან უსუბზადა** მოხვდა და იმასაც ნახევარფინალამდე არ შეხვდება. აღსანიშნავია, რომ უსუბზადა და ყველაშვილი წლეულს გვერდიგვერდ იდგნენ ევროპულ კვარცხლბეკზე ზაგრებში, სადაც ჩვენს გუნდს მეტი მედალი არც მოუპოვებია. ბადის მეორე მხარესაა ევროპის წლევანდელი თურქი ვიცე-ჩემპიონი **აბდულკადირ ოეზმენი**, ვისთანაც ჩვენებური ზაგრებში დამარცხდა.

რთული წილისყრა ერგო დებიუტან მეშვილდიშვილს - პირველივე წრეში რუსეთა მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ **მაგომედგაჯი ნურასილოვს** ხვდება. ამ ბარიერს თუ გაივლის, მომდევნო წრეში სავარაუდო მეტოქეთაგან ერთი აშშ-ს ანუ ძლიერი სკოლის წარმომადგენელი **მარკ ტანერ ჰალია**, მეოთხედფინალში კი კიდევ ერთი ძლიერი გუნდის - აზერბაიჯანის ფალავანი შეიძლება გადაეყაროს. თუმცა მეშვილდიშვილმა ჯერ რუსული ბარიერი დასძლიოს - იქაურებმა ნურასილოვის გამო ევროპის წლევანდელი ჩემპიონი **მაგომედკამილ ჰუსეინოვი** დატოვეს სახლში.

**ირაკლი თავაძე**

### შეკითხვა ლელოს

**შეკითხვა:** საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი განვითარების შესაძლებლობას აძლევს სპორტის ცალკეულ სახეობებს და ოლიმპიადების პროგრამაში შეაქვს. ლონდონში, მაგალითად, ქალთა კრივი ვიხილეთ. რა სიახლეა მოსალოდნელი ზაფხულის მომავალ თამაშებში რიო-დე-ჟანეიროში?

*ლაშა მინდელი, თბილისი*

**პასუხი:** დიახ, ოლიმპიურ პროგრამაში მოხვედრის შანსი სპორტის არაერთ სახეობას ეძლევა, თუ ის აკმაყოფილებს მსოფლიოში გავრცელების ოლიმპიური ქარტიის მოთხოვნებს. რიო-დე-ჟანეიროში მოსალოდნელი კი არა, გადაწყვეტილია ჩატარდეს პირველად ოლიმპიური ტურნირი გოლფსა და შვიდკაცა რაგბიში. ცალკეული საერთაშორისო სპორტული ფედერაციები ცდილობენ, მოიპოვონ მომავალ თამაშებში მათი სპორტის სახეობების ჩართვის უფლება, რაც სპონტანურად არ წყდება — მინიმუმ ორი ოლიმპიური ციკლით ადრე უნდა გამოცხადდეს სპორტის ახალი სახეობისთვის ოლიმპიური სტატუსის მინიჭება, რათა ქვეყნებმა შეძლონ სპორტსმენთა სათანადო მომზადება. გვახსოვდეს: სპორტის ახალი სახეობის შეტანა ოლიმპიურ პროგრამაში ხდება მხოლოდ უკვე არსებულის შეკვეცის ხარჯზე. სხვაგვარად პროგრამა უსაშველოდ გაიზრდებოდა. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სპორტული ინტერესების ბალანსის დაცვას.

აქვე გთავაზობთ ამ საკითხთან დაკავშირებით საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის **ჟაკ როგის** კომენტარს: "პროგრამა მიმზიდველი რომ იყოს, ბალანსი უნდა დავიცვათ. მასში უნდა იყოს ათლეტური სახეობები - მძლეოსნობა, ძალოსნობა, ცურვა. გარკვეული რაოდენობით აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი გუნდური სახეობები: კალათბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი, ხელბურთი, ჰოკეი. არ უნდა დავივიწყოთ ისეთი სახეობები, რომლებსაც ერთი საერთო სახელწოდება აქვს - racket sports: ჩოგბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ბადმინტონი. უნდა იყოს წყლის სახეობები - აკადემიური ნიჩბოსნობა, კანოე, აფროსნობა. მოკლედ, პროგრამაში ყველაფერი უნდა იყოს გათვალისწინებული. მაგრამ არ უნდა მოხდეს ისე, რომ, მაგალითად, გუნდური სახეობები დომინირებდნენ, ან პირიქით, ათლეტური სახეობები. სწორედ ეს არის ბალანსი."

### ვიქტორინა

**1. საიდან წარმოდგება მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალის ერთ-ერთი სახელი ევერესტი?**

ა — „ფრინველიც ვერ გადაუფრენს"
ბ — „ცის ქუდი"
გ — ლორდ ევერესტის სახელია

**2. სპორტის რომელ სახეობაში ტარდება „ბრილიანტის" ლიგად წოდებული საერთაშორისო ასპარეზობა?**

ა — მძლეოსნობაში
ბ — ველორბოლაში
გ — ფრენბურთში

**3. რომელი წლის ოლიმპიური თამაშების შემდეგ ეწოდება ინვალიდების მონაწილეობით გამართულ ასპარეზობას პარალიმპური თამაშები?**

ა — 1984 წლის
ბ — 1988 წლის
გ — 2004 წლის

**4. შეიხმა მოჰამედ ბენ რაშიდ ალ-მაქტუმმა 2006 წლის ფორმულა 1-ის რომელ ცნობილ მრბოლს აჩუქა 7 მილიონ დოლარად ღირებული ხელოვნური არქიპელაგის ერთ-ერთი კუნძული?**

ა — ფერნანდო ალონსოს
ბ — აირტონ სენას
გ — მიხაელ შუმახერს

**5. რომელი ცნობილი რუსი პოეტის გვარმოსახელეა ერთ-ერთი ცნობილი კალათბურთელი?**

ა — ალექსანდრ პუშკინის
ბ — მიხეილ ლერმონტოვის
გ — ვლადიმერ მაიაკოვსკის

პასუხები: 1 — ბ, 2 — ა, 3 — ბ, 4 — ბ, 5 — ა.

### ოლიმპიური მედლები





### პირველი, პირველმა, პირველად...

■ ■ ■

**პირველი** პოლონელი მრბოლი, რომელმაც ფორმულა 1-ის ბაჰრეინის გრან-პრი მოიგო, იყო უილიამსის პილოტი **რობერტ კუბიცა**. ეს მოხდა 2008 წლის 9 აპრილს.

■ ■ ■

**პირველმა** იტალიაში (ქ. გენუაში) საფეხბურთო სელექცია გახსნა ინგლისელმა ექიმმა **ჯეიმს რიჩარდსონმა** 1897 წელს.

■ ■ ■

**პირველად** სამხტომი თანამედროვეობის პირველსავე ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეიტანეს 1896 წელს. გაიმარჯვა ამერიკელმა **ჯეიმს კონოლმა**.

### სპორტის ნაკლებად ცნობილი სახეობები

## სერფინგი



**სერფინგი.** საწყლოსნო სპორტის სახეობა. ტალღებზე სრიალი სპეციალური (კორპის, ფენოპლასტის) დაფით. დაფის სიგრძეა 2,7-3,0 მეტრი, სიგანე — 56-58 სმ, სისქე — 7,6-10,2 სმ, წონა 11-იდან 26 კგ-მდე, სპორტსმენის წონისა და დასახული ამოცანის მიხედვით. დაფის თავი და ბოლო ოდნავ აწეულია. 1970-იანი წლებიდან დაფის ბოლოში ამაგრებენ თევზის ფარფლის მსგავს ერთ ან რამდენიმე ქიმს.

სრიალი შეიძლება 30-სანტიმეტრიან ტალღებზეც, მაგრამ, რაც უფრო დიდია ტალღა, მით უფრო დიდია სისწრაფე. აშშ-ში, კერძოდ, კალიფორნიაში, სერფინგისთვის გამოსადეგი ორმოცამდე პლაჟია. პროფესიონალური სერფინგისთვის საუკეთესოა ჰავაის სანაპირო, სადაც ტალღები 9 მეტრსაც კი აღწევს. ავსტრალიური სანაპიროებიდან ყველაზე ცნობილია ბონდი.

ადრე სპორტსმენთა ოსტატობის შეფასება განსხვავებული კრიტერიუმების გამო ძნელი იყო, ბოლო ხანს კი ყველაზე მეტად დაპირისპირებულმა ჰავაელებმა და ავსტრალიელებმა საერთო სისტემა შეიმუშავეს და ჩემპიონატებიც უფრო ობიექტურად ტარდება. სპორტსმენთაგან ადგენენ სამკაციან ჯგუფებს, თითოეულ ჯგუფს აძლევენ 20-20 წუთს, შემდეგ კი ჯგუფებში გამარჯვებულები პლეი ოფის პრინციპით ეჯიბრებიან ერთმანეთს. ამინდის მიხედვით მსაჯებმა დრო შეიძლება 40 წუთამდეც გაზარდონ. ამ ხნის განმავლობაში სპორტსმენები ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ისრიალონ, ხუთი მსაჯი კი მათ ქულებს უწერს. საუკეთესო და ყველაზე დაბალი შედეგი უქმდება, შემდეგი ოთხი უმჯობესი მაჩვენებელი კი იკრიბება. მსოფლიოს ჩემპიონატების პროგრამაშია ოთხი ქვესახეობა: კლასიკური სერფინგი, ანუ სრიალი დგომელა, ბოდიბორდინგი, ნიბორდინგი (ჩოქელა სრიალი) და ლონგ ბორდინგი (გრძელი ბორდინგი). მსოფლიოს ჩემპიონატი ტარდება 1964 წლიდან.

### საინტერესო ამბების აბგიდან

**ფეხბურთში** ვატიკანის სახელმწიფო ჩემპიონატში თამაშობენ გუნდები, რომელთა სახელწოდებაა: „ტელეფოსტა", „გვარდიელები," „ბანკი", „ბიბლიოთეკა", „მუზეუმთა ნაკრები" და ა.შ.

■ ■ ■

**კრივი,** როგორც სპორტის სახეობა კანონიერად აღიარებულ იქნა მხოლოდ 1900 წელს.

■ ■ ■

**ნბა-ს** დაახლოებით ყოველ მესამე მოთამაშეს სხეულზე აქვს ტატუ, რაც ამ ასოციაციის კალათბურთელთა 30 პროცენტს შეადგენს. სულ კი აშშ-ში მოსახლეობის 4 პროცენტს არ აღემატება ტატუირებულთა რაოდენობა.

■ ■ ■

**1958 წელს** იამაიკის ეროვნული ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში მოიგო **ჯეი ფოსტერმა**. მაშინ ეს სპორტსმენი სულ რალაც 8 წლისა იყო.

■ ■ ■

**1896 წლის** ოლიმპიურ თამაშებში (I ოლიმპიადა) ტანვარჯიშში შედიოდა: სიგრძეზე ხტომა; ჭოკით ხტომა; ბაგირზე ცოცვა; ბირთვის კვრა და სპორტის სხვა სახეობები.

■ ■ ■

**საჭადრაკო ტერმინი** „გამბიტი" დამკვიდრდა იტალიური სიტყვიდან „დარე ილ გამბეტტო", რაც ნიშნავს — „გამოსდე სარმა".

■ ■ ■

**დარტყმისთანავე** გოლფის ბურთის სიჩქარე აღწევს 270 კმ/სთ.

### სერიიდან: უცნაური სტადიონები

იაპონია, ქ. ოსაკა. წარსულში ბეისბოლის მოედანი დიდ საფეხბურთო სტადიონად გადაკეთდა. სტადიონი მდებარეობს ქალაქის შუა ნაწილში. იტევს 31 379 მაყურებელს. სტადიონი 1998 წელს დაანგრიეს და მის ნაცვლად პირდაპირ სპორტულ არენაზე საცხოვრებელი სახლები ააშენეს



## უცხოური სპორტი

### ველოსპორტი. ვუელტა



დანიელე ბენატი

# იტალიელის დაბრუნება

წინა დღეს ურთულესი სამთო ეტაპის შემდეგ ვუელტას მონაწილეებს ამოსუნთქვის საშუალება მიეცათ. მე-18 ეტაპი მთლიანად სწორ გზაზე გადიოდა და შესაბამისად, ყველანი სპრინტერული ფინიშის მოლოდინში იყვნენ.

მაგრამ სანამ ეს მოხდებოდა, ვიხილეთ მორიგი გაქცევა - პელოტონს გამოეყო ხუთკაციანი ჯგუფი და მათი მაქსიმალური უპირატესობა მთელი დისტანციის განმავლობაში დაახლოებით ხუთ წუთს შეადგენდა. თუმცა ეს ჰანდიკაპი ვერ შეინარჩუნეს და პელოტონმა ისინი ფინიშამდე 17 კილომეტრით ადრე შეიერთა.

ბოლო კილომეტრებზე ველომრბოლებმა ძალიან მაღალი ტემპი განავითარეს, გუნდებმა კი დაიწყეს მზადება იმისთვის, რომ უკეთესი შესატევი პოზიცია მოემზადებინათ თავიანთი წამყვანი სპრინტერებისთვის. თავდაპირველად „თიმ სქაის" წევრებმა იაქტიურეს და თითქმის იდეალური პოზიცია შეუქმნეს **ბენ სვიფტს**. სამაგიეროდ, დააგვიანეს შეტევის მომზადება „არგუსის" წევრებმა, რის გამოც ბრძოლის შანსი დაკარგა გერმანელმა **იონ დეგენკოლბმა**, რომელმაც ამ ვუელტაზე უკვე ოთხი ეტაპის მოგება მოასწრო.

ასეთ პირობებში სვიფტს არ უნდა გასჭირვებოდა ეტაპის მოგება, მაგრამ ბოლო მეტრებზე მოულოდნელად წინ გაიჭრა შესანიშნავი იტალიელი სპრინტერი **დანიელე ბენატი** და რამდენიმე სანტიმეტრით აჯობა სვიფტს. სწორედ გამოცდილების ხარჯზე შეძლო აპენინელმა ამ სეზონში პირველი გამარჯვების მოპოვება, რადგან თავისი გუნდისგან - „რედიოშეკისგან" თითქმის არ ჰქონია მხარდაჭერა.

მეორე ადგილზე სვიფტი გავიდა, მესამეზე ავსტრალიელი **ალან დევისი**.

საერთო ჩათვლაში არაფერი შეცვლილა. სავარაუდოდ, უახლოესი ორი ეტაპი ბევრ რამეს გადაწყვეტს საპრიზო სამეულში ადგილების განაწილების მხრივ.

**XVIII ეტაპი**

1. **დანიელე ბენატი** (იტალია - RadioShack-Nissan); 2. **ბენ სვიფტი** (ბრიტანეთი -Team Sky); 3. **ალან დევისი** (ავსტრალია - Orica-GreenEdge); 4. **ლოიდ მონდორი** (საფრანგეთი - Ag2rLa La Mondiale); 5. **იონ დეგენკოლბი** (გერმანია - Argos-Shimano); 6. **დავიდე ვიგანო** (იტალია - Lampre-ISD)...

**საერთო ჩათვლა**

1. **ალბერტო კონტადორი** (ესპანეთი, Saxo Bank) - 72:09.45; 2. **ალეხანდრო ვალვერდე** (ესპანეთი, Movistar ) - +1.52; 3. **ხოაკიმ როდრიგესი** (ესპანეთი, "კატიუშა") - +2.28; 4. **კრისტოფერ ფრუმი** (ბრიტანეთი, Sky) - +9.40; 5. **დანიელ მორენო** (ესპანეთი, „კატიუშა") - +11.36; 6. **რობერტ ჰესინკი** (ჰოლანდია, Rabobank) - +12.06...

### სკანდალი

# მოძალადე საბჭოელი

ყოფილი საბჭოთა მოციგურავე **გენრიხ სრეტენსკი**, რომელიც ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს, აშშ-ის პოლიციამ დააკავა. ის ეჭვმიტანილია სექსუალური ძალადობის მცდელობაში.

50 წლის სრეტენსკი მერილენდის შტატის ტერიტორიაზე დააკავეს, სადაც ის ცხოვრობს და ფიგურული სრიალის მწვრთნელად მუშაობს.

NBC-ის მონაცემებით, სრეტენსკი ეჭვმიტანილია იმ ინციდენტში მონაწილეობაზე, რომელიც 2011 წლის სექტემბერში, ოლიმპიურ ქალაქ ლეიკ-პლესიდში მოხდა. მწვრთნელის ადვოკატის თქმით, ლაპარაკია პირველი და მესამე კატეგორიის სექსუალური ხასიათის დანაშაულზე.

თავდაპირველად მოსარჩელეს ვინაობა არ დასახელებულა, მოგვიანებით კი გაირკვა, რომ ყოფილ საბჭოელ მოციგურავეს არასრულწლოვანი გოგონას მშობლები უჩივიან.

როგორც სარჩელში წერია, მწვრთნელი ავიწროებდა გოგონას 2011 წლის ივლისში, ლეიკ-პლესიდში გამართული ტურნირის დროს. სრეტენსკიმ გოგონას გვიან ღამით თავის ნომერში უხმო, მუხლებზე დაისვა, აკოცა და ხელით მკერდზე შეეხო. გოგონას სიტყვებით, მწვრთნელი მას სიყვარულში გამოუტყდა. გარდა ამისა, სრეტენსკიმ ნორჩ მოციგურავეს დაახლოებით 500 სასიყვარულო მოკლე ტექსტური შეტყობინება გაუგზავნა.

საბოლოოდ, სარჩელში წერია, რომ გოგონა იძულებული გახდა სპორტი მიეტოვებინა, არადა, ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე იმედისმომცემ მოციგურავედ მიიჩნეოდა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მოსარჩელე მხარემ მორალური ზიანი შეაფასა და სრეტენსკისგან 5 მილიონი დოლარი მოითხოვა.

გენრიხ სრეტენსკი სპორტულ ცეკვებში გამოდიოდა **ნატალია ანენკოსთან** ერთად. მათ მონაწილეობა მიიღეს 1988 წელს კალგარის ოლიმპიადაზე და იქ მეოთხე ადგილი დაიკავეს. იმავე წელს ამ წყვილმა ვერცხლი მოიგო ევროპის ჩემპიონატზე.



სრეტენსკი და ანენკო

### ფორმულა 1

# მერსედესი წასვლას არ აპირებს

## პირველი ჩინელი პილოტი და ორი პრაქტიკა მონცაზე

როგორც უკვე ვწერდით, "მერსედესის" საჯინიბომ უარი განაცხადა თანხმობის ახალი ხელშეკრულების გაფორმებაზე, რომელიც უკვე მოიწონა ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილე გუნდების უმრავლესობამ. გერმანულ გუნდს არ აწყობდა ფინანსური პირობები და ვადები, რომელიც ბერნიმ საჯინიბოებს შესთავაზა, მაგრამ დღეს "მერსედესის" შეფი **როს ბრაუნი** ამბობს, რომ მისი საჯინიბო ჩემპიონატის ერთგული რჩება, დანარჩენი – მოლაპარაკებების საკითხია.

*"ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ "მერსედესს" გარკვეული ვალდებულებები აქვს ფორმულა 1-ის წინაშე. იცით, რომ მოლაპარაკებები მეტად ხისტი გამოვიდა, მაგრამ ოპტიმიზმით ვაფასებ სიტუაციას და მივიჩნევ, რომ მალე ყველაფერი დასრულდება.*

*ბერნის მიერ შემოთავაზებული ხელშეკრულება 2020 წლამდეა გათვლილი. ელსტოუნი ითხოვს ჩვენგან მომავალი რვა წლის განმავლობაში ჩემპიონატში მონაწილეობაზე თანხმობის დადასტურებას. ჩვენ ვმუშაობთ ბერნისთან საუკეთესო გადაწყვეტილების მისაღებად და ვფიქრობ, ძალიან ახლოს ვართ ამასთან"*, - ამბობს როს ბრაუნი.

■ ■ ■

"ფერარის" პრეზიდენტი **ლუკა დი მონტეძემოლო** აცხადებს, რომ მისი გუნდი ჯერ ვერ ჩამოყალიბდა პილოტების შემადგენლობაზე მომავალი წლის სეზონისთვის. თუმცა იტალიელი ჩინოვნიკი აღნიშნავს, რომ გუნდს ორი ძალიან კონკურენტუნარიანი პილოტი სჭირდება.

*"ჯერჯერობით ვერ ჩამოვყალიბდით. მოვიფიქრებთ, თუმცა ჯერ ნაადრევია კონკრეტულად ლაპარაკი.*

*ეჭვგარეშეა, რომ მასამ კარგი შედეგები უნდა აჩვენოს, თუმცა ფელიპე იყო და რჩება "ფერარის" მნიშვნელოვან წევრად.*

*არ ვაპირებთ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას აჩქარებას. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ერთი რამ ცხადია - ჩვენი ორი კონკურენტუნარიანი პილოტი გვჭირდება. ვნახოთ"*, - ამბობს დი მონტეძემოლო.

თუ გავითვალისწინებთ **ფელიპე მასას** წლევანდელ შედეგებს, დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ ბრაზილიელს "სკუდერიაში" დარჩენის მინიმალური შანსი აქვს.

■ ■ ■

გუშინ ორი თავისუფალი პრაქტიკით დაიწყო იტალიის გრანპრი. გუნდებისთვის საბედნიეროდ, ორივე ვარჯიში კარგ ამინდში ჩატარდა და საჯინიბოებს იტალიური ტრასისთვის მომზადებული ტექნიკური სიახლეების შემოწმების საშუალება მიეცათ.

ერთ-ერთი მთავარი მოვლენა ის იყო, რომ HRT-ის ბოლიდის საჭესთან ინდოელი **ნარაიან კართიკეიანი მა ცინ ჰუამ** შეცვალა. ის გახდა ფორმულა 1-ის ისტორიაში პირველი ჩინელი პილოტი.

პრობლემები შეექმნა **ფერნანდო ალონსოს** („ფერარი"). ბელგიის სპაზე დაზარალებული ბოლიდის ნაცვლად, ესპანელი სათადარიგო შასის იყენებდა და მთელი რიგი სირთულეების გამო ძალიან ბევრი დრო დაკარგა, თუმცა მეორე პრაქტიკისას მესამე დრო აჩვენა.

ორივე ვარჯიშისას შედეგები საკმაოდ მჭიდრო იყო. პირველი პრაქტიკა **მიხაელ შუმახერმა** („მერსედესი") მოიგო შედეგით - 1:25.422 და ერთბაშად რვა პილოტმა არ წააგო გერმანელთან წამზე მეტი.

მეორე პრაქტიკისას საუკეთესო დრო დააფიქსირა **ლუის ჰემილტონმა** („მაკლარენი") - 1:25.290. ბრიტანელსა და მეცხრე ადგილზე გასულ პილოტს შორის სხვაობა მხოლოდ 0.26 წამი იყო.




ლუის ჰემილტონი

### ჰოკეი

# ისევ ცუდი ამბები ოკეანისგაღმიდან

## ჩრდილოეთ ამერიკაში ყველაზე უარესი გუნდი ტორონტო ყოფილა

არც ისე კარგი ამბები ვრცელდება კანადიდან. პოპულარული ვებგვერდის TSN-ის ექსპერტმა **დარენ დრეგერმა** მოულოდნელად გამოაქვეყნა სვეტი, რომელშიც წერია, რომ ლიგისა და პროფკავშირის წარმომადგენლები მზად არიან, ისევ სრულად გააუქმონ სეზონი, როგორც ეს 2004-05 წლებში მოხდა. დრეგერი წერს, რომ ეს ინფორმაცია მას ორივე დაპირისპირებული მხარის ინკოგნიტო წარმომადგენლებმა მიაწოდეს.

საინტერესოა, რომ აქამდე ჟურნალისტები ნეგატიურ პროგნოზებს არ იძლეოდნენ და აცხადებდნენ, რომ 2004 წელს სიტუაცია გაცილებით მძიმე იყო. მაშინ ლიგამ უკან არ დაიხია იმ საკითხში, რომელიც ხელფასის მაქსიმალურ ზღვარს ეხებოდა.

ახლა კი მოლაპარაკებების დროს მთავარი პრობლემა ჰოკეის ეროვნული ლიგის საერთო შემოსავლის გაყოფაა კლუბებსა და ჰოკეისტებს შორის.

თუმცა დრეგერი სხვა რთულ საკითხებზეც ამახვილებს ყურადღებას – კონტრაქტის ხანგრძლივობა, სამწლიანის ნაცვლად ხუთწლიანი ხელშეკრულებები ახალბედებთან...

ეს ლიგის მოთხოვნებია, პროფკავშირი კი ითხოვს ახალ ეკონომიკურ სისტემას და ამჯერად, მოთამაშეები არ აპირებენ უკან დახევას, როგორც ეს წინა ლოკაუტის დროს მოხდა.

უამრავი გაურკვეველი საკითხის მიუხედავად, მხარეებს არც კი დაუნიშნავთ მოლაპარაკებების მორიგი თარიღი, არადა, კოლექტიურ ხელშეკრულებას 15 სექტემბერს ეწურება ვადა.

უკვე 13 სექტემბერს, ლიგის კომისარმა **გერი ბეტმენმა** ანგარიში უნდა ჩააბაროს კლუბების მფლობელებს, რომლებმაც ოფიციალურად შეიძლება მისცენ მწვანე შუქი ლოკაუტის გამოცხადებას.



გარი ბეტმენი

■ ■ ■

სახალისო რეიტინგი შეადგინა გამოცემა ESPN Magazine-მა. ის ორიგინალური წესით არკვევს ოთხი პროფესიული ლიგის – NFL-ის (ამერიკული ფეხბურთი), MLB-ის (ბეისბოლი), NBA-სა (კალათბურთი) და NHL-ის (ჰოკეი) კლუბების კლასიფიკაციას.

რეიტინგი შექმნილია იმის საფუძველზე, თუ რას იღებენ კლუბები გულშემატკივრებისგან (პოპულარობა, დახარჯული ფული) და სანაცვლოდ რას იძლევიან სპორტული შედეგების მხრივ.

წლევანდელ რეიტინგში ბოლო, 122-ე ადგილი დაიკავა NHL-ის კლუბმა "ტორონტო მეიპლ ლივზმა", რაც სავსებით ლოგიკურია. ეს გუნდი უდიდესი პოპულარობით სარგებლობს და წელს ის პლეი ოფში ვერ მოხვდა.

რეიტინგში პირველი ადგილი NBA-ის კლუბმა "ოკლაჰომა-სიტიმ" დაიკავა. სამეულში მოხვდნენ "გრინ ბეი პეკერსი" (NFL) და "სან ანტონიო სპურსი" (NBA).

ჰოკეის კლუბებს შორის ყველაზე მაღალი ადგილი (მეექვსე) "ფინიქსმა" დაიკავა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა

# ჯოკოვიჩი დამაჯერებელია



ნოვაკ ჯოკოვიჩი

ამერიკის ღია პირველობის მორიგ სათამაშო დღეს მამაკაცთა ტურნირზე მეორე ნახევარფინალური წყვილი უნდა გარკვეულიყო, მანამდე კი პირველი ლაურეატების ვინაობა შევიტყვეთ.

შერეულ წყვილებში ამერიკის ღიას გამარჯვებული გახდა რუსულ-ბრაზილიური დუეტი **ეკატერინა მაკაროვასა** და **ბრუნო სოარეშის** შემადგენლობით. ხათ სამ სეტში მოუგეს ფინალი ჩეხ **პეტრა პეშკესა** და პოლონელ **მარცინ მატკოვსკის**.

მეტოქეებმა პირველი ორი სეტი გაცვალეს და დაინიშნა საჩემპიონო ტაიბრეიკი, რომელშიც მაკაროვა და სოარეში 8:5-ს იგებდნენ, მაგრამ პეშკემ და მატკოვსკიმ შეძლეს ანგარიშის გათანაბრება. უფრო მეტიც, რუსსა და ბრაზილიელს ორი მატჩბოლის მოგერიება მოუწიათ, მაგრამ 10:10-ზე ზედიზედ ორი ქულა მოიგეს და 12:10 გაიმარჯვეს.

თამაში საათსა და 29 წუთს გაგრძელდა. ამ მოგებისთვის მაკაროვამ და სოარეშმა ერთად 150 ათასი დოლარი მიიღეს.

■ ■ ■

ზუსტად 4 საათი და 30 წუთი გაგრძელდა მეოთხედფინალი ესპანელ **დავიდ ფერერსა** და სერბ **იანკო ტიპსარევიჩს** შორის.

შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით მიდიოდა. პირველი პარტია იოლად ფერერმა მოიგო, მაგრამ შემდეგ ინიციატივა სერბმა ჩოგბურთელმა მოიპოვა და სეტებში ანგარიში წაიყვანა - 2:1. მეოთხე სეტში ყველაფერი მერვე გეიმში გადაწყდა, როცა ფერერმა ბრეიკი გააკეთა და ამის წყალობით სეტებს შორის თანაფარდობა აღადგინა.

ყველაფერი მეხუთე სეტს უნდა გადაეწყვიტა. დასკვნითი პარტია უკეთ ტიპსარევიჩმა დაიწყო და ბრეიკით 2:0 დაწინაურდა, მაგრამ ფერერმა მეშვიდე გეიმში დაიბრუნა დაკარგული მოწოდება. საბოლოოდ სეტისა და მთლიანად მატჩის ბედი ტაი-ბრეიკმა გადაწყვიტა.

მე-13 გეიმში თავიდან თანაბარი ბრძოლა იყო, მაგრამ 3:3-ზე ფერერმა ზედიზედ ორი ბურთი ჩააგდო და შეძლო ამ უპირატესობის ბოლომდე შენარჩუნება.

ჩოგბურთელებმა 4-4 ბრეიკი გააკეთეს. ფერერის ანგარიშზე 15 ეისი იყო, ტიპსარევიჩს 10 ასეთი მოწოდება დაუგროვდა.

6:3, 6:7(5), 2:6, 6:3, 7:6(4) - მოიგო ფერერმა და 2007 წლის შემდეგ პირველად ითამაშებს ამერიკის ღიას ნახევარფინალში. ტიპსარევიჩმა კი ზედიზედ მეორედ ეს ტურნირი მეოთხედფინალურ ეტაპზე დაასრულა.

■ ■ ■

ახლა ნახევარფინალში ფერერი ნოვაკ ჯოკოვიჩს შეხვდება, რომელმაც სამ სეტში იოლად მოუგო **ხუან-მარტინ დელ პოტროს** და მორიგი ნაბიჯი გადადგა ტიტულის დაცვისკენ.

არგენტინელმა ჩოგბურთელმა ვერანაირი პრობლემა ვერ შეუქმნა მსოფლიოს მეორე ნომერს.

ჯოკოვიჩი გაცილებით აქტიურად თამაშობდა, რაც **ვინერსების** რაოდენობაში გამოიხატა - ნოვაკმა აქტიური მოქმედებით 43 ქულა მოიპოვა, დელ პოტრომ - მხოლოდ 25. ამასთან, ხუან-მარტინს უნებლიე შეცდომებიც მეტი ჰქონდა - 33 28-ის წინააღმდეგ.

ჯოკოვიჩის ამ აქტიურობამ ის მოიტანა, რომ სერბმა მთელი მატჩის განმავლობაში 13 ბრეიკ-პოინტი მიიღო და აქედან ოთხი შანსი გამოიყენა. დელ პოტროს კი მხოლოდ სამჯერ შეეძლო მეტოქის მოწოდების აღება და აქედან ერთხელ გააკეთა ბრეიკი.

საბოლოოდ, მატჩი სამი საათი და 6 წუთი გაგრძელდა და ჯოკოვიჩმა სამ სეტში მოიგო - 6-2, 7-6 (3), 6-4.

ეს იყო ამ ჩოგბურთელთა მერვე მატჩი და ჯოკოვიჩი ურთიერთშეხვედრებში წინ არის - 6:2.

შეგახსენებთ, რომ მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან **ენდი მიურეი** და **ტომაშ ბერდიხი**.

**1/4 ფინალი**

**დავიდ ფერერი (ესპ, 4)**-იანკო ტიპსარევიჩი (სერ, 8) 6:3, 6:7(5), 2:6, 6:3, 7:6(4); **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 2)**-ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 7) 6:2, 7:6(3), 6:4.

# ახალი ნომინანტები

დასახელდა ჩოგბურთის საერთაშორისო დიდების დარბაზის წევრობის ახალი კანდიდატები. საჩოგბურთო ლეგენდების გვერდით მოხვედრაზე პრეტენზიას აცხადებენ შვეიცარიელი **მარტინა ჰინგისი**, გერმანელი **მიხაელ შტიხი** და ჩეხი **ჰელენა სუკოვა**.

თავის დროზე ჰინგისი ქალებს შორის ყველაზე ახალგაზრდა პირველი ჩოგანი გახდა და საერთო ჯამში 209 კვირა გაატარა კლასიფიკაციის სათავეში. შვეიცარიელმა მოიგო WTA-ის 4 ტურნირი, მათ შორის სამჯერ ავსტრალიის ღია პირველობა და თითოჯერ - უიმბლდონი და აშშ-ის ღია.

შეგახსანებთ, რომ ჰინგისმა კარიერა 2007 წელს დაასრულა მას შემდეგ, რაც მის ორგანიზმში კოკაინის კვალი აღმოაჩინეს. მარტინა უარყოფდა აკრძალული პრეპარატის მიღების ფაქტს, მაგრამ აპელაცია არ შეუტანია.

შტიხის კოლექციაშია ATP-ის 18 ტიტული ერთეულთა თანრიგში და 10 ტიტული - წყვილებში. 1991 წელს გერმანელმა მოიგო უიმბლდონი, ერთი წლის შემდეგ კი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა წყვილთა თანრიგში.

სუკოვა ოთხჯერ იყო ერთეულებში "დიდი სლემის" ტურნირების ფინალისტი და ცხრა გამარჯვებას მიაღწია წყვილთა თანრიგში. თანამემამულე **იანა ნოვოტნასთან** ერთად მან ვერცხლის მედლები აიღო 1988 და 1996 წლების ოლიმპიადებზე.

დასახელებული ჩოგბურთელების გარდა, დიდების დარბაზში მოხვედრის ნომინანტები არიან **ჩარლი პასარელი**, იონ ცირიაკი და ტელმა კოინ ლონგი.

ნომინანტებისთვის ხმის მიცემა რამდენიმე თვე გაგრძელდება. დიდების დარბაზში შეყვანის ცერემონია 2013 წლის 13 ივნისს გაიმართება.



მარტინა ჰინგისი

● ჭადრაკი

# კასპაროვი ფედერაციას შეურიგდა?

ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა **კირსან ილუმჟინოვმა** განაცხადა, რომ მისმა ორგანიზაციამ მოაგვარა კონფლიქტი მსოფლიოს მე-13 ჩემპიონთან, ლეგენდარულ რუს დიდოსტატ **გარი კასპაროვთან**. ილუმჟინოვის თქმით, FIDE-ს წესდებაში შეიტანეს ცვლილებები, რომლის წყალობითაც მოხერხდა სიტუაციის დარეგულირება. თუმცა პრეზიდენტს არ დაუზუსტებია, რა ცვლილებებზეა ლაპარაკი.

2012 წლის ივნისში, თურქეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა **ალი ნიჰათ იაზიჩიმ** გაავრცელა ღია წერილი. მან დაადანაშაულა კასპაროვი იმაში, რომ FIDE-ის წინააღმდეგ ორი სარჩელის უკან სწორედ მისი პიროვნება იდგა.

2010 წელს საფრანგეთის, უკრაინის, გერმანიის, შვეიცარიისა და აშშ-ის ფედერაციებმა მსოფლიოს მე-12 ჩემპიონთან **ანატოლი კარპოვთან** ერთად სარჩელი შეიტანეს სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში და მოითხოვეს, FIDE-ს ჰყავდეს არა ხუთი, არამედ ორი ვიცე-პრეზიდენტი.

მაშინ სასამართლომ FIDE-ს მხარე დაიჭირა, მაგრამ საერთაშორისო ფედერაციამ დაახლოებით მილიონი დოლარი დახარჯა იურისტებზე. 2012 წელს, ანალოგიური სარჩელი შეიტანეს ინგლისისა და საქართველოს ფედერაციებმა, მაგრამ საარბიტრაჟო სასამართლო ისევ FIDE-ს მიემხრო, რომელსაც ისევ მოუწია სოლიდური თანხების გაღება.

იაზიჩიმ გამოაცხადა, რომ ორივე სარჩელის უკან კასპაროვი იდგა, რომელსაც ასეთი გზით სურს FIDE-ს დაშლა. თურქმა ფუნქციონერმა საერთაშორისო ფედერაციის წინააღმდეგ წასული შვიდივე ფედერაციის დისკვალიფიკაცია მოითხოვა.

ამასთან, თავად კასპაროვმა ივნისში განაცხადა, რომ FIDE-ის საპრეზიდენტო არჩევნებში აპირებს მონაწილეობას, რომელიც 2014 წელს გაიმართება. კასპაროვის თქმით, მანამდე ილუმჟინოვი ყველა არასასურველ პიროვნებას მოიშორებს FIDE-დან. მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი ამბობს, რომ ფედერაციამ, პირველ რიგში, **სადამ ჰუსეინის** ან **ბაშარ ასადის** მსგავს ადამიანებთან შეხვედრებზე უნდა თქვას უარი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **მუნდიალი 2014** | |
| **ევროპა** | |
| ხორვატია-მაკედონია | 1:0 |
| უელსი-ბელგია | 0:2 |
| მალტა-სომხეთი | 0:1 |
| ბულგარეთი-იტალია | 2:2 |
| ყაზახეთი-ირლანდია | 1:2 |
| გერმანია-ფარერები | 3:0 |
| ესტონეთი-რუმინეთი | 0:2 |
| ანდორა-უნგრეთი | 0:5 |
| ჰოლანდია-თურქეთი | 2:0 |
| ალბანეთი-კვიპროსი | 3:1 |
| სლოვენია-შვეიცარია | 0:2 |
| ისლანდია-ნორვეგია | 2:0 |
| რუსეთი-ჩრ. ირლანდია | 2:0 |
| აზერბაიჯანი-ისრაელი | 1:1 |
| ლუქსემბურგი-პორტუგალია | 1:2 |
| ლიხტენშტაინი-ბოსნია | 1:8 |
| ლიტვა-სლოვაკეთი | 1:1 |
| ლატვია-საბერძნეთი | 1:2 |
| ჩერნოგორია-პოლონეთი | 2:2 |
| მოლდოვა-ინგლისი | 0:5 |
| **ს. ამერიკა** | |
| კოლუმბია-ურუგვაი | 4:0 |
| ეკვადორი-ბოლივია | 1:0 |
| **კონკაკაფი** | |
| კუბა-ჰონდურასი | 0:3 |
| **ოკეანეთი** | |
| სოლომონის კ-ები-ტაიტი | 2:0 |
| ახ. კალედონია-ახ. ზელანდია | 0:2 |
| **ევრო 2013** | |
| **Under 21** | |
| ბოსნია-საბერძნეთი | 4:0 |
| გერმანია-ბელარუსი | 3:0 |
| ჩერნოგორია-ჩეხეთი | 0:0 |
| დანია-სერბეთი | 1:1 |
| ჩრ. ირლანდია-მაკედონია | 1:3 |
| სლოვაკეთი-საფრანგეთი | 2:1 |
| ჰოლანდია-ავსტრია | 4:1 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| **ნაკრებები** | |
| ბრაზილია-ს. აფრიკა | 1:0 |
| ესპანეთი-ს. არაბეთი | 5:0 |
| **კლუბები** | |
| პოდბესკიდიე-ვისლა | 0:0 |
| ადმირა-რუჟემბეროკი | 4:3 |
| გინგამი-ლორიანი | 2:0 |
| ლევადია-აეკ | 1:3 |
| პეტროლული-შახტარი | 0:3 |
| ფრანკფურტი-აინტრახტი | 0:0 |
| ჰარტბერგი-მატერსბურგი | 1:4 |
| ისტრი-აიაჩო | 0:1 |
| ოსასუნა-სოსიედადი | 1:1 |
| ვალიადოლიდი-ბილბაო | 2:2 პენ. 1:3 |
| [illegible] | 0:0 პენ. 7:6 |
| **იტალია** | |
| **სერია C1/B** | |
| ლატინა-კატანძარო | 1:0 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (ბაიერნი)** | |
| ზელიგენპორტენი-მემინგენი | 2:1 |
| **რეგიონალლიგა (ს-დ)** | |
| კაიზერი II-ელვერსბერგი | 3:1 |
| **საფრანგეთი** | |
| **ნასიონალი** | |
| რუანი-კოლმარი | 1:2 |
| ბულონი-ეპინალი | 2:2 |
| შერბური-ფრეჟუსი | 2:2 |
| ლუზენაკი-კევილი | 1:0 |
| ორლეანი-ამიენი | 0:2 |
| პარიზი-ბურჟი | 2:1 |
| მეცი-კრეტეი | 3:1 |
| **ბელგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| სტ. ნიკლაასი-ბრიუსელი | 4:2 |
| **დანია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ჰიორინგი-ვეილე | 0:2 |
| **ირლანდია** | |
| ბოჰემიანსი-სტ. პატსი | 2:3 |
| ბრეი-დროგედა | 1:3 |
| დერი-კორკი | 0:1 |
| დანდალკი-უნივერსიტი | 1:2 |
| შემროკი-შელბურნი | 2:2 |
| **II დივიზიონი** | |
| ლიმერიკი-მერვუ | 4:0 |
| გალვეი-უოტერფორდი | 0:1 |
| **უნგრეთი** | |
| **ლიგის თასი** | |
| უიპეშტი-ეგერი | 2:5 |
| **ჰოკეი** | |
| **ავსტრია** | |
| ალბა-ზაგრები | 2:4 |
| დორნბირნი-ვილახი | 0:6 |
| ზალცბურგი-ზნოიმო | 1:3 |
| ინსბრუკი-გრაცი | 2:3 |
| ლინცი-კლაგენფიურტი | 1:2 |
| **ჩოგბურთი** | |
| **WTA. აშშ-ის ღია** | |
| აზარენკა-შარაპოვა | 3:6, 6:2, 6:4 |

● TV პროგრამა

**8 სექტემბერი. შაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 მსოფლიოს ჩემპიონატი 2014. შესარჩევი ტურნირი. სამხრეთ ამერიკა. არგენტინა-პარაგვაი.
12:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOT-BRAZIL.
12:30 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
13:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
14:00 მსოფლიოს ჩემპიონატი 2014. შესარჩევი ტურნირი. ევროპა. ჰოლანდია-თურქეთი.
16:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
17:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
18:00 მსოფლიოს ჩემპიონატი 2014. შესარჩევი ტურნირი. ევროპა. შოტლანდია-სერბეთი (LIVE).
20:00 ჩემპიონთა ლიგა. მიმოხილვა.
21:00 მსოფლიოს ჩემპიონატი 2014. შესარჩევი ტურნირი. სამხრეთ ამერიკა. არგენტინა-პარაგვაი.
23:00 ჩემპიონთა ლიგა. მიმოხილვა.
00:00 არგენტინის ჩემპიონატი. V ტურის მიმოხილვა.
01:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOT-BRAZIL.
01:30 ბრაზილიის ჩემპიონატი. XXIII ტური. კურიტიბა-ფლამენგო (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

10:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
11:30 რაგბი. ოთხი ერის თასი. ახალი ზელანდია-არგენტინა (LIVE).
13:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
14:30 რაგბი. ოთხი ერის თასი. ავსტრალია-სამხრეთ აფრიკა (LIVE).
16:30 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ოკლაჰომა-ჩიკაგო.
18:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
19:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მიმოხილვა.
20:15 ჩოგბურთის ლეგენდები - როჯერ ფედერერი.
22:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
23:00 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ოკლაჰომა-ჩიკაგო.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP
-ის ტური. მონრეალი. კანადა.
12:40 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. მაიამი-ოკლაჰომა.
15:50 ჩოგბურთი. ATP
-ის ტური. მონრეალი. კანადა.
19:15 რაგბი. ექვსი ერის თასი. იტალია-ინგლისი.
21:15 კალათბურთი. ევროლიგა. გალათასარაი-ბარსელონა.
23:00 ჩოგბურთი. ATP
-ის ტური. მონრეალი. კანადა.

**I არხი**

17:55 კალათბურთი. ევრობასკეტი 2013. შესარჩევი ტურნირი. ლატვია-საქართველო (LIVE).

**9 სექტემბერი. კვირა**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 მსოფლიოს ჩემპიონატი 2014. შესარჩევი ტურნირი. ევროპა. შოტლანდია-სერბეთი.
12:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XXII ტურის მიმოხილვა.
12:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
13:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
14:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XXIII ტური. კურიტიბა-ფლამენგო.
16:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-ალკმაარი.
18:00 მსოფლიოს ჩემპიონატი 2014. შესარჩევი ტურნირი. სამხრეთ ამერიკა. არგენტინა-პარაგვაი.
20:00 ინგლისის ჩემპიონატი. III ტურის მიმოხილვა.
21:00 მსოფლიოს ჩემპიონატი 2014. შესარჩევი ტურნირი. ევროპა. ჰოლანდია-თურქეთი.
23:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XXIII ტური. სანტოსი-სან პაოლო (LIVE).
01:00 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
01:30 ბრაზილიის ჩემპიონატი. XXIII ტური. ატლეტიკო მინეირო-პალმეირასი (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი.
12:00 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ჩიკაგო-ბოსტონი.
14:30 პროგრამა - იმედის ფსონი.
15:30 რაგბი. ოთხი ერის თასი. ახალი ზელანდია-არგენტინა.
17:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
18:00 რაგბი. ოთხი ერის თასი. ავსტრალია-სამხრეთ აფრიკა.
20:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.
20:50 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ჩიკაგო-ბოსტონი.
23:10 ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. VI ტური. არგენტინოს ხუნიორსი-ბოკა ხუნიორსი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP
-ის ტური. მონრეალი. კანადა.
13:00 რაგბი. ექვსი ერის თასი. საფრანგეთი-ირლანდია.
15:00 ჩოგბურთი. ATP
-ის ტური. გშტაადი. შვეიცარია.
18:45 კალათბურთი. ევროლიგა. ბამბერგი-პანათინაიკოსი.
20:45 ჩოგბურთი. ATP
-ის ტური. გშტაადი. შვეიცარია.
00:15 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

მძლეოსნობა





# აი, თურმე ვინ მოაგებინა

რა თქმა უნდა, **უსაინ ბოლტის** შესაძლებლობებში ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ მისი დონის მოთამაშეებსაც სჭირდებათ ალმაფრენის მომენტები.

ბრიტანელმა ჟურნალისტებმა გაარკვიეს, ვინ ეხმარებოდა ლონდონის ოლიმპიადის დროს იამაიკელ სპრინტერს. უსაინი თავისი ყოველი სტარტის წინ 22 წლის ბრიტანელ მოდელს **მეგან ედვარდსს** ხვდებოდა. ამის შემდეგ, ბოლტი სარბენ ბილიკზე გადიოდა და ძველებურად უსწორდებოდა კონკურენტებს. სამი ოქროს მოგების შემდეგ ბოლტმა და ედვარდსმა ერთადაც აღნიშნეს წარმატება ლონდონის ღამის კლუბში - Brick Lane-ში.

კლუბის თანამშრომელმა განაცხადა, რომ ბარი ნამდვილ საგიჟეთს დაემსგავსა - აბსოლუტურად ყველა გოგო ბოლტთან მიახლოებას ცდილობდა, მაგრამ იამაიკელი მთელი საღამო მეგანის ერთგული დარჩა.

ამჟამად მათ ურთიერთობაზე არაფერს წერენ. იმასაც ამბობენ, რომ ბოლტმა, რომელიც თურმე 60 მილიონის პატრონი ყოფილა, სოლიდური თანხა გადაუხადა ედვარდსს ლონდონში გატარებული დღეებისთვის.

ცურვა

# მაიკლი ტორტით გაახარეს

აქტიურად აღნიშნავს ლონდონის ოლიმპიადაზე წარმატებასა და კარიერის დასრულებას ლეგენდარული ამერიკელი მოცურავე **მაიკლ ფელპსი.**

თავდაპირველად მან ზღვაზე დასვენება მოიწყო თავის შეყვარებულთან, მოდელ **მეგან ფოქსთან** ერთად. შემდეგ მეგობრებთან ერთად ლას ვეგასის დასაპყრობად გაეშურა, ერთ-ერთ კაზინოში შევიდა, სადაც მას მორიგი ტრიუმფი ელოდა.

პრაქტიკულად ყველა ამერიკული ტაბლოიდი ფელპსის მორიგ გამარჯვებაზე წერდა - მაიკლმა პოკერის მაგიდასთან 100 ათასი დოლარი მოიგო. როგორც მოგვიანებით გაირკვა, 18-



გზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ამ თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი მეორე ღამით სასტუმრო Wynn-ის კლუბ Tryst-ში დახარჯა.

ამავე სასტუმროში გააცილეს ფელპსი ლას ვეგასიდან. ბიკინებში გამოწყობილმა გოგონებმა მაიკლს ტორტი მიართვეს. [illegible] ლონდონის თამაშების [illegible] ერთი გმირი, ამერიკელი ქალი მოცურავე **ელისონ შმიტი,** რომელიც ფელპსმა თავის გრძელ ხელებში მოიქცია.

ამის შემდეგ საით გაუწევს გული ლეგენდას, არავინ იცის. ის ხომ სპორტისგან თავისუფალია...






ჩოგბურთი



რორი და კარო

# ვოზნიაცკის ფანობა უფრო გამოსდის

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **კაროლინ ვოზნიაცკი** ნაადრევად გამოეთიშა ამერიკის ღია პირველობას. ამიტომაც დანიელ ჩოგბურთელს საშუალება მიეცა მასაჩუსეტსის შტატში გამგზავრებულიყო და იქ თავისი შეყვარებულისთვის, **რორი მაკილროისთვის** დაეჭირა მხარი. გოლფის რეიტინგის პირველი ნომერი ამჟამად Deutsche Bank-ის ჩემპიონატში გამოდის. ეს ტურნირი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია პროფესიულ ტურში.

შეგახსენებთ, რომ რორის უკვე „დიდი სლემის" სერიის ორი ტურნირი აქვს მოგებული, იმ დროს, როცა ჩოგბურთში ვოზნიაცკი ამგვარი წარმატებით ვერ დაიკვეხნის. უფრო მეტიც, ის ამერიკის ღიას პირველივე წრიდან გამოეთიშა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**
ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ირაკლი თავაძე**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:35
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608